

ქართული სტრუქტურა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“
კვიციანი ლევან

ფასი 1 ლარი

13 – 19 მაისი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

სახელმწიფო გლეხებს მიწის კუთვნილ ნაკვეთებს არ უკანონებს! >>> 89-11 გვ.

საჯარო რეესტრმა ხალხი დატანჯა! – რა პრეტიენზიები აქვს სოფლის მოსახლეობას ხელისუფლებასთან

„დინამოს“ ლოგო ერთი და განუყოფელია, რომელიც ჩვენს ოჯახს აერთიანებს! >>> 89-14 გვ.

ბაგაძიებსაც ბესო ხარძიანის მკვლელობაში სამი ეჭვმიტანილი ჰყავს?



„...როგორც ჩანს, ინფორმაცია გაქვთ, კონფიდენციალურ გზით და, სავარაუდოდ, გვარ-სახელელებიც გაცოდინებათ?! საზოგადოებაში ასეთი ბავრი რამ ითქვამა, მაგრამ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. ჩემი სტატუსიდან გამომდინარე, ამ თემას ვერ გავხლი, ვინაიდან ამით შეიძლება, ბაგაძიებს დაზარალო“.

>>> 89-8 გვ.

რა ინფორმაცია აქვს ადვოკატს, რატომ არ საჯაროვდება ფოტოგრაფი და ფიგურირებს თუ არა საქმეში უკრაინა და თურქეთი

რას ამზადებს მიშა სემტემბრისთვის



>>> 89-2-3 გვ.

„თუკი „ოცნება“ სააკაშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტებს არ წამოსწავს და მკვლელობას არ მისცემს, სახეუცვლილ მიშას მიიღებს!“

„ოცნებაში“ გავლენებისთვის ახალი ომი იწყება?!

„გლდანის მერვე დაწვის უღებავში მაცურებინებდნენ, თუ როგორ სცემდნენ ათობით ადაგიანს!“



>>> 89-9 გვ.

როგორ შეიკერა მამა-შვილ ზერეკიძეების საქმეები – ციხეში გაზრდილი ბიჭის თავგადასავალი

„ღარიბაშვილმა კალიან კარგად იცის, რა და როგორ მოხდა... ისინი მძევლები არიან!“



>>> 89-10 გვ.

ზურა აბაშიძე: „კაბელების საქმეზე სამართლიანობა აღდგება!“

„ღვთი სამი სკანდალის „გახეთქვაზე“ ორიენტირებული არ ვარ!“

ეკა შინდამორიძე „ნიუპოსტის“ წარმატების საიდუმლოს ამხელს



>>> 89-12 გვ.



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე

საქრებულო
საქრებულო

საკანდალური ექსკლუზივი



„არ დაგვივალავთ და, ცვლილება მხოლოდ თავდაცვის სისტემაში ველი, მით უმეტეს, რომ თინა ხიდაშელმა ის მისივე, როგორც იტყვიან, გააუღერა, რომლის თაობაზეც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თავდაცვის ერთ მინისტრსაც არ უღაპარაია“.

„ოცნებაში“ გავლენებისთვის ახალი რეჟიმი იწყება?!

ასე და ამგვარად: გადახალისებული მთავრობა დამტკიცებულია, ლარი აკონიაშია, „ნაციონალებს“ ენა ისევ დაგრძელებული აქვთ, „ოცნება“ კი, ტრადიციულად, „მ წელზე“ ლაპარაკობს. „თუკი „ოცნება“ სააკაშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტებს არ წამოსწევს და მსვლელობას არ მისცემს, სახეზეც დიდი მისაზრდელობაა“ — აცხადებს „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე, რომელიც „ნაციონალიზმის“ პროვოკაციებზე საუბრისას, ე.წ. წითელუბნის ინციდენტს იხსენებს. ამასთან, ქართველი სპეცსამსახურელი ეჭვობს, რომ „ოცნებაში“ გავლენის სფეროებისთვის მალე ახალი რეჟიმი დაიწყება და ამის საბაზი შესაძლოა, შსს-დან უშიშროების სამსახურის გამოყოფა გახდეს.

— მოკლედ, ბატონო კოტე, 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ, „ოცნების“ მთავრობას პარლამენტმა ნდობა მესამედ გამოუცხადა. ეს ჩვენს ცხოვრებაში რას შეცვლის?
— ეს ხალხის ცხოვრებას ნაკლებად დაეტყობა.
— რატომ?
— იმიტომ, რომ პრაქტიკულად, სავალ-უტო კრიზისის ზღვარზე ვართ. არ ვიცი, მთავრობა რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს, მაგრამ ისევ და ისევ, პასუხისმგებლობის საკითხთან მივდივართ.
— ანუ?
— მესმის, წინასწარ ყველაფერს ვერავინ გათვლის, მაგრამ როცა უკრაინის მოვლენები დაიწყო, ხელისუფლებას ამ გამოწვევაზე უნდა ეფიქრა.
— მოდით, ეკონომიკაზე არ ვილაპარაკოთ და ყველაფერი უფრო გლობალურ კონტექსტში განვიხილოთ...
— არ დაგვივალავთ და, ცვლილებებს მხოლოდ თავდაცვის სისტემაში ველი, მით უმეტეს, რომ თინა ხიდაშელმა ის მისივე, როგორც იტყვიან, გააუღერა, რომლის თაობაზეც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თავდაცვის ერთ მინისტრსაც არ უღაპარაია.
— ქალბატონმა მინისტრმა ასეთი რა თქვა?
— ის კანონმდებლობა, რომელიც საქართველოში თავდაცვის უწყებას არეგულირებს, შესაცვლელია, ანუ ხიდაშელმა დიად თქვა, რომ თავდაცვის სამინისტრო და გენშტაბი ერთმანეთისგან გასამიჯნა.
— ეს კარგია თუ ცუდი?
— კარგია, რადგან თუ გვინდა, რომ ევროატლანტიკურ გზაზე რეალური ნაბიჯები გადავდგათ, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ, თან ყველაფერი ეს „აი-პა-პი“-ს პროგრამაშია გაწერილი, რომელიც საქართველოსთვის 2002 წლის დასაწყისში მიიღეს. ამაზე

საუბარი 2005 წელს მიღებულ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციამიწია. სხვათა შორის, ამ კონცეფციას ხელი მიხეილ სააკაშვილმა მოახერხა, მაგრამ რეალურად, არაფერი გაკეთებულა.
— დღევანდელი მოცემულობით, თავდაცვის სამინისტროში ყველა თანამდებობაზე, ოცეულისა თუ ბრიგადის მეთაურით დაწყებული, ადამიანს თავდაცვის მინისტრი ნიშნავს.
— მერე, ეს დანაშაულია?
— დანაშაული არაა, მაგრამ ადრეც მითქვამს, რომ თავდაცვის სამინისტრო, როგორც პოლიტიკური ორგანო, გენშტაბისგან გამოყოფილი უნდა იყოს. ქალბატონმა თინამ განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო სტრუქტურად გარდაქმნის და, როგორც მინისტრი, გენშტაბის თანამდებობის პირების დანიშვნის საკითხებში არ ჩაერევა, რაც თავისთავად მისასაღებელია.
— თავდაცვის სამინისტროს ასეთი რეორგანიზაცია ევროპული მოდელია?
— დიახ, რა თქმა უნდა. ნატოს წევრთა თქმის ყველა ქვეყანაში თავდაცვის სამინისტრო და გენშტაბი გამოიწმინდა, ანუ თავდაცვის სამინისტროს მხოლოდ ლოჯისტიკის ფუნქცია აქვს...
— თავდაცვის ახალმა მინისტრმა, მგონი, კიდევ ერთი საგულისხმო განცხადება გააკეთა. ყოველ შემთხვევაში, თინა ხიდაშელმა, ე.წ. „კაბელების საქმეზე“ საუბრისას, აღნიშნა, ეკონომიკურ დანაშაულზე ხალხს ციხეში არ უნდა ვსვათ. ბატონო კონსტანტინე, როგორც ფიქრობთ, ეს ირაკლი ალასანიას მიმართ ღია სიმპათიის გამოხატვა იყო?
— ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ აშკარად, ორპარტიანი განცხადებაა. ხიდაშელისთვის, როგორც თავდაცვის მინისტრისთვის, „კაბელების საქმის“ დამთავრება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია...
— სხვათა შორის, ხიდაშელს, როგორც იტყვა, თავდაცვის სამინისტროს დაპატიმრებული მალაჩინოსნების თავდებით გამოშვების პეტიციაზე ხელი აქვს მოწერილი...
— დიახ, მაგრამ როცა პეტიციას ხელი მოახერხა, დეპუტატი იყო, ახლა კი, ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამინისტროს ხელმძღვანელია და აქედან გამომდინარე, პოზიციას ვეღარ გამოხატავს...
— ამასობაში, შსს-დან უშიშროების გამოყოფის საკითხი აქტიურდება. არსებული მოცემულობით, ცალკე გამოყოფილი უშიშროების ხელმძღვანელს პარლამენტი მთავრობის წარდგენის საფუძველზე დამტკიცებს. ეს ჩვენ, რიგით მოქალაქეებს რას მოგვცემს?
— არაერთხელ მითქვამს, რომ ასეთი მექანიკური ცვლილება, თუკი საერთო უსაფრთხოების სისტემის რეფორმა არ გატარდა, რეალურ შედეგს არ მოიტანს. ერთადერთი მისასაღებელი ისაა, რომ უშიშროების ხელმძღვანელის დანიშვნაში მეტი ლეგიტიმურობა შემოდის, ანუ ხელმძღვანელს, პროექტის მიხედვით, პრემიერი შეურჩევს და პარლამენტი დაამტკიცებს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, უშიშროებაში რომელი ქვედანაყოფები გაერთიანდებიან. სხვათა შორის, ერთ-ერთი სატელევიზო გამოსვლისას პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა ძალიან „საინტერესო“ განცხადება გააკეთა, ვფიქრობთ, ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური, ანუ ე.წ. ოტო ცალკე სამსახურად ჩამოყალიბდეს. ამის გაკეთებით, თუკი ექსპერტებთან შესაბამის

კონსულტაციებს არ გაივლიან, ეროვნული უსაფრთხოების სისტემას წარმოუდგენელ ზიანს მიაყენებენ!
— ამას რატომ ამბობთ?
— ძალიან მარტივ მაგალითს მოვიყვან: ოტოს მხოლოდ ფარული მოსმენა კი არა, ვთქვათ, ფარული თვალთვალზე ევალება, ანუ ეს სამსახური კონტრდაზვერვის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ახლა კი რა გამოდის? — ამ კომპონენტს კონტრდაზვერვას აცილებენ. ვთქვათ, კონტრდაზვერვა შპინაჟში ექვმიტანილის გამოვლენაზე მუშაობს და მის წინააღმდეგ დამატებითი ტექნიკური ღონისძიებები უნდა გაატაროს, რისთვისაც, სესიაშვილის განცხადებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელ უწყებას უნდა მიმართოს.
— მიმართოს, რა დაშვება?
— რას ლაპარაკობთ?! არ ვიტყვით, ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბებული ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური ვის კონტროლს დაექვემდებარება და ვისი ქოლგის ქვეშ იქნება.
— „ქოლგას“, ამ შემთხვევაში, რა მნიშვნელობა აქვს?
— ის მნიშვნელობა აქვს, რომ ე.წ. ოტო უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების შეღწევისგან მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს. ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური ის რგოლია, საიდანაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ. ამიტომ, ვიდრე სესიაშვილი განცხადებას გააკეთებს, ვურჩევ, სერიოზულად დაფიქრდეს და იმის თქმისგანაც თავი შეიკავოს, რომ ოტოს ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბებით, ხელისუფლება თითქოს ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნავს! ისე, თუკი ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდება, უკანონო მოსმენა და თვალთვალი უფრო ტოტალური გახდება, მით უმეტეს, თუკი ოტო მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებაში იქნება. დარწმუნებული ვართ, რომ ინფორმაცია არ გაჟონავს? კი ბატონო, ე.წ. საიდუმლოების დაცვის პირადი ინსპექტორი გვყავს, მაგრამ ის საქმეს ვერ უშველის, რადგან ჯერ ერთი, საქმის პროცესიონალი უნდა იყოს, მეორეც, ზემოხსენებული საფრთხეების ასაცილებლად კონკრეტული მექანიზმები უნდა შეიმუშავოს. მოკლედ, თუკი სესიაშვილის განცხადება რეალობა-

„თინა ხიდაშელი დარწმუნებული არ უნდა იყოს, რომ ის კადრები, რომლებიც განუთავსებელი არიან და რომლებსაც „ნაციონალიზმთან“ ურთიერთობის კარგი ბავარუნდი აქვთ, დაახლოების შემთხვევაში, ადამიანთა ღონისძიებას გაატარებენ...“



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენებელი ხარ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

საქართველოს პარლამენტი

საპარლამენტო მსჯელობები

მ-2 გვერდიდან

სთან ახლოსაა, ეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის წარმოდგენილი ზიანის მიყენება იქნება და მეტი არაფერი! ვიდრე ვაიგენიოსები ასეთ ნაბიჯს გადადგამენ, მათ, ვინც საქმეში ჩახედულები არიან და იციან, ქვეყანას რა ნაადრევია, მინიმუმ, აზრი უნდა ჰქონდეს!

– ესე იგი, საფრთხე, რომ ოტოს-დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბების შემთხვევაში, ქვეყანაში ტოტალური თვალთვალის დაინერგება, რეალურია?

– რა თქმა უნდა! ჯობია, დაფიქრდნენ და ერთიანი გენერალური ინსპექცია შექმნან, რომელიც საპარლამენტო კონტროლის ქვეშ იქნება და რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას გააკონტროლებს. ასეთი სისტემის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ზემოხსენებული საფრთხეები მინიმუმამდე შემცირდება. სხვათა შორის, თინა ხიდაშელის განცხადებები სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნება, მით უმეტეს, რომ ნატოს ყველა მისია, რომელიც საქართველოში აქამდე ჩამოსულა, გენინსპექციის, როგორც ცალკე სტრუქტურის საკითხს აყენებდა. თუკი გენინსპექცია, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, შეიქმნება, რომელსაც აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი დაევალება, მინიმუმადე აღარ ექნება, უშიშროების სამსახური ვის დაქვემდებარებაში იქნება. მაგალითად, ისრაელში სპეცსამსახურებს სწორედ გენინსპექციის მსგავსი ორგანო აკონტროლებს. ამ მოდელით, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დარღვეული ბალანსი აღდგება, მაგრამ იმ რეფორმით, რის გატარებასაც „ოცნება“ გეგმავს, პარლამენტსა და პრემიერს შორის ახალი ქიშპობა დაიწყება, რომელიც 90-იან წლებში დაგეგმულ რეფორმებს.

– 90-იანი წლები რაღა შუაშია? – არ გახსოვთ, მაშინ როგორ იყო? – შსს უშიშროებას უპირისპირდებოდა.

– მაშასადამე, „ოცნებაში“, ძალოვანი უწყებების საბაზით, გავლენის სფეროებისთვის ბრძოლის ახალი რაუნდი დაიწყება?

– დიახ... ხელისუფლების სქემის მიხედვით, ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბებულ უშიშროებას არც შსს-ს და არც თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული მომსახურების უფლება ექნება და ასეთი კონტრდაზვერვა გინდ ყოფილა და გინდ – არა.

– ბატონო კონსტანტინე, თქვენი ინფორმაციით, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე ვისი კანდიდატურა განიხილება?

– დეტალები არ ვიცი, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ უშიშროების ხელმძღვანელს შსს-ს კადრი ჩაიბარებს, თუმცა გამოირიცხული არაა, რომ პარლამენტი პრემიერის მიერ წარდგენილ კანდიდატურას არ დასთანხმდეს.

– მოკლედ, ყველაფერ ამას იმიტომ ვამბობ, რომ „ოცნებამ“ შეცდომა არ დაუშვას, თორემ ამ შეცდომის გამოსწორება ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდება!

– წინა ინტერვიუში ერთმნიშვნელოვნად განაცხადეთ, რომ პრემიერი, როგორც ფიგურა, დასუსტდა, თუმცა თუკი უშიშროების სამსახურის უფროსად საკუთარი კანდიდატურის გაყენას მოახერხებს, სამთავრობო ველზე სურათი შეიცვლება, არა?

– ბუნებრივია, შეიცვლება და პრემიერი შეძლებს, რომ ძალოვან უწყებებზე გავლენა შემოვიტოვოთ გზით აღადგინოს.

– მაშასადამე, „ოცნებაში“ გავლენის სფეროებისთვის შიდა ბრძოლა მიდის?

– ასეა. „ოცნებაში“ არიან პოლიტიკური ძალები, რომლებსაც განსხვავებული შეხედულებები აქვთ. სხვათა შორის, ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ვიკითხე, ეს განსხვავებები შიდა განხეთქილების საბაზი ხომ არ გახდება-მეთქი. ალასანიას მაგალითმა ჩემი ეჭვი დაადასტურა...

– ისე, ყურადღება მივაქციე, პარლამენტში, „თავისუფალ დემოკრატებთან“ შეხვედრისას, პრემიერმა ალასანიას თანაგუნდელებს „ქვირფასი თანამებრძოლები“ უწოდა, რაზეც მოგვიანებით, ბუკა პეტრიაშვილმა უპასუხა, ტამბოვის მგელი იყოს

შენი თანამებრძოლო...

– „ოცნება“ რეიტინგს კატასტროფულად კარგავს, „ენ-დი-აი“-ს ბოლო კვლევაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ერთ-ერთი პოლიტიკური თოქ-შოუს ინტერაქტიულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მთავრობას 20-25-პროცენტით რეიტინგი აქვს, ეს კი, პრაქტიკულად, „ოცნების“ რეიტინგს ნიშნავს.

– არ შეიძლება, სატელევიზიო ინტერაქტიული გამოკითხვა ობიექტურ ქვეყნობრივად მივიღოთ...

– კი ბატონო, მაგრამ ეს „მესიჯი“ გასათვალისწინებელია, თან ამ ფონზე, დარწმუნებული ვარ, საარჩევნო თემატისკის პედალირება მოხდება.

– რას გულისხმობთ?

– ე.წ. მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას. წინა ინტერვიუებში დავით უსუფაშვილს მოვანოდე, რომ ამის ახლა გაკეთება არ შეიძლება, რადგან ეს „ქართული ოცნებისთვის“, პრაქტიკულად, ხარაკირი იქნება, მაგრამ თუკი მაჟორიტარული არჩევნების თემა ბოლომდე გაიტანეს და არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდა, ამას მომავალში სახელმწიფო გადატრიალება დაერქმევა და ხელისუფლება შეიცვლება. ამიტომ „ოცნება“ კარგად უნდა დაფიქრდეს, ყველაფერ ამას რა სახელმწიფოებრივი საფრთხე მოჰყვება.

– სახელმწიფოებრივი საფრთხის კონტექსტში ე.წ. გეორგიევსკის ბაფთებზე უნდა გავიხსოვოთ, მით უმეტეს, რომ რეგიონებში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხალხს 9 მაისი, როგორც ამბობენ, სწორედ ამ ბაფთებით მიულოცა... ეს რა მესიჯია?

– ეს რუსეთისთვის მათამებლური მესიჯია...

– ზოგი იმასაც ამტკიცებს, ეს გეორგიევსკის ბაფთა არააო. აი, მაგალითად, ვინმე იურა მჭითოვი ვენებს იხსნის, ეს „ბანტი“ რუსი ხალხის საკრალური სიმბოლოა და ფეხქვეშ არ უნდა გავთვლოთ...



„რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, დიდი სხელობი-ფოების მხარდაჭერის გარეშე ვერ შევძლებთ. ამიტომაც, ამ მოლაპარაკებაში ჩვენი, როგორც სახელმწიფოს რანგი რომ აინიოს, კარგი იქნება, აზრის მოკავშირის სტატუსი მივიღოთ. ეს სიტუაციას დააბალანსებს და საპარტოველოს საკითხს რუსულ-ამერიკულ პრიზმაში გადაიხვეს. ამიტომ, ხელისუფლებამ ამერიკულ პარტნიორებს უნდა მოსთხოვოს, რომ „ამერიკის მოკავშირის“ სტატუსი მოგვცან, რაც მხოლოდ რუსეთთან კი არა, დასავლეთის სკაპტიკურად განწყობილ ქვეყნებთან სალაპარაკოდაც კარგი მოკავშირე იქნება და ევროატლანტიკურ გზაზე დამატებითი საფრთხეები აღარ გაგვიჩნდება. ნატო-ს ბოლო სამიტზე, ნატო-სთან თავსებადი ქვეყნების ჯგუფში შეგვიყვანეს. მე რომ ხელისუფლებაში ვიყო, ამის მერე ტაქტიკას შევცვლიდი და აქცენტს დასავლეთზე კი არა, უფრო აშშ-ზე გავაკეთებდი. როგორც კი, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს, ისრაელის მსგავსად, თავის მოკავშირე ქვეყნად აღიარებს, დამიჯერეთ, რუსული საფრთხეები მაქსიმალურად შემცირდება!

– ეს ლუსტრაცია! ხელისუფლებას ვურჩევ, დასავლურ არჩევანში უფრო მეტად პრინციპული იყოს, ქართველი ხალხის ევროატლანტიკური ინტეგრაციის სურვილი მეტად გაითვალისწინოს და ორმაგ, გენბავთ, სამმაგ თამაშს მოეშვას! თუკი ცალი ხელით ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ვთანამშრომლობთ, მეორე ხელით კი, რუსეთთან მათამებლურ პოლიტიკას ვატარებთ, საბოლოო ჯამში, იქამდე მივალთ, რომ სერიოზულად აღარც დასავლეთი ალგვიქვამს, აღარც – რუსეთი და ამით ისევ მოსახლეობა დაზარალდება! რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერის გარეშე ვერ შევძლებთ. ამიტომაც, ამ მოლაპარაკებებში ჩვენი, როგორც სახელმწიფოს რანგი რომ აინიოს, კარგი იქნება, აშშ-ის მოკავშირის სტატუსი მივიღოთ. ეს სიტუაციას დააბალანსებს და საქართველოს საკითხს რუსულ-ამერიკულ პრიზმაში გადაიხვეს. ამიტომ, ხელისუფლებამ ამერიკულ პარტნიორებს უნდა მოსთხოვოს, რომ „ამერიკის მოკავშირის“ სტატუსი მოგვცან, რაც მხოლოდ რუსეთთან კი არა, დასავლეთის სკაპტიკურად განწყობილ ქვეყნებთან სალაპარაკოდაც კარგი მოკავშირე იქნება და ევროატლანტიკურ გზაზე დამატებითი საფრთხეები აღარ გაგვიჩნდება. ნატო-ს ბოლო სამიტზე, ნატო-სთან თავსებადი ქვეყნების ჯგუფში შეგვიყვანეს. მე რომ ხელისუფლებაში ვიყო, ამის მერე ტაქტიკას შევცვლიდი და აქცენტს დასავლეთზე კი არა, უფრო აშშ-ზე გავაკეთებდი. როგორც კი, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს, ისრაელის მსგავსად, თავის მოკავშირე ქვეყნად აღიარებს, დამიჯერეთ, რუსული საფრთხეები მაქსიმალურად შემცირდება!

– არაფერს გამოვიცხავ, მით უმეტეს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობა“ ყურების ჩამოყრას არ აპირებს. დააკვირდით, რა ხდება: ბიძინა ივანიშვილის სახლთან აქციას ყოველ დღე მართავენ. ამასთან, „ნაციონალებისგან“ მართული პოლიტიკური ძალებიც გამოიკვეთნენ. ყველაფერი ეს კი, საერთო ჯამში, ნყალს „ნაციონალური“ წისქვილზე ასხამს – ვინმე აღიარებს თუ არა, ოპოზიციურ ავანგარდში სწორედ „ნაციები“ არიან!

– კოტე ბატონო, როგორც უსაფრთხოების ექსპერტს, „ნაციონალების“ პროვოკაციების გათვალისწინებით, ანუ „ყოფილებისგან“, ყველაზე მაქსიმუმს, რას უნდა ველოდო?

– რა გითხრათ?... პატარ-პატარა მომენტები „ნაციონალურების“ და იმ ძალებს, რომლებიც უცხოეთიდან მხარს უჭერენ, იმისთვის სჭირდებათ, რომ ხალხის მენტალობა შემოაბრუნონ.

– რისკენ?

– კი ბატონო, ჩვენ ცუდები ვიყავით, მაგრამ „ოცნება“ უფრო ცუდიაო.

– ყოფილი პრემიერის სახლთან აქციების გამართვით მოსახლეობის მენტალობა როგორ შეიცვლება?

– დააკვირდით, უკმაყოფილო ხალხი მატულობს.

– კი ბატონო, მაგრამ ამ უკმაყოფილების მიზეზი სოციალური ფონია...

– სხვათა შორის, როგორც ვიცი, რკინიგზებზე უფრო მაშინაა მენტალობის გაფიცვას გეგმავდნენ, მაგრამ ვილაცხები ჩაერივნენ და ქვეყანას ეს საფრთხე აარიდეს – რკინიგზებზე გაფიცვა კატასტროფა იქნებოდა! სამაგიეროდ, გაფიცვები ფოთში დაიწყო, აჭარაშიც რაღაცები ხდება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, „სოკარმა“ ერთ-ერთი პროექტი რომ შეაჩერა. გახსოვთ, თავის დროზე გითხარით, ფოთის პორტში „როსნეფტის“, ანუ იგორ სერჩინის შემოსვლას, „სოკართან“ დაპირისპირება მოჰყვება-მეთქი.

– თუკი „ნაციონალებს“ ამდენი მხარდა-მჭერი ჰყავთ, ანუ მოვლენების ფორსირება შეუძლიათ, აბა, 2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩევნები როგორღა წააგებდა?

– „ნაციონალები“, უბრალოდ, არ ელოდნენ, რომ არჩევნებზე იმდენი ამომრჩეველი მივიდოდა, რამდენიც მივიდა. დაბალი აქტივობა რომ ყოფილიყო, „ნაციონალურების“ ხელისუფლებას შეინარჩუნებდა. სხვათა შორის, ადმინისტრაციული რესურსი დღემდე აქვს – მისი კადრების 70 პროცენტი ისევ ძალოვან და სხვა უწყებებში მუშაობს.

– საჯარო მოხელეების მხოლოდ იმ საბაზით დათხოვა, რომ „ნაციონალურების“ მხარდამჭერები არიან, რომელ კანონში წერია?

– კანონში არ წერია, მაგრამ როცა საყოველთაოდ ცნობილია, ვინ ვინაა და ვის კეტი ეჭირა, პასუხი არ უნდა მოსთხოვო? ბოლოს და ბოლოს, ადამიანებს იტაცებდნენ, ზღვაში ახრჩობდნენ და ისინი ისევ თანამდებობაზე სხედან, ეს შეიძლება? არ შეიძლება, იმასზე, როგორც ვთქვით, ორიენტაციის ვარო და ამ დროს ძალოვან უწყებებში ის კადრები გყავდნენ, რომელთა უკანაც პრორუსული ძალები დგანან!

– საჯარო მოხელეების მხოლოდ იმ საბაზით დათხოვა, რომ „ნაციონალურების“ პროვოკაციებს რევოლუციური სახე არ ექნება. უბრალოდ, ამით „ოცნების“ კომპრომეტირება მოხდება. დასავლეთი „ნაციონალურების“ საშუალებას არ მისცემს, რომ ხელისუფლებაში რევოლუციით დაბრუნდეს!

– მაგრამ, თუკი გავყვებით თქვენს ვერსიას, რომ მიზა რუსული პროექტია, მაშინ, სადამდე მივალთ? – თბილისში რევოლუცია არც კრემლს აწყობს?

– არა. კრემლი გარე საფრთხეებს ამოქმედებს.

– რომელ საფრთხეებზე მიანიშნებთ? – კონფლიქტურ ზონებზე. – სხვათა შორის, ზოგი დღევანდელი მხარდამჭერების რევოლუციამდე „პერიოდს

რია!

– არაფერს გამოვიცხავ, მით უმეტეს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ნაციონალურების“ ყურების ჩამოყრას არ აპირებს. დააკვირდით, რა ხდება: ბიძინა ივანიშვილის სახლთან აქციას ყოველ დღე მართავენ. ამასთან, „ნაციონალებისგან“ მართული პოლიტიკური ძალებიც გამოიკვეთნენ. ყველაფერი ეს კი, საერთო ჯამში, ნყალს „ნაციონალური“ წისქვილზე ასხამს – ვინმე აღიარებს თუ არა, ოპოზიციურ ავანგარდში სწორედ „ნაციები“ არიან!

– კოტე ბატონო, როგორც უსაფრთხოების ექსპერტს, „ნაციონალების“ პროვოკაციების გათვალისწინებით, ანუ „ყოფილებისგან“, ყველაზე მაქსიმუმს, რას უნდა ველოდო?

– რა გითხრათ?... პატარ-პატარა მომენტები „ნაციონალურების“ და იმ ძალებს, რომლებიც უცხოეთიდან მხარს უჭერენ, იმისთვის სჭირდებათ, რომ ხალხის მენტალობა შემოაბრუნონ.

– რისკენ?

– კი ბატონო, ჩვენ ცუდები ვიყავით, მაგრამ „ოცნება“ უფრო ცუდიაო.

– ყოფილი პრემიერის სახლთან აქციების გამართვით მოსახლეობის მენტალობა როგორ შეიცვლება?

– დააკვირდით, უკმაყოფილო ხალხი მატულობს.

– კი ბატონო, მაგრამ ამ უკმაყოფილების მიზეზი სოციალური ფონია...

– სხვათა შორის, როგორც ვიცი, რკინიგზებზე უფრო მაშინაა მენტალობის გაფიცვას გეგმავდნენ, მაგრამ ვილაცხები ჩაერივნენ და ქვეყანას ეს საფრთხე აარიდეს – რკინიგზებზე გაფიცვა კატასტროფა იქნებოდა! სამაგიეროდ, გაფიცვები ფოთში დაიწყო, აჭარაშიც რაღაცები ხდება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, „სოკარმა“ ერთ-ერთი პროექტი რომ შეაჩერა. გახსოვთ, თავის დროზე გითხარით, ფოთის პორტში „როსნეფტის“, ანუ იგორ სერჩინის შემოსვლას, „სოკართან“ დაპირისპირება მოჰყვება-მეთქი.

– თუკი „ნაციონალებს“ ამდენი მხარდა-მჭერი ჰყავთ, ანუ მოვლენების ფორსირება შეუძლიათ, აბა, 2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩევნები როგორღა წააგებდა?

– „ნაციონალები“, უბრალოდ, არ ელოდნენ, რომ არჩევნებზე იმდენი ამომრჩეველი მივიდოდა, რამდენიც მივიდა. დაბალი აქტივობა რომ ყოფილიყო, „ნაციონალურების“ ხელისუფლებას შეინარჩუნებდა. სხვათა შორის, ადმინისტრაციული რესურსი დღემდე აქვს – მისი კადრების 70 პროცენტი ისევ ძალოვან და სხვა უწყებებში მუშაობს.

– საჯარო მოხელეების მხოლოდ იმ საბაზით დათხოვა, რომ „ნაციონალურების“ მხარდამჭერები არიან, რომელ კანონში წერია?

– კანონში არ წერია, მაგრამ როცა საყოველთაოდ ცნობილია, ვინ ვინაა და ვის კეტი ეჭირა, პასუხი არ უნდა მოსთხოვო? ბოლოს და ბოლოს, ადამიანებს იტაცებდნენ, ზღვაში ახრჩობდნენ და ისინი ისევ თანამდებობაზე სხედან, ეს შეიძლება? არ შეიძლება, იმასზე, როგორც ვთქვით, ორიენტაციის ვარო და ამ დროს ძალოვან უწყებებში ის კადრები გყავდნენ, რომელთა უკანაც პრორუსული ძალები დგანან!

– საჯარო მოხელეების მხოლოდ იმ საბაზით დათხოვა, რომ „ნაციონალურების“ პროვოკაციებს რევოლუციური სახე არ ექნება. უბრალოდ, ამით „ოცნების“ კომპრომეტირება მოხდება. დასავლეთი „ნაციონალურების“ საშუალებას არ მისცემს, რომ ხელისუფლებაში რევოლუციით დაბრუნდეს!

– მაგრამ, თუკი გავყვებით თქვენს ვერსიას, რომ მიზა რუსული პროექტია, მაშინ, სადამდე მივალთ? – თბილისში რევოლუცია არც კრემლს აწყობს?

– არა. კრემლი გარე საფრთხეებს ამოქმედებს.

– რომელ საფრთხეებზე მიანიშნებთ? – კონფლიქტურ ზონებზე. – სხვათა შორის, ზოგი დღევანდელი მხარდამჭერების რევოლუციამდე „პერიოდს

სკანდალური ექსკლუზივი

მ-3 გვერდიდან

ადარებს და ამბობს, რომ „ნაცები“ მაშინაც ასე ემზადებდნენ...

— რევილუცია არ იქნება!

— არც ხავერდოვანი?

— ხავერდოვანი რევილუცია 2016 წელს, არჩევნებზე მოხდება და ამ რევილუცის სცენარიც გითხარით: თუ ისე მოხდა, რომ მაჟორიტარული არჩევნები გაუქმდა, ეს ხელისუფლების შეცვლის ერთ-ერთი საშუალება იქნება, თუმცა „ნაცმოძრაობა“, თუ კოალიციას არ შექმნის, ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება!

— მოკლედ, სახელმწიფო გადატრიალების მზადების ნიშნები სახეზეა?

— ძალიან მცირე. მაგალითად, ერთ-ერთი ნიშანი საარჩევნო კოდექსის ცვლილების მოთხოვნაა...

— ...კოტე ბატონო, წელან, წითელუბნის ინციდენტი ახსენეთ. რისი თქმა გინდოდათ?

— 2007 წლის 6 აგვისტოს, 19:30 საათზე, საქართველოს ტერიტორია, კერძოდ, კონფლიქტის ზონასთან ახლოს, გორის გზაზე, სოფელი წითელუბანი უცნობი საფრენი აპარატით დაიბომბა, რასთან დაკავშირებითაც დღემდე ბევრი შეკითხვა პასუხგაუცემელია. არადა, „ნაცმოძრაობას“ განმარტებები ჯერ კიდევ მაშინ მოვთხოვეთ.

— ხელისუფლება რა შუაშია, თუკი ეს უცნობი საფრენი აპარატი, ვთქვათ, რუსული იყო?

— საქმეც მაგაშია, რომ არ ვიცით, ეს აპარატი რუსული იყო, ჩვენი თუ, სულაც, დაბომბვის იმიტაცია მოაწყვეს!

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომხდარზე ოფიციალური კომენტარი 14 საათის დაგვიანებით გაკეთდა.

— ეს რა ეჭვს გიჩენთ?

— გეტყვით, თუმცა ჯერ შეკითხვებს გაბატონობთ:

რატომ არ შეიკრიბა ეროვნული უშიშროების საბჭო; რომელი ორგანო უნდადა კოორდინაციას ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური ღონისძიებების გატარებას, ანუ როცა შენს ტერიტორიაზე უცნობი საფრენი აპარატი ბომბს ჩამოაგდებს, ეს, მინიმუმ, მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, პირველ რიგში კი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მხრიდან.

საინტერესოა, რომ საქართველოს ფიქსირებული ჩანაწერები არ გამოქვეყნებულა, არადა, ამით პასუხი ბევრ რამეს გაეცემოდა. ასევე, არც თავდაცვის სამინისტროს სარადარო მონაცემებისა და საქართველოს საინფორმაციო უშიშროების მომხდარა.

ვანო მერაბიშვილი გამოვიდა და „დაბრუნდა“, ეს რუსების „სუ-24“ ტიპის საფრენი აპარატი იყო, მაგრამ საინტერესოა, საფრენი აპარატის ტიპი როგორ დაადგინეს, როცა თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი ტექნიკური საშუალებებით საფრენი აპარატის მარკის კი არა, მხოლოდ ფრენის სიმაღლისა და სიჩქარის დადგენა და ამით იმის განსაზღვრა შეიძლებოდა, საფრენი აპარატი სამოქალაქო ტიპის იყო თუ სამხედრო. საერთოდ, საფრენი აპარატის ტიპის დადგენა კოსმოსური ტექნიკური საშუალებებით შეიძლება, რაც საქართველოს არ აქვს.

სხვათა შორის, ჩამოგდებული ასაფეთქებელი საფრენი აპარატის შესახებ ურ-



თერთგამომრიცხავი ინფორმაცია გავრცელდა, ანუ ზოგი წყაროს მიხედვით, ეს ავიაბომბი იყო, სხვა წყაროების მიხედვით კი, წითელუბანთან ჰაერ-მიწის მართვადი რაკეტა ჩამოვარდა. ისიც ითქვა, რომ ანტი-სარადარო რაკეტა იყო.

რაკეტის ტიპს თავი რომ დავანებოთ, რატომ არ დადგინდა, თუ რა მიზეზით არ აფეთქდა ჩამოგდებული საფრენი საშუალება? ამასთან, ტელევიზიით ნაჩვენები ჭურვის გაუფრთხილებლობით წარმოქმნილი აფეთქების ძალა 140 გრამი ტროტილის აფეთქების ეკვივალენტს როგორ უდრდა.

— ტროტილი რაღა შუაშია?

— გვითხრეს, ჭურვი 140 გრამი ტროტილის ძალის იყო...

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე რიცხული თითქმის ყველა სახეობის საბრძოლო იარაღის საბრძოლო მასალის ძირითადი მწარმოებელი იმხანად რუსეთი იყო, თუმცა ჩამოგდებული ჭურვის მწარმოებელ ქვეყანაზე არაფერი გვითხრეს. არც ის გახმაურებულა, აღნიშნული ასაფეთქებელი საშუალება როდის იყო წარმოებული.

სწორედ ამ პასუხგაუცემელი შეკითხვების გამო გაჩნდა ეჭვი, რომ წითელუბნის ინციდენტი წინასწარ იყო ორგანიზებული.

— რა მიზნით?

— იმ მიზნით, რომ სიტუაცია დაეძაბათ. თარიღს დააკვირდით: ინციდენტი 2007 წლის 6 აგვისტოს მოხდა, ანუ ომისთვის მზადება მიდიოდა...

— „ნაცმოძრაობა“ მსგავსი პროვოკაციის მოწყობას დღესაც შეძლებს?

— ვერა. ასეთ პროვოკაციას ხელისუფლებაში ყოფნა სჭირდება, თუმცა „ნაცმოძრაობას“ თავისი მედია აქვს, რომლითაც ვითარების ფორსირება, რასაკვირველია, შეუძლია.

სხვათა შორის, თინა ხიდაშელი დარწმუნებული არ უნდა იყოს, რომ ის კადრები, რომლებიც გენშტაბში არიან და რომლებსაც „ნაცმოძრაობასთან“ ურთიერთობის კარგი ბეგრანდი აქვთ, დაძაბულობის შემთხვევაში, ადეკვატურ ღონისძიებებს გაატარებენ...

— ბატონო კოტე, ამ ზაფხულს პოლიტიკური ტემპერატურა კულმინაციას მიაღწევს?

— არა, რადგან ზაფხული „მკვდარი სეზონია“. ამიტომ, პოლიტიკური ტემპერატურა კიდევ უფრო სექტემბერში მოიმატებს.

— ისე, ხმა დადის, მიშა შემოვალა, ნახეთ, შემოდგომაზე რა მოხდება...

— მიშას ნათქვამი არაფერს ნიშნავს, თუმცა ის უნდა გააუფრთხილებოთ, თორემ უარესად გალალდება. თუკი „ოცნება“ სააკ-აშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტებს არ წამოწვევს და მსვლელობას არ მისცემს, სახეშეცვლილ მიშას მიიღებს!

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი (თემის გაგრძელება იქნება)

იკური ტემპერატურა კულმინაციას მიაღწევს?

— არა, რადგან ზაფხული „მკვდარი სეზონია“. ამიტომ, პოლიტიკური ტემპერატურა კიდევ უფრო სექტემბერში მოიმატებს.

— ისე, ხმა დადის, მიშა შემოვალა, ნახეთ, შემოდგომაზე რა მოხდება...

— მიშას ნათქვამი არაფერს ნიშნავს, თუმცა ის უნდა გააუფრთხილებოთ, თორემ უარესად გალალდება. თუკი „ოცნება“ სააკ-აშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტებს არ წამოწვევს და მსვლელობას არ მისცემს, სახეშეცვლილ მიშას მიიღებს!

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი (თემის გაგრძელება იქნება)

სტოპკადრი

„ღამის მგლები“ ახალი სკანდალი — „პუტინის ძეგს“ კრიზისალაზი აფინანსებენ?

გერმანული მედია პუტინის მეგობარ „ღამის მგლებზე“ სკანდალურ მასალას აქვეყნებს. „ბილდის“ ინფორმაციით, ბაიკერებს რუსეთის მაღალი თანამდებობის პირების გარდა, კრიზისალური სამყაროს საეჭვო წარმომადგენლებიც აფინანსებენ.

„ბილდის“ შურნალისტების მონაცემებით, „ღამის მგლებს“ თანხები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამსახურიდან, რუსეთის სამხედრო წარმომადგენელთა ვიციტებთან.

შურნალისტების ეს დასკვნა გერმანიის სპეცსამსახურებში წყარომაც დაადასტურა. როგორც სტატიაშია ნათქვამი, 2009 წელს, „ღამის მგლები“ ჩვეულებრივი ბაიკერები იყვნენ. თუმცა შემდეგ დაიწყო მათი მიზანმიმართული პოლიტიკური საქმიანობა და კლუბში სულ უფრო მეტი და მეტი რუსი ნაციონალისტი შევიდა. სწორედ ამის შემდეგ მიიღო კლუბმა საეჭვო წყაროებიდან თანხები.

გამოცემის ინფორმაციით, ყირიმის ანექსიის სამზადისის წინ, ბაიკერები „პუტინის ჯარისკაცების“ მხარეს იბრძოდნენ და წვდომა ჰქონდათ რუსულ იარაღთან.

სტატის ავტორი, ასევე, ამტკიცებს რომ ბაიკერების საცხრამისო ვეროპული გარბენის ორგანიზატორი ანდრეი ბობროვსკი ოკუპირებულ ყირიმში წარმატებული ბიზნეს-მენია და დაკვეთებს კრემლისგან იღებს.

„ბილდის“ ინფორმაციით, „ღამის მგლებს“ „ბუდე“ გერმანიაშიც აქვთ და ორგანიზაციაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ელიტური ქვედანაყოფის წევრებიც არიან გაერთიანებული.

სტატიაში, ასევე, საუბარია, რომ „ღამის მგლები“ რუსეთის მიერ წარმოებულ ჰიბრიდულ ომებში მონაწილეობდნენ.


აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „ღამის მგლებს“ ფინანსირებასთან დაკავშირებით ცნობილმა რუსმა ოპოზიციონერმა ალექსანდრე ნავალიმ საკუთარ ბლოგში დაწერა. მისი ინფორმაციით, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, „ღამის მგლებმა“ რუსეთის ბიუჯეტიდან გრანტის სახით 65 მილიონი რუბლი მიიღეს.

„ღამის მგლები“ რამდენიმე წელია, ღია მხარდაჭერას უცხადებენ ვლადიმერ პუტინს. 2011 წელს პუტინი და „ღამის მგლებს“ ლიდერი ალექსანდრე ზალდოსტანოვი, იგივე ქირურგი, ნოვოსიბირსკში ბაიკერების ფესტივალზე ერთად გაემგზავრნენ. სწორედ მაშინ უწოდა პუტინმა ბაიკერებს ძმები.

„პირველი რადიო“

„ამიტომ, ვიდრე სესიაშილი განცხადებას გააკეთებს, ვურჩევ, სერიოზულად დაფიქრდეს და იმის თქმისგანაც თავი შეიკავოს, რომ ოტო-ს ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბებით, ხელისუფლება თითქმის ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნავს! ისე, თუკი ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდება, უკანონო მოსახლეობა და თვალთვალის უფრო ტოტალური განხორციელება, მით უმეტეს, თუკი ოტო მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებაში იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ინფორმაცია არ გაჟონავს? კი ბატონო, ე.წ. საიდუმლოების დაცვის პირადი ინსპექტორი გვყავს, მაგრამ ის საჭმის ვერ უშვალის, რადგან ჯერ ერთი, საჭმის პროფესიონალი უნდა იყოს, მეორეც, ზემოხსენებული საფრთხეების ასაცილებლად კონკრეტული მექანიზმები უნდა შეიმუშაოს.“

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშენებელი ხარ შენით იქვე; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კარგო ღონისძიება



საქართველო
საქართველო

■ □ **შოთაია**

ბრიტოლ ორბელიანი

ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი? ვინ გიხილოს დროსა საშის, არ დაჰსთხიოს თვისი

სისხლი.
არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი ვინ არ შეგვსტრფით მას აღგიოს, სად აღგვეხილეს

პირველ თვალნი? სად ჰრბიოდა მხიარული სიყმანვილე ნათლად ჩვენი? სად გვფარვიდა ნებირად ხვეწა-ალერსი მშობლისა, და სად აღგვეთო პირველად გულს ცეცხლი

სიყვარულისა, სად ან ნაზისა რხევითა კეკლუცი, გულის მიმტაცნი, ტაძრად მიდიან ცრემლითა ჩვენთვის მხურვალედ

მლოცავნი! სადა შეგვხარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა, მასზე მავალსა ხელმწიფებრ, მზეს ბრწყინვით

განსხივებულსა, ღამით ვარსკვლოვანს ფირუხსა, მთოვარით განათებულსა!

სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა! სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცაღმდე ასულნი და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე

მსროლენნი; უფსკრულნი — ჩაბნელებულნი, კლდენი — თვალ-გადუნვდენენნი, სად მონადირე ჰსდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან

ლრუბელნი. სად ველნი, ფერით ზურმუხტნი, ნაზადა აღმწვანდებიან, მათზე კასკასით წყარონი, გახარებულნი მორბიან;

მათ სიკამკამეს ყვავილით თავდახრით განცვიფრდებიან; გულს მათი ხილვა უხარის, თვალთ კვალად ენატრებიან; სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!

შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა, იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!.. მამულისათვის ფიალა საცხე ვსვავთ სიამოვნებით, და იქმნეს ალყავებული კეთილ-დღეობით, დიდებით;

იქმნეს მის ქედი ალყავანილ ცათამდის ძეთა მხნეობით, და სიყვარულის მისდამი ვჰხარობდეთ გულსა აღგზნებით სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა! მის სადიდებლად ჩვენც შეგვხვდეთ უშიშრად ათასს

მახვილსა, და მოვჰკვდეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა!

მხადარნი

ჰე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი? ვინ გიხილოს დროსა საშის, არ დასთხიოს თვისი სისხლი, არა დაკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!

სადღებრძელო

ვაი ვინცა ეშის ცეცხლით ჩემებრ გულსა მკვდრად და მარამ, ჰე შენ, მეგობრობავ, შევბის ვარსკვლავად

აღგვეგ ზენი გვინათლე ცხოვრებისა გზა, ზედა ყვავილით მოჰფინენ, და განჰვლოთ გულის სიმტკიცით, შენც თანა-მგზავრად

შეგვექმენი რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი? თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმენთ

ნუგეშ-მცემელი? თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?

სხვის კვნესა თუ არ გვანუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი? ამ ჰაზრის გულსა დანერგვით ვჰსდევნიდეთ

სულ-მოკლეობას! ვჰსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს და მისსა უსამართლობას;

ვჰსდევნიდეთ კაცის წამპილწველს, უწმინდურს ანგაარებას: ვჰსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცისა სულის მადლობას!..

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თავყანის-ცემა ღირსებას: ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის-შვილობას!

კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მადლით ცხებული; მის მხოლოდ ღვანლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებულის!

კმარა მოძღვრება... დავლით... ვინ იცის ხვალ ვინ მოგვაკლდეს? ნაცვლად ღვინისა, იქნება ვისმე გვითხრიდნენ სამარეს?!

ოს! ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს, ანუ ჰსჭვრეტდეს საშის ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს!

მისთვის ეს ჟამი ღვინისა მოვჰსწყვიტოთ, ვითა ყვავილი, რომლისა სუნი, სიტურფე, არა არს ჯერეთ გამჭრალი! სვალის იმედით არ ვჰკარგოთ ეს ჟამი მალხინებელი, თვარა მერნმუნეთ, რომ სვალე ხშირად არს

სადღებრძელო

მაცდუნებელი! მეგობრობასა წმიდასა შეგვსწიროთ სრულად რაც გვაქნდეს!

დავლით მისთვის ფიალა და ალტქმა არა გვაგინდეს... ვიყვებით ცოცხალნი მეგობრად და ვინცა ომში დაეცეს, ცრემლნი, კურთხევა მეგობართ თან გავაყოლოთ სამარეს!

მხადარნი

ანვე შევექცეთ, ჰე, ძმანო! ვინ იცის ხვალ ვინ მოგვაკლდეს? ნაცვლად ღვინისა, იქნება, ვისმე გვითხრიდნენ სამარეს. ოს! ვით ძნელ არს მეგობრისთვის, მეგობარსა რომ მარხავდეს,

ანუ ჰსჭვრეტდეს საშის ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს! **სადღებრძელო**

ძმანო, ივნიყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და დიდება; მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკებდა, რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება,

რომლით კაცი მშენებრობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება!

სად ხარ, სიყვარულის დღევ, აღარა უკმოიქცევი? ღიმილით შენსა შეყრასა ნუთუ ამოდ ვისურვი? გულისა მნათი, ღამპარი ნუთუ ჩემთვისა განჰქარდა და ჩემი ბედნიერებაც წასულთა დღეთთან წარვიდა?.. გული რა იგრძნობს სიყვარულს, სიცოცხლეს მაშინ

აჰყვავდეს, ნეტარ ის ჟამი, როს სატრფო თავსა ჩვენსა გვაგინდეს: მას შეგვსტრფოდეთ, შეგვხაროდეთ, თავს ვევლოდეთ, ის გვტანჯავდეს; ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ღმობითა

ნუგეშგვცემდეს! რა ნახოს კეთილ უგრძობმან ტრფობისა ძნელთა ჭირებთა,

ვის არ შეეხო ეშის გულს, არ ებრძვის გულის ნყლულებთა? მიჰხედეთ ვარდას, მაშინ ჰფენს უმეტეს სუნნელებთა!

ოღეს ნიავე შეხებით შეარყევს მისთა რტოებთა! სიყვარულისა ალითა ვის ჩვენში გული ეწოდეს, და სატრფოს სახე მარად ვის სულსა აღბეჭდვით თან

ჰსდევდეს, ამა სოფელსა, მას რაი წინა საბრკმელად აღუდგეს? გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა ალასრულელებდეს?

მაშ, აბა, ძმანო, გულის სატრფოსთვის ფიალა საცხე შეგვსტრფოდეთ ნყურვილით! ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჭმუნვის გაშრეს, ვით ღვინო, ამა ფიალით!

შევიბისა დღენი მისთვის არ შეჰსწყდეს, არ ვნახოთ იგი ჭმუნვისა ღრუბლით! ახ, სატრფოს ხილვის დღე როს აღმოჰსჩნდეს, ენა გვემუნჯოს მეტ სიხარულით!

ჰე, ჩემო ღმერთავ! ან შენ მოგმართავ! მისმინო კვალად შორით სიტყვანი: ყოველ ჩემ ფიქრთა, ჩემთ საუბართა, იდუმალ ოხრვით, ხარ შენ საგანი!

თუ-არა შენზე, ვუბნობდეს სხვაზე! ბრალი არს ენა და მის როტვანი! ვაი-თუ ჩემმან, უდროდ შეგ-ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც

ალასარული! ვაი-თუ მოვკვდე, მეც ობოლ-მწირად, გულს არ დამეცეს სატრფოს ცრემლი. არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა, სიკვდილის ჟამის დამატკობელი?

არა ვემთხვიო, ბაგით ძლიერ-ცოცხლით, უკანასკნელად მშენებრობის მის გულს. რომ სახე მისი, თვალთა დახშულმან, თანა წარვიღო იმიერ სოფელს

მუნ საშეგებლად, მუნ სანუგეშად, და რათა მივთ ვეცნა უკვდავება!.. რაა გინდ მოგჰკვდე? მაინც შენდამო სულს სიყვარული თანა წარჰყვება!..

არს უკვდავება, სულის დატკობა, რომელს დასასრულ არა ექმნების. მაშ სახე, სულის დამატკობელი, იმიერ სოფელს არ განგვშორდების.

და სიყვარული, სულის მაშენი, სიცოცხლეს-თანა არა დამშრტების, თვარა სიყვარულს თუ დავჰკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ რა მომცეს?

უსიყვარულოდ დასუფუველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს!..



მხადარნი

მაშ, აბა, ძმანო, ერთიც სატრფოსთვის ფიალა საცხე შეგვსტრფოდეთ ნყურვილით; ვისურვოთ, რომელ მის ცრემლი ჭმუნვის გაშრეს, ვით ღვინო, ამა ფიალით!

ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰლდება, ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შევენება! აენთენ ცეცხლის ალგებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი; ცა მშენებრობს, ნათლდება... მასა შეგნატრით

მხილველნი! ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან! ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!

მოჰქრის დილისა ნიავეც გულისა მაგრილებელი; ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი! ოჰ, რა ღამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!

დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰგალობს ბულბული? ირაკლის თაფაც გამოჩნდა... აჰა, მთაც კიდობანისა!.. აი მყვირალა ზანგიცა და ბურჯნი ერევანისა!..

ბატიანდა

ვიშ, ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა, გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკობელსა!..

ღმერთო, ვინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს, მისს ფერ უთვალავს შევენებას? სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..

ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნალარა ცისკრისა... განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა! აი, თოფიცა გავარდა... აი რბის ცხენი მხედრისა!

ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად მსურს სისხლი კაცისა? ჩვენც ავდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლით! და დღეს ვინც ველარ დაბრუნდეს, ის ცრემლით

მოვისხენით! დასრულდა, განჰქრა, სიზმარებრ ესე ღვინითა ღამისა... წარვიდეთ, სადაც მიგვიწოდეს ხმა საიდუმლო მხედრისა! თ. ალექსანდრე ვახტანგისძეს ორბელიანს

ან სად არიან ივინი, მას ჟამსა ღვინში ვინც იყვნენ? ძმანი და ტოლნი, ვაჟყაცნი, რომელნი ხილვით გვაღებდნენ?..

განგვშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ, თვალთ მიგვეფარნენ... ნავიდნენ... ძველთაგან დავშოთ მე და შენ!..

ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვჰსთქვი? და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის ნყლულად, გულს დაშთა და მით ვიტანჯი!..

მაგრამ, თუ ვინმე აქ ჰპოვა აზრი ნაცნობი გულისა, ვივინყებ, რაც ვსვი სიმწარე ეკლიანს გზაზე სოფლისა!.. ან რაღას ველი სოფლისგან, რა მისხარინ, რა მინდა? რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კი ვგრძნობ, რაცა

მიყვარდა; დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა. ვჰმზერ მწუხარებით მომავალს და ვჰსწყველი ფუჭად წარსულსა!..



საქართველო
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

გორგოლაძე

პროზა

მინისქვეშა გადასასვლელი



...ისინი ისევ მინისქვეშა გადასასვლელ-თან შესვლენ.

ეს დაგეგმილი შესვლედრა არ იყო... ერთმანეთს თვალი წამიერად ჰკიდეს. ორივე შეცბა...

— ნეტავ, ამისთვის ვაპირებდი ოჯახის დანგრევას? — გაიფიქრა ერთ-ერთმა მათგანმა.

— რა სულელი ვიყავი, ამაზე ჭკუა რომ გადამეკეტა?! — ტუჩები ააცმაცუნა მეორემ. ამასობაში წამიც გავიდა და... ორივე თავის გზას გაუყვა.

მათ ვინაა აღარ ჰქონდათ, თუმცა პატივმოყვარეობა რომ დაეძლიათ და ერთმანეთი მოეკითხათ, ყველაფერი შეიძლება, ისევ თავიდან დაწყებულიყო.

— იქნებ, მივბრუნდებ და გამოველაპარაკო? — ფიქრობდა ერთ-ერთი მათგანი.

— რა დაშავდება, ისე, უბრალოდ, რომ ვკითხო, როგორ არის, სამსახურის საქმეები როგორ მისდის, — ბუტბუტებდა მეორე. ორივე გაჩერდა.

ნაბიჯს ვერც წინ დგამდა, ვერც — უკან...

— პირველი მე რატომ უნდა მივიდე? — ფიქრობდა ერთი.

— თუ კარგია, თვითონ მოვიდეს და მომიკითხოს, — ტუჩს იკვნიტდა მეორე.

ქუჩა ხალხით იყო სავსე... სულმა წასძლია და უკან მიიხედა... ისიც იყურებოდა...

მანძილი არცთუ დიდი იყო, სულ სამი-ოთხი ნაბიჯი... ისევ ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდებოდნენ და... ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა.

მაშინაც ხომ ასე მოხდა: ის მინისქვეშა გადასასვლელში ჩადიოდა.

ქვემოდან ვიღაც ამოვლიდა. ყურადღება არ მიუქცევია... ანაზღაურებად, შემხვედრმა წაიბორძიკა და რომ არ დაცემულიყო, ინსტინქტურად ხელი გაიშვირა, თითქოს ვიღაცას დახმარებას სთხოვდა.

თვითონაც ინსტინქტური რეაქცია ჰქონდა — გამონვლილ ხელს ხელი შეაგება და... რალაც არამინიერის სიბორო იგრძნო. მასაც ურუანტელმა დაუარა...

— უნდა გავიცნო, — გაიფიქრა ერთმა.

— ჩვენი შესვლედრა ბედისწერაა, — გაუელვა მეორეს...

უცნაურად დაწყებული ნაცნობობა უცნაურად გაგრძელდა: წესით, სადმე უნდა დამსხდარიყვნენ და ყავა დაეღიათ, მაგრამ იქვე, მინისქვეშა გადასასვლელის კიბეზე ჩამოსხდნენ.

ჯერ დუმდნენ... მეორე ერთმა თქვა: — წვიმს, მაგრამ სასიამოვნო ამინდია. — ჰო, — კვერი დაუარა მეორემ, — სიცხეს სიცივე მირჩევნია.

მეორე ისევ დადუმდნენ. ისხდნენ და ერთმანეთს კი არა, კიბეზე ამავალ-ჩამავალ ხალხს ათვალიერებდნენ.

— დაინახე, იმას რა უცნაური ფეხსაცმელი ეცვა? — მხოლოდ იმიტომ თქვა ერთმა, რომ რალაც უნდა ეთქვა.

— მეც მხოლოდ ფეხსაცმელზე ვაკვირდ-

ები ხალხს, — დაიჩურჩულა მეორემ და ახალი ნაცნობის ფეხებს მიაშტერდა.

ეუცნაურა: მინისქვეშეთის ნაცნობს შავი „ზამშის“ ოდნავ მრგვალცხვირიანი ფეხსაცმელი ეცვა, რომელსაც თეთრი, თოვლივით თეთრი ლანჩი ჰქონდა.

მეორე, თავის ფეხსაცმელსაც დახედა. არ მოეწონა.

— ნეტავ, ეს რამ ჩამაცმევინაო, — გაუელვა და ფეხები უხერხულად აათამაშა.

— ალბათ, დაილაბა, — დაასკვნა ერთმა და შესთავაზა, — ნავიდეთო.

— სად? — დაიბნა მეორე.

— რა ვიცი, სადაც გინდა... — მოდი, მინისქვეშა გადასასვლელში ვისეირნოთ.

— რატომაც არა?! 20-25-მეტრიანი მინისქვეშა გადასასვლელში ბოლოს სცემდნენ... ხუთი, ათი, ოცი, 30 წუთი გავიდა... — ნეტავ, რას დადიან? — მხრები აიჩეჩა მათხოვარმა, მუყაო საბანივით წაიფარა და თავი ძილს მისცა.

— დავიშალოთ, — თქვა ერთმა.

— როგორც იტყვი, — დაეთანხმა მეორე. მინის ზევით ავიდნენ... ტელეფონის ნომრები გაცვალეს... მთელი ღამე მესიჯობდნენ... მეორე დღეს, ირიჟრაჟა თუ არა, ისევ შეხვდნენ...

— ჩემი მინისქვეშა ვნება, — გაიფიქრა ერთმა, როგორც კი მეორე გამოჩნდა.

— ცხოვრება სიგიჟეა და ამიტომაცაა მშვენიერი, — ლამის ერთდროულად გაიფიქრა ორივემ.

მეორე? მეორე არაფერი: იყო რამდენიმე უმნიშვნელო შესვლედრა. ყველა შესვლედრაზე უმეტესად ჩუმად იყვნენ — ისხდნენ და, ტრადიციულად, ხალხს ათვალიერებდნენ.

კიდევ უნდა შესვლედროდნენ, დათქვეს კიდევ, ვისკი დავლიოთო, მაგრამ შესვლედრას ვინ ჩივის, ერთმანეთთან სატელეფონო კავშირის სურვილიც კი აღარ გასჩენიათ.

საერთო ნაცნობებიც კი არ ჰყავდათ, ერთმანეთის ამბავი ასე მაინც რომ გაეგოთ. ერთმა დაივიწყა მეორე და მეორესაც თითქოს აღარ ასსოვდა. სინამდვილეში კი, ორივე მინისქვეშეთის მოგონებით ცოცხლობდა...

ორივე დარწმუნებული იყო, რომ ერთმანეთს, ადრე თუ გვიან, ისევ შეხვდებოდნენ. შეხვდნენ კიდევ... ისევ მინისქვეშა გადასასვლელთან... წესით, ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ... ყველაფერი ისე დარჩა, როგორც იყო: ერთმანეთს მზერა წამიერად გაუსწორდა... თავთავიანთი გზით წავიდნენ...

.....

არიან ადამიანები, რომელთაც შემთხვევით, წამიერად ვხვდებით, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაზე წარუშლელ კვალს ტოვებენ. ასეთ შესვლედრას პარაფსიქოლოგები კარმულ კავშირს ეძახიან...

ვანო პავლიაშვილი

რანდევუ

თვითმკვლელთან

...დიდხანს ვეძებდი.

ვის აღარ ვთხოვე, თუ რამე გაიგე, მითხარი-მეთქი, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ბოლოს, ხელი ჩავიქინე, ვერასოდეს შევხვდები-მეთქი და აი, ბედმა სწორედ მაშინ გამოიღმა... გავვოცდი: მას, ვისაც ამდენ ხანს ვეძებდი, თურმე, ბავშვობიდან, ლამის დაბადებიდან ვიცნობ.

როგორ მივხვდი, რომ ის იყო? — მარტივად: ვსაუბრობდიო... რაზე? — არაფერზე.

საერთოდ, არაფერზე საუბარი, ანუ სიჩუმე ყველაზე კარგი დიალოგია — ამ დროს ადამიანს, შეგიძლია, ყველაზე დიდი სიგიჟეც კი გაანდო.

ჰოდა, მაშინაც ასე მოხდა... ვისხედით... ხმას არც ის იღებდა და არც — მე... ანაზღაურებად მივხვდი: ეს ის იყო, ვისაც ვეძებდი... გამეღიმა... ხმამალა კი, ვთქვი: — ოცნებები ხდება! არაფერი უთქვამს... მდუმარე დიალოგი ედიტმა დაარღვია... პიაფის ხმამ სტიმული მომცა და... მაშ, ასე: მე რანდევუ მაქვს, რანდევუ... თვითმკვლელთან... — თავის მოკვლას მართლა აპირებ? — ვაჯახე და მეტი თავდაჯერებულობისთვის, სიგარეტს მოვუკიდე.

— პიაფი შენც გიყვარს? — სიტყვა ბანზე ამიგლო. ახლალა შევამჩიე: თვითმკვლელის გამომეტყველება დეპრესიული სულაც არაა, მაგრამ თვალეში?.. თვალეში არამინიერად ლამაზია — შეხედავთ თუ არა, მოინუსხებით. მეც ასე დამემართა, მაგრამ მზერა რომ გავუსწორო, პირველი შთაბეჭდილება გამიქრა: ეს არამინიერად ლამაზი თვალეები პირდაპირ მეუბნებოდნენ, სიკვდილთან ვართ წილნაყარნიო...

დავიბენი, მაგრამ ისევ პიაფმა მიშველა... — არ დაეუშვებ, რომ თავი მოიკლა! — შევეცადე, რაც შეიძლება მკაცრად მეთქვა.

— სულ შენ შეგეკითხები! — ცინიკურად მომიგო.

— ახლავე პოლიციას გამოვიძახებ, — წამოვიძახე და ტელეფონს ვეცი.

— რა სასაცილო ხარ, — თვითმკვლელმა გაიღიმა. იდუმალად მაცდუნებელი ღიმილი ჰქონდა... ენა დამებდა... ისევ სიგარეტს მოვუკიდე... — ლუდს დალეე? — ისე მკითხა, თითქოს თავის მოკვლისთვის კი არა, ჯვრისწერისთვის ემზადებოდა.

— ლუდი არ მიყვარს, მაგრამ შენი ხატით, დავლეე, — ნავილულულე.

— სხვისი ხატით არასოდეს არაფერი გააკეთო, თორემ შენც თვითმკვლელი გახდები! — დამმოძღვრა.

— გამოირიცხულია! — წარმოვთქვი ყალბი სიმტკიცით, — მყარი ფსიქიკა მაქვს!

— მეც, სხვათა შორის, მყარი ფსიქიკა მაქვს, — გამომაჯავრა.

— გეტყობა, — ლუდი მოგწონს და ოთახი მოვათავლიერე. იმის ნიშანწყალიც კი, რომ აქ სუიციდისკენ მიდრეკილი ჰომოსაპიენსი ცხოვრობდა, ვერ აღმოვაჩინე: კედლები ფერად-ფერადი ქალაღებით იყო აჭრელებული. ერთ კუთხეში საათების გორა „იდგა“; ყველანაირი საათი იყო — კედლის, „მაჯის“, იაფფასიანი, ოქროსსამაჯურიანი.

— კოლექციონერი ხარ? — თვალით ვანიშნე.

— წნ... — ამდენი საათი რად გინდა? — არ მოვეუწი.

— ადამიანო, ბავშვობიდან მიცნობ და ახლა გაიგე, რომ საათებს ვერ ვიტან?

— ბავშვობიდან კი გიცნობ, მაგრამ შენთან დღეს პირველად მოვედი... მოიცა, მომესმა თუ საათი მართლა არ „გეგვასება“?

— არ მოგესმა... — თუ არ „გეგვასება“, აბა, რატომ აგროვებ?

— იცი, რას გეტყვი? — ზოგჯერ რალაცებს შეკითხვების გარეშეც უნდა მიხვდე... — გაგაბრაზე? თვითმკვლელმა პასუხი ისევ არ გამცა... ისევ „სიჩუმის დიალოგის“ რეჟიმზე გადავედი... ედიტი ისევ სულ შიჩამწვდომად მღეროდა... უცნაური განცდა ჭაობივით მითრევდა... თვითმკვლელი ლუდს სვამდა... მე ვფიქრობდი... მაშინაც ვფიქრობდი, როცა გავიგე, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა... — მეორე?.. მეორე მისი ერთი ნათქვამი გამახსენდა, ადამიანები თვითმკვლელობამდე დროს მიჰყავსო... ისე, სისხლის სამართლის კოდექსში დროზე, როგორც თვითმკვლელობამდე მიმყვანზე, მგონი, არაფერია ნათქვამი...

პ.ს. თვითმკვლელი არ გამომიგონია... მას რეალური პროტოტიპი ჰყავს. ვინ? რა საჭიროა დაკონკრეტება. თუ დაფიქრდებით, ასეთ თვითმკვლელს მხოლოდ თქვენს გარემოცვაში კი არა, საკუთარ თავშიც აღმოაჩენთ!..



„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშენიერებას სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კარგე ლეონი

ქვეყნის მშენებელი. ქვეყნის მშენებელი.

ახალი ღმერთები



მზა ხელაყური

სხვისი ბედნიერება

მე რა ხელი მაქვს გზაზე მოსრიდულ მანქანებთან, ველოსიპედებთან, ცხენებთან... მე რა ხელი მაქვს ცაში მონავარდეთ თვითმფრინავთან, არწივთან, მერცხალთან... მე რა ხელი მაქვს კუს ტბაზე, ლოკოკინას ტბაზე,

ან მგლის ტბაზე მოძუნძულე, – გახდომის შინით შეპყრობილ გოგო-ბიჭებთან, ქალებთან, კაცებთან... რა მესაქმება გაბრწყინებულ ქუჩებთან, თემების რხევით მოსიერად რეკლამებთან – ეს მე არ მეხება! ეს ჩემი არ არის! ყველაფერი ხელშეუხებელია და... შორეული... არც მათ ესაქმებათ ჩემთან არაფერი! სხვისი ბედნიერება კვლავ მამბედნიერებს, როგორც უნინ, მაგრამ მე მათთვის სხვისი უბედურება ვარ!

● ვერა, ვერ ჩავჯექი ვერც ერთ განრიგში, ჩარჩო ვერ მოვირგე, ვერც ვერა ნიღაბი... ვერც ჩემმა თითქმის სიკვდილმა დაამწი უხრა ვინმე, ვერც თითქმის სიცოცხლემ... ვერც სიბრძნემ მიშველა, ვერცა სიბრძნემ... არასოდეს ვყოფილვარ საჭირო დროს საჭირო ადგილზე, არასოდეს ვმთხვევდა ჩემი ნიჭი მათ უნიჭობას, ჩემი უნიჭობა – მათ ნიჭიერებას! ვერა, ვერ მოვირგე ვერც ერთი საუკუნე! სამაგიეროდ, ძურუნა ბალახივით მეტმასნება საუკუნეობრივი უვიცობა!

საშიშრი ფურცელი

თქვენ გაქვთ უფლება, იყოთ პირფერი, მე პირფერობის არ მაქვს უფლება! თქვენ გაქვთ სურვილი, იყოთ პირველი, მე ვგ სურვილი არ მეუფლება! თქვენ გაქვთ უფლება თვალის დახუჭვის, რომ ვერ ამჩნევდეთ ერის ფორიაქს, მე – გასანთლული თოკის მარყუჟით დამყვება დროის ეიფორია! თქვენ გაქვთ უფლება დღისით და მზისით აქებდეთ ცრუთა გამოსარჩლებას, მაგრამ დამსაჯოთ სიმატრისის თქმისთვის, მზად იყოთ ენის ამოსაგლეჯად! თქვენ გაქვთ უფლება, არ აღიაროთ, რომ ლალატია უკან დახევა, მკერდზე ნიგნვით გადამიაროთ „საშიში“ ფურცლის ამოსახევა! სიტყვის შოლტებით ჯერ არ გშორდებით, ჯერ ფიცი ჩვენი არ დადებულა! დღემდე მკლავთ, მაგრამ ჯერ არ მოკვდები, რადგანაც, ჯერ არ დავბადებულვარ!

სოსუმი დაეცა?!

– არა, ჩვენ დავეცით! დაეცა ჩვენი ზნე ოშკთან და ხახულთან, ძმობის საიდუმლო უღვთოდ რომ გავეცით, მას შემდეგ ვერა და ვერ გამოზაფხულდა! სოსუმი დაეცა?! – ჰკითხეთ იმ დევნილებს, ვინც დააყარა მშობლიურ ქუჩებთან, ხელიდან ბავშვები რომ გააგდებინეს, მას შემდეგ ჯავრი ჰკლავთ სისხლიან გუბეთა... სოსუმი დაეცა?! ის დღესაც ეცემა,

პარადოქსული ბედნიერება ბედნიერი, ბედნიერი, ბედნიერი ვარ, დღეს იმაზე უარესად რომ ვარ, ვიდრე ვარ, უნიდელზე უარესად რომ წვიმს, ვიდრე წვიმს და იმაზე უფრო მეტად რომ მწყინს, ვიდრე მწყინს! მთვარე გაკრთა სულ სხვა მხარეს, ვიდრე იმ ღამეს, როცა უცებ შეგიყვარე, უცებ გინამე... კიდევ კარგი ჩემსას ეჭვით აღარ მისდევ კვალს, კიდევ კარგი, გძულვარ უფრო, ვიდრე გიყვარვარ!

ცარიელი სკა

როგორ მინდა, უცებ მოვიგო მილიონი, უცებ დამნიშნონ რაღაცის მინისტრად, ეგ სულერთია, რის მინისტრად – ნინაკის, ხახვის თუ ნიახურის,

მთავარია, მინისტრი გერქვას! უცებ იმას გავახსენებდი, ვისაც, მეგონა, მკვდარი ვეგონე... ისეთი ვინმე ჩამეხუტება, სულ ცოტა ხნის წინ რომ ამერიდა – აღარაფერში აღარ მჭირდებო! „მომიძვნიან ფერად-ფერად უნიჭო ლექსებს და უნიჭობას მქუხარე ტაშით შენიღბავენ. არ მინდა მინისტრობა, არც მილიონერობა – მე ეს უკვე გამოვიცადა წარმოსახვაში და... ამაზრუნე იყო დათაფლული ხმების მოსმენა ცარიელ სკაში!

ზუსტი პასუხი

პასუხი არ ჩანს... შეკითხვაც ქრება, გამეფებულა დუმილის ექო! ფარისევლური არ მსიბლავს ქება, ცივი ნაცარიც როდემდე ვქექო! თქვენი პასუხის სიტბოს დავეძებ, როგორც კედელი შეუღესავი... როცა კითხვაზე პასუხს არ გცემენ, ზუსტი პასუხიც, იქნებ ეს არის!

შიშველი ძველანა

ქვეყანა ისე გაშიშვლდა, ისე გაიშიფრა, ისე გამოიშინა, რომ საიდუმლო აღარსად დარჩა! ყველა საიდუმლო გაცემულია, ყველა ღირსება დაცემულია, ყველაფერი, თავად არაფერიც ტელევიზორციდან, გაზეთებიდან, რადიოდან, ბილბორდებიდან, ვით ბორდელებიდან სააშკარაოზე გამოიტანეს და იდუმალელებსთან ერთად, გაქრა სამშობლოც!

ხანდახან

ხანდახან უნდა მოგაყენონ შეურაცხყოფა... ხანდახან უნდა გულგრილობით გადაგიარონ... ხანდახან უნდა მოგანატრონ ქვეყნად არ ყოფნა და საჭირო დროს საჭირო ხმით არ გალიარონ! ხანდახან უნდა დაგეწიოს ისრით წარსული და თუ გადარჩი, სხვისი ცოდვაც მუწვივით ზიდო... ხანდახან უნდა იწყვოდე გზის დასასრულით, ხანდახან უნდა ამჯობინო სასჯელი – ჯილდოს! ხანდახან უნდა გაიყინო სიმშრეველში და უნებლიე შეცდომებით გიქციონ ასად, მონანიების ცრემლი დაგცდეს სისხლად თვალეში, ამპარტყანებამ რომ არ გძლიოს აროდეს, არსად! ხანდახან... უნდა... მოგაყენონ... შეურაცხყოფა!

სოსუმი დაეცა?!

მას შემდეგ ეცემა ყოველ წამიერსო, ზეციდან გვაუნყეს შავთეთრმა მერცხლებმა, თქვენი უმეცრებით ცრემლს ღვრისო იესო! სოსუმი დაეცა?! – დაეცა ლალატიო მოძმეთა – აფხაზთა, ოსთა და ქართველთა! მას შემდეგ მწვანე ფერს დაეძებს ბალახი, მზემ სხივი დაკარგა და ველარ გათენდა... ჩვენ ერთმანეთისკენ ვიარეთ დამრეცად, გზას ნულარ ავირჩევთ ტყვიებით დავერცხლილს...

სოსუმი დაეცა?!

ცხინვალი დაეცა?! – მაგრამ ხომ მანამდე თავად ჩვენ დავეცით!

წლებგამოვლილი სიზმარი

შენს მოღუშულ წარბებს ახლა ისე ვუმზერ, თითქოს ორი გაბუტული მთა არის... თუმცა სიბერე მოგვერია, მაგრამ თურმე, სიყვარული არის თურმე მთავარი... თმაში ხელი ველარ ცურავს და თვალელებიც ძლივს ამჩნევენ ხელეებს, ასე საფერებს, თითქოს ცაში გაიფანტნენ დალალები, თითქოს ეს ცაც წლებმა გაასხვაფერეს. უუტკბესი, უუტკბესი ზღაპარია ამ სიცოცხლის სიყვარულით ცდუნება! სიყვარული ისევე ისე მთავარია, უმთავრესი – მისი შენარჩუნება!

შრომანი

შურაბ (პიკო) ნიუარადეს მისაკი შევნოდა ტიცინას, შენს მკერდს კი ამშვენებს შრომანი... დიდება მას არ უძებნია, დიდებამ ეძება მგოსანი. მეფეებს შეცვლიან, მაგრამ ხომ ვერავინ ვერ შეცვლის ბეთაშოვენს! დავრჩები, მზე უნდა განახო, ქარებს ხომ მზებები მე ვთხოვე! ჩარჩოში პატიმრობს ეგ სული, რადგანაც სამშობლო შორს არის... ეგ ფუნჯი ცრემლებით სველია, სურნელოვანია შრომანი!

ვაზო, მამის დარგული

ჩემს თბილ სევდას გიმღერის ქარი, ცით მოქარგული, დაგკრა ჟამმა სიბერის, ვაზო, მამის დარგული, მითხარ, როგორ გიშველო, გაგიახლო სხეული, რა იქნება უშენოდ, ეზო მამისეული. რა ცა, რა მზე დაგხუროთ, მორყეული ფესვებო, ვაზო, მამის დარგული, დედის ნალერსებო, ვერ თმობს ქართან ფორიაქს შენი პნ კალი მცოცავი... სანამ შენ ხარ, მგონია, რომ მამაც მყავს ცოცხალი.



ზოთა ვაშკიძე

მონაწილე პარაკვლავები

ომმა შობა ჩემი სევდა, ჩემი კვნესა-ძახილი... მეც მესროდნენ... მეც ვიბრძოდი... მეც ვარ ომგადახდილი. დრო მტკიოდა, ჩემს ბავშვობას დრო არ ჰქონდა საქები, მე მინიდან ცვარის ნაცვლად ამყვა სისხლის ლაქები. ჩემს სევდიან დღეთა ხლართებს ქსოვდა ომი-ობობა, ქარიშხლიან დღეთა ქროლვას მოჰყვა ჩემი ობლობა. ვიზრდებოდი... თუმცა ბევრი მაკლდა, ის რაც მე მსურდა... მამიანი გოგონების ბედი, ობოლს შემშურდა... ჩემი დარდი... ქვეყნის დარდი... ფიქრი ვერ შევაკავე და მივანდე გული ლექსებს, ჩემს მონაწილე ვარსკვლავებს...

დედის ხელი

ვიხუტებ შენს ხელს, ვით ფოთოლს ყვითელს, წარსულ დღეებზე ფიქრი ცეცხლს მინთებს, ეს ხელი წნელის ღობედა ღობეს და ამბავებდა უკაცო სოფელს, ახვევდა ვაზს და თონიდა ყანას, წერდა ბარათებს მეომარ მამას, ამ ფუძის ლიბო რომ არ ნაშლილა ამ ჯადოქარმა გადაარჩინა... ვკოცნი, ვეხვევი, თითქოს ბავშვი ვარ, ამ დალილ ხელთან მარად ვალში ვარ...

უნდა გადარჩის

თენდება, შუქს ირევს მუქი ცა, კრიალა, მკერდს სუნთქვა მოაწყდა ამ ბალის, ამ ტოტის და თითქოს, ეს ლექსი გულიდან კი არა სანთლების შუქით ტაძრიდან ამოდის. ნისლებმა ცვარ-ნამის თასები დაცალეს, სველ კაბებს მუხლებზე იფენენ შინდები, ყვავილის რტოებო! – მაცალეთ, მაცალეთ, ფიქრიდან ჯერ კიდევ ვერ გამოვფრინდები.

დრო დატვირთულია ღელვით და მთვარის და ვარსკვლავის კოშმარულ სიზმრებით, შორეულთა რა წყრომა დაატყდათ განგების, რომ ველარ მოთოკეს შავნელი მიზნები.

მინის, ნატყვიარის, ისმინეთ ძახილი, სიცოცხლის დედა და ითხოვს განაჩენს, გონების წყალობით, გონების მახვილით, ბავშვი, ყვავილი, მზე უნდა გადარჩეს. მთათა მკერდებიდან, ჟამს მთვარის მიღვევის

დაეშენენ ქარები სიმღერით, დაფდაფით, ზღვის ტალღა ქაფდება, ფერები ირევა და გულზე გადამდის სიმღერის ღვართქაფი.

სიბნელე, წყვდიადი გაუსხლტა სხივის ფრთიდან, თენდება, გამიქრო მზემ შიში ფარული და ღამის შფოთიან სიზმრიდან, ფიქრიდან, სანთლების შუქით ამოდის მამული...

შარი ომს

იფრინეთ მტრედებო... იფრინეთ მერცხლებო... ზეცა არ დაუთმოთ დენთის კვამლს, ბოლს, უარი კაცთა კვლას, უარი ტაცებას, უარი სისხლის ღვრას – ომს! სამშობლო დედაა, სამშობლო შვილია, რისხვა მამულის წართმევის მდომს. შეჩერდით, შეჩერდით, ცას სუნთქვა აცალეთ, უარი ტანკსა და უარი ბობბს!

სენოზი ჯარისკაცის საფლავთან

აქ ვდგავარ ახლა, ფიქრები შენზე გულში ჩარჩენილ ჭრილობებს მისხნის და ყაყაოებს ამოაქვს მზეზე შენი უმანკოდ დაღვრილი სისხლი. არდავინყვებას ჩურჩულებს ქარი, ეს რა ცრემლები გადმოდის ამ ცას და მილიონთა მონყალე თვალი კენკავს ჩემს სულში ტკივილის მარცვალს. საყვარელ სახელს დავანერ საფლავს, შენს ხსოვნას სანთლად ავუნთებ ამ ლექსს, იქნებ შენა ხარ მშობელი ჩემი მონატრებული სიტბოს და აღურსს. მთებზე ნისლებად წამოვში დარდებს... გროვდება ღანვთან ცრემლის გუნდები, ხელის კანკალით დაგანყობ ვარდებს და უხმოდ უკან გამოვბრუნდები.



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე

საქრებულო
საქრებულო

განმარტებული სამე



გამოძიებას ბესო ხარძიანის მკვლელობაში სამი ეჭვიანილი ჰყავს?

„ვიძლევი ცუდ გაფრთხილებას: თუ არ აღდგა სამართალი, 70-იანი წლების სიცილიის მაფია მონაგონი იქნება“, — პირდაპირ ეთერში ამ განცხადების გაკეთებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ბიზნესმენი ბესო ხარძიანი საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან მოკვლეს. შეემატება თუ არა ხარძიანის მკვლელობა განმარტებულ და გამოუძიებელ მკვლელობათა ჩამონათვალს, ვინ იხსნა გლდანის ციხის ჯოჯოხეთისგან ბესო ხარძიანი და რატომ არ მიაჩნია „სვანური სასამართლო“ ცივილურ სამართალწარმოებად? — „ქართული სიტყვა“ ხარძიანების ოჯახის ადვოკატს, მზლზზ სპლზზნიზს ესაუბრა.

რა ინფორმაცია აქვს ადვოკატს, რატომ არ საჯაროვდება ფოტოროგოტი და ფიგურირებს თუ არა საქმეში უკრაინა და თურქეთი

— ბატონო მალხაზ, ხარძიანის მკვლელობაზე საუბრისას ერთმა პოლიციელმა მი თხრა, კარგად შეკვეთილი მკვლელობააო...
— კარგად, ან ცუდად შეკვეთილი მკვლელობა რას ნიშნავს? შეკვეთილი — შეკვეთილია. კანონმდებლობა ამაზე სხვანაირად იტყვის, მკვლელობა ჩადენილია ანგარებით.
— ალბათ, ჩემს ნაცნობს იმის თქმა უნდა, რომ მკვლელობა ბევრი გარემოება კარგად გათვალა, რის გამოც საგამოძიებო პროცესები ყოვნიდა. არადა, პროკურატურამ ბიზნესმენის გარდაცვალების დღეს ოჯახს საქმის გამოსაძიებლად სამი დღე სთხოვა...
— რატომ გგონიათ, რომ საქმის გამოძიება გაჭიანურდა? სამართალი ურმით დადისო, — გამოძიების დროს სიჩქარე არ შეიძლება.
— კი ბატონო, მაგრამ საქმეები ცხელ კვალზეც იხსნება ხოლმე...
— რა თქმა უნდა, ასეც ხდება. ახლახან, ყაჩაღობის ფაქტი მოხდა და მსხვერპლმა დამაჩაჩაღებელი, რომელიც საქმის ასე შებრუნებას არ ელოდა, თავად დააკავა.
— ბესო ხარძიანმა მკვლელობამდე განაცხადა, ვიძლევი ცუდ გაფრთხილებას, თუ არ აღდგა სამართალი, 70-იანი წლების სიცილია მონაგონი იქნებაო...
— ბესარიონ ხარძიანი ჩემთან სამართლიანობის აღდგენის სურვილით მოვიდა და იძულებით დათმობილი ქონება, სამართალწარმოების გზით, სამოქალაქო წესით დაუბრუნდა.
— რაც შეეხება საპრობილეში მის წინააღმდეგ განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობის აქტებს, მათზე მოკვლევას პროკურატურა აწარმოებდა.
— ხარძიანთან ურთიერთობა როდის დაიწყო?
— ბესარიონ ხარძიანი ჩემი კლიენტი საპრობილიდან გათავისუფლების მერე გახდა. მისი ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, წლების განმავლობაში მქონდა, ბოლოს და ბოლოს, ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, ბევრი საერთო ნაცნობი გყავს. ის ქალაქში თავისი საფლად დადიოდა და მისგან, არც მისი ახლობლებისგან არასოდეს მსმენია, რომ ბესოს ეთქვას, ჩემს სიცოცხლეს ვინმე მოსობოთ ემუქრებაო.
— ანუ, ხარძიანს არ ეშინოდა?
— დიახ, შიში არ ჰქონდა.
— სამწუხაროდ, ყველაფერი სხვანაირად მოხდა — ის მოკვლეს. მკვლელობის წარმომავლობა კი, ჯერაც გაურკვეველია... ბატონო

ნო მალხაზ, ბესო ხარძიანს ანდერძი ხომ არ ჰქონია შედგენილი?
— სალსალამათი ახალგაზრდა კაცი დაიღუპა, ჯერჯერობით არ მაქვს ინფორმაცია, რომ ანდერძი ჰქონდა დაწერილი. კანონით, თუკი ანდერძი ექვსი თვის განმავლობაში გამოჩნდა, მასში მოხსენიებული ყველა პირი თავისას მიიღებს...
— საზოგადოება წლების განმავლობაში განმარტებულმა და გამოუძიებელმა საქმეებმა დაღალა. ბიზნესმენ ბესო ხარძიანის საქმეც მათ რიცხვს ხომ არ შეემატება? წელან ნახსენები პროკურატურის სამი დღე რაღაც ძალიან გაგრძელდა...
— ხარძიანის საქმეში ხან რა ფაქტი ამოყოფს თავს და ხან — რა.
— ამას წინათ, თქვით, რომ კვალი მრავლობითია.
— მრავლობითი დატოვებულ სამხილებს, ანაბეჭდებსა და ნივთმტკიცებებს ვგულისხმობდი.
— სახელდობრ?
— სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც მკვლეელი გადაადგილდებოდა, მეზობელ ქუჩაზე იპოვეს, ასევე, ალკაზმულობაც, რაც ემოსა.
— სახლში, სადაც ხარძიანი ცხოვრობდა, დაცვაზე რომ აღარაფერი ვთქვა, კამერები იყო დაყენებული?
— მარაბდის ქუჩაზე, სამსართულიან სახლში მისი ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ. სახლს რამდენიმე მისასვლელი აქვს, შესაბამისად, რამდენიმე სათვალთვლო კამერა დამონტაჟებული, წარმოიდგინეთ, დღეების განმავლობაში, რამდენმა მოქალაქემ გაიარა... ყველაფერი წინსწრებით უნდა შეინახავდნენ.
— მკვლეელი ბიზნესმენის ადგილსამყოფელს, გადაადგილების მარშრუტს, სავარაუდოდ, წინასწარ შეისწავლიდა, არა?
— რა თქმა უნდა. მეუღლემ, ეკა ნონიკაშვილმა მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩაფხუტიანი მოტოციკლისტი დააფიქსირა... მკვლეელი გადაადგილების მარშრუტსაც ადგენდა, სწავლობდა და, რახან მიზანი ჰქონდა, მისი იქ ყოფნა სისტემატური ხასიათის იქნებოდა. ესეც შესასწავლია, რასაც პროკურატურა სამ დღეში ვერაწარმოებდა შექვს.
— თავიდან ითქვა, რომ გამოძიებამ მკვლელის ფოტოროგოტი შეადგინა...
— ფოტოროგოტი, რა თქმა უნდა, გამოძიებას უნდა ჰქონდეს შედგენილი, მაგრამ მისი ამ ეტაპზე საზოგადოებისთვის გამოშვება გამოძიების ინტერესებს შელახა-



ეს. საქმეს მალაპროფესიონალური ადამიანები უძღვებიან და მსგავსი ინფორმაციების გაფრთხილებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ.
— ჟურნალისტმა ირაკლი კორძაიამ განაცხადა, რომ კუს ტბის ერთ-ერთი მენილე ბუბა კიკაბიძე და მისი შემოსავლის პროცენტები, ხარძიანის გარდაცვალების მერე, გაიზარდა...
— ბესო ხარძიანის წილს, ოჯახის სახით, სამართალმემკვიდრე ჰყავს. ხარძიანის ქონება არაა საჯარო, ან სახელმწიფო საკუთრება, რომ ვინმემ სურვილისამებრ აუქციონზე გაიტანოს, ან ვინმეს გადაუფორმოს. ეს სამართლებრივი ურთიერთობებია, რომელსაც ოჯახის წევრები წყვეტენ.
— ბუბა კიკაბიძეს კუს ტბაზე წილი მართლა აქვს?
— კოტაოდე... რაღაც პროცენტები ფიქსირდება.
— ბატონო მალხაზ, არსებობს ინფორმაცია, რომ გამოძიებაში ერევიან და დაბრკოლებებს ქმნიან ყოფილი მაღალჩინოსნები. დასახელდა, მაგალითად, ლაშა ნაცვლიშვილი...
— პროკურატურასთან ურთიერთობაში მსგავსი რამ არც თქმულა და არც დამოუკიდებელია. არ ყოფილა შემადგენელი გარემოება არც საგამოძიებო ქმედებისას და არც — დოკუმენტების შედგენისას.
— მგონია, რომ ეს საქმე თქვენ, როგორც ადვოკატს, გასწავლით გაქვთ...
— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვერსიები მაქვს, მაგრამ ამ ვერსიებს ბევრი კითხვის ნიშანიც ახლავს, თუმცა გასაგები მიზეზების გამო, ამის გამხელისგან თავს შევიკავებ. დედამინის ზურგზე გაუხსნელი დანაშაული არ არსებობს. უიმედო საქმეების პროცესში მოქალაქეობრივი თვითშეგნება დიდ როლს თამაშობს. ზოგი დამნაშავეს ხელს აფარებს, ან დეტალებს, რასაც შემთხვევით შეესწრო, არ ამხელს. არადა, ზოგჯერ გამოძიებისა და გამწარებული ოჯახის წინაშე ადამიანური ვალის მოხდა მიზანშეწონილი და დადამწყვეტია... ზოგჯერ ბრალდებულის დაცვაც მიწევს, რათა უკანონოდ არ დაისაჯოს.
— გამოძიებისთვის თქვენული ვერსიის,

ან ვარაუდის შეთავაზების უფლება გაქვთ?
— რა თქმა უნდა, გამოძიებას ყველანაირი ვერსია აქვს, მაგრამ ოჯახმა და მისი ინტერესების დამცველმა შეიძლება, გამოძიებას საკუთარი ვარაუდები შესთავაზონ. მოკლედ, ადვოკატობა ექვნიანობის პროფესიაა.
— ბატონო მალხაზ, სამართალმემკვიდრე სტრუქტურების, ვერძოდ, გამოძიებულ-დეტექტივების მისამართით წშირად კრიტიკა ისმის, არაკომპეტენტურნი, არაკვალიფიციურნი არიანო. თქვენ, როგორც ყოფილი გამოძიებელი, ხარძიანის საქმის გამოძიებებს ვნდობთ?
— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კონკრეტულ საქმეში ყველაფერი — შინაარსობრივი, დანაშაულის კვალიფიკაციისა თუ კრიმინალისტიკის მიმართულებით მალაპროფესიულ დონეზე მიდის. ისე, დაზარალებულის პოზიციიდან ყველა საქმე რთული და მტკიცებულებაა.
— იმ ფარულმა ჩანაწერებმა, სადაც გია უდესიანი და მათი ხარძიანი საუბრობენ, გამოძიებას რა მისცა?

— ეს მტკიცებულება სამართალწარმოების დროს იქნა წარმოდგენილი, მაგრამ არც იდენტიფიცირებულია და არც მისი ავთენტურობა დადასტურებულია. საპრობილეში ყოფნისას, ბესო თავისიანებს დაპაროლული ტექსტებით ესაუბრებოდა — დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მისი ნათქვამი ადრესატამდე მივიდოდა. ამ მეთოდმა კარგად იმუშავა და თავისი საქმე გააკეთა. თუ გახსოვთ, იმ ჩანაწერში ერთი საინტერესო ფრაზა ისმის: „მე შენ ძმა გაჩუქე!“ ამ სიტყვებს უდესიანი მათა ხარძიანს ეუბნება. რატომ და რის ფასად აჩუქა? რა, ბესო ხარძიანი ნივთი იყო?
— ეს რას ნიშნავს?
— უდესიანს მისი ხელისშეწყობა და დახმარება ხელეწიფებოდა.
— გამოდის: ბესო ხარძიანი ციხეში ცოცხალი უდესიანის წყალობით დარჩა?
— სავარაუდოდ.
— ბატონო მალხაზ, არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ გამოძიებას ბესო ხარძიანის მკვლელობაში სამი ეჭვიანილი ჰყავს. აქედან ერთი ჩეჩენია, ერთი — უკრაინელი, მესამეზე კი არაფერია ცნობილი. ითქვა ისიც, ერთმა ეჭვიანილიმა, თურქეთის გაგლით, საქართველო მაშინვე დატოვაო...
— უკრაინა რა შუაშია?.. როგორც ჩანს, ინფორმაცია გაქვთ, კონფიდენტილურ გყავთ და, სავარაუდოდ, გვარ-სახელებიც გეცოდინებათ?! საზოგადოებაში ასეთი ბევრი რამ ითქმება, მაგრამ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. ჩემი სტატუსიდან გამომდინარე, ამ თემას ვერ გავშლი, ვინაიდან ამით შეიძლება, გამოძიება დავაზიანო.
— ე.წ. სვანურ სამართალსა და სვანურ სასამართლოზე რას იტყვი?
— სტუდენტობის დროს, სამართლისა და ტრადიციების თემებზე ბევრი მიმუშავია. ის, რაც იყო, ისტორიას ჩაბარდა და ცივილურმა მეთოდებმა ჩაანაცვლა. თუკი ჩვენს ოჯახურ პრობლემას შინ გადავწყვეტთ, ეს გურულ-მეგრულ-სვანურ სამართალს არ ნიშნავს. წარსულს ხომ ვერ დავუბრუნდებით? ჩვენ გვაქვს მიზანი, რომ საზოგადოებას ბესარიონ ხარძიანის მკვლელობის ვინაობა რაც შეიძლება მალე ვაცნობოთ.
ესაუბრა ნათია ზოგიტიძე



საქონელი
საქონელი

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშენებელი ხარ ხომ შენით ითქვა;
დიდება შენა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

ვინაიდან

კოლიტვატივარი

„გლდანის მერვე დანახვაში მაყურებელია, თუ როგორ სცემდნენ ათობით ადამიანს!“

გიორგი ზერევიძის საქმეს საზოგადოება 2006 წლიდან, ანუ იმ დროიდან იცნობს, როცა მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ნულეოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა და... 14 წლის მოზარდი, 10-წლიანი სასჯელით, ციხეში „განამწყვდეს“. რა დააშავა 14 წლის ზერევიძემ, რა მოხდა სინამდვილეში, რატომ არ აკმარეს პირველი დაპატიმრება და რატომ შეაბრუნეს ციხეში, რატომ ფიგურირებენ საქმის შეთხზვანში ზურაბ ადეიშვილი და სათუნა კალმახელიძე, რატომ დააკავეს გიორგი ზერევიძის მამა და როგორ დაიღუპა ის ციხეში? – მთავარი დამკვიდრებელი ამას ფარდას „ქართულ სიტყვასთან“ ინტერვიუში ხდის:

– პირველად, 2006 წლის 6 იანვარს, სწორედ მაშინ დამაკავეს, როცა მიხეილ სააკაშვილმა ნულეოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა. ეს რეპრესიული მანქანა მეც ისევე შემეხო, როგორც – საქართველოს უამრავ მოქალაქეს. დაკავების მომენტში ფაქტი მხოლოდ ნულეოვანის ხულიგნობა იყო, რომელიც, რაღა თქმა უნდა, იმის საბაზს არ იძლეოდა, რომ 14 წლის ბავშვზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულიყო, მაგრამ გამოძიებამ ჩემი ასაკი არ გაითვალისწინა. მეტიც, გამოძიება მიკერძოებულად და ფაქტების გაყალბებით წარიმართა. პროცესის გაყალბებაში მონაწილეობას მაშინდელი პროკურორის უმაღლესი თანამდებობის პირები – გიორგი ლვინიაშვილი და ზურაბ ადეიშვილი იღებდნენ. მათ გარდა, ჩემს დისკრიმინაციას ცალკეული პოლიტიკოსებიც ეწეოდნენ... საბოლოოდ, ყველაფერ ამის ფონზე, მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ერთ-ერთი გამოსვლისას, პირდაპირ ეთერში კრიმინალად და „უბნების გამკონტროლებლად“ მომნათლა, ის თავისუფალი არ უნდა იყო, რადგან საზოგადოებისთვის საშიშიაო.

- „ნაციონალისტებისთვის“ „განსაკუთრებული“ რითი იყავი?
- განსაკუთრებული არასოდეს არაფრით ვყოფილვარ. ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, რომელსაც, უბრალოდ, უსიამოვნო ამბავი შეემთხვა...
- სინამდვილეში რა მოხდა?
- წერილმანი ხულიგნობა.
- კონკრეტულად?
- შელაპარაკება დისტრიბუტორის სხეულის მსუბუქი დაზიანებით დასრულდა... ამას უფრო კინკლაობას თუ დავარქმევთ, თორემ განზრახ არაფერი ჩამიდენია. ამ კინკლაობისთვის წამიყენეს უმძიმესი ბრალდებები – განზრახ მკვლელობის მცდელობა, ხულიგნობა და ყაჩაღობა. არ ვამბობ, რომ ეს კარგია, მაგრამ ამ ასაკში ასეთი შელაპარაკება ვის არ მოსვლია, მაგრამ ამისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა მოესაჯათ? კიდევ კარგი, მეყო ძალა, რომ ყველაფრისთვის გამძღო და საზოგადოებას დავბრუნებოდი.
- გიორგი, დისტრიბუტორმა გიჩვილა?
- არა... ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში გახსოვთ? სწორედ ხალვაშის კომპანია „არტჯგუფის“ დისტრიბუტორი იყო, ვისთანაც უთანხმოება მომივიდა.
- ამით რისი თქმა გინდა?
- იმის, რომ გამოძიებულს, დისტრიბუტორის მაგივრად, ჩვენებას ქიბარ ხალვაშის დაცვის უფროსი, ზაზა გოცირიძე აწერიდა. დაზარალებულისთვის არავის არაფერი უკითხავს... შემდეგ, როცა დაზარალებულმა ჩვენება შეცვალა და ის თქვა, რაც სინამდვილეში მოხდა, დაიჭირეს, ჩვენება ისევ ჩემს წინააღმდეგ შეაცვლევინეს და გაათავისუფლეს. ყველაფერ ამას ხაზი იმიტომ გავეუსვი, რომ მხოლოდ ჩემს კი არა, არამედ, ყველა გამამაყრებელ საქმეში, თუნდაც ბუტყა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის ან სხვა დანარჩენში, უშუალოდ „ნაცმოდრობის“ თავკაცები ერეოდნენ და პროკურორსა თუ მოსამართლეს დირექტივებს პირდაპირ აძლევდნენ. ამიტომაც, საქმის სამართლიანად წარმართვის იმედი არც გექონია.
- გიორგი, შენზე შური იქნება, ოჯახის გამო იძიეს?
- ჩვეულებრივი ოჯახში გავიზარდე, დედაჩემი და მამაჩემი რამით გამორჩეულნი არ ყოფილან... მამას კერძო ბიზნესი ჰქონდა და პარტიულ საქმიანობას არ ეწეოდა.



როგორ შეიძლება მამა-შვილ ზერევიძის საქმეში – ციხეში გაზრდილი ბიჭის თავდასაცვალი

უბრალოდ, ამ შემთხვევის მერე, ჩემმა მშობლებმა გადამწყვიტეს, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ებრძოლათ და ლოკუტურია, რომ ხელისუფლების ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. ეს თავად „ნაცმოდრობის“ ბრალი იყო.

- შენი მშობლების ბრძოლამ სიტუაცია კიდევ უფრო გამძვავა... – დიახ – ზიანის მოყენება უფრო აქტიურად დაგვიწყეს!
- პირველად რომ დაგიჭირეს, რამდენი მოგისაჯეს?
- 10 წელი მომისაჯეს, მაგრამ სააპელაციომ სასჯელი შემოიშლეს და 5-ში გავთავისუფლდი... შემდეგ ისევ დამაკავეს...
- ვიდრე მეორე დაკავებაზე ვისაუბრებთ, მითხარი, ციხეში რა ხდებოდა? შენზე განსაკუთრებული ზეწოლა იყო?
- კი... გლდანის მერვე დანახვაში სადაც ჩავყავი და მაყურებინებდნენ, თუ როგორ სცემდნენ ათობით ადამიანს. არავის ვუსურვებ ამის განცდას. ამ დროს გირჩევნია, რომ შენც ცვემო, ვიდრე სხვის წამებას გაყურებინო... მეც გადავიტანე ეს ძალადობა, მაგრამ ვიცი ადამიანები, ვინც ციხიდან დაინვალიდებულნი გამოვიდნენ... ციხეში ერთადერთი კარგი ის იყო, რომ ეროვნულ გამოცდებზე გავიდი და შავი ზღვის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავებარე... მაშინ შაშკინმა განაცხადა, ვინც ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებს, გავათავისუფლებო. სხვები გაათავისუფლეს, მე კი, ქსნის დანახვაში გადამიყვანეს და მცემეს. 3 თვეში სასჯელი დამიმთავრდა და გამოვიდი.
- მშობლებმა შენი საქმე ევროსასამართლოში გაასაჩივრეს... – გასაჩივრების შემდეგ, ჩემს გამოშვებაზე შეთანხმება დაინიშნა.
- მაინც, რა შეთანხმება?
- ჩემი საქმე ევროსასამართლოს მიერ პრიორიტეტად იყო აღიარებული და აქტიურად განიხილებოდა. ადვოკატიც გვყავდა... ისე მოხდა, რომ ჩემი ოჯახი სახელმწიფოსთან შეთანხმდა – საჩივრის გამოტანის საფუძველზე, გამათავისუფლებდნენ. საჩივრის უკან გამოტანას ხელი მოვანერეთ.
- თუკი საქმე აქტიურად განიხილებოდა და ხელისუფლებაც, უხეზად რომ ვთქვათ, აწრიალდა, ევროსასამართლოდან სარჩელი რატომღა გამოიტანეთ?

- ვეღარ ვფიქრობდით. ჩემმა ოჯახმა იმდენი ტანჯვა და სტრესი გამოიარა, რომ გვინდოდა, როგორმე დამთავრებულიყო...
- საჩივრის გამოტანა, მგონი, სტრასბურგში ჩასვლის გარეშეც შეიძლებოდა, მაგრამ მშობლებს დაავალეს, რომ პირადად ჩამოეტანათ...
- ვეღარ ვფიქრობდით. ჩემმა ოჯახმა იმდენი ტანჯვა და სტრესი გამოიარა, რომ გვინდოდა, როგორმე დამთავრებულიყო...
- საჩივრის გამოტანა, მგონი, სტრასბურგში ჩასვლის გარეშეც შეიძლებოდა, მაგრამ მშობლებს დაავალეს, რომ პირადად ჩამოეტანათ...

- წლის 16 აგვისტოს დაიღუპა. ოფიციალური ვერსიით, დენის დარტყმით გარდაიცვალა.
- ოფიციალურ ვერსიას არ ეთანხმები?
- არა! ჩვენს ხელშია ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა, საიდანაც ცალსახად ჩანს, რომ გარდაცვლილს დენის დარტყმის კვალი არ აღენიშნებოდა. საქმე ჯერ ისევ ძიებაშია.
- ოჯახს რა ვარაუდი გაქვთ?
- ძნელია, რამე ვივარაუდო, რადგან არ ვიცი, ვის კამერაში იყო, ვისთან ერთად იხდიდა სასჯელს, მაგრამ ცხადია: მაშინდელი ციხე სიკვდილის მანქანა იყო და ყოველდღე ახალი მიცვალებული გამოჰყავდათ. „დენის დარტყმა“, რა თქმა უნდა, მიუღებელი და არარეალურია.
- მეორედ რატომ დაგიჭირეს?
- ტყუილბრალდ: ჩემი მეზობელი მამა-შვილი ეზოში ერთმანეთს ეჩხუბებოდა და იგინებოდა. ფანჯრიდან სინყარისკენ მოვუნოდე და ამ საქმეში მთელი ჩემი ჩართულობა ეს იყო. 20 დღის შემდეგ, გამოძიებამ საქმე ხულიგნობის ბრალდებით აღძრა, თითქოს ამ ოჯახის უმცროსი შვილი გავლახე და ისევ ციხეში შემაბრუნეს...
- მამა-შვილმა ჩვენება შენს წინააღმდეგ მისცა?
- კი, იმიტომ, რომ „ნაციონალისტის“ „ჯიბის ბიზნესმენები“ იყვნენ – რაც უთხრეს, რა თქმა უნდა, ის დანერგეს... მათი ბიზნესის ხელშეუხებლობა „ნაციონალისტებზე“ იყო დამოკიდებული.
- მეორე დაპატიმრება გაასაჩივრეთ?
- ავიყვანეთ ადეიშვილის კარზე დაახლოებული ადვოკატი, გიორგი ყავლაშვილი, რომელიც გვპირდებოდა, რომ „გაგვიკეთებდა საქმეს“ და დააყენებდა შუამდგომლობას, მაგრამ არ გააკეთა. 8 წელი მომისაჯეს და სტრასბურგშიც ვერ გავასაჩივრეთ, რადგან ადვოკატს შუამდგომლობა არ ჰქონდა დაყენებული.
- იცოდით, რომ ყავლაშვილი ადეიშვილთან იყო დაახლოებული?
- ვიცოდით და ამიტომაც ავიყვანეთ, რომ საქმე „გავეკეთებინა“, მაგრამ ადეიშვილმა ჩემზე უთხრა, რომ „ჩამონერილი“ ვიყავი.
- მეორედ რამდენი მოგისაჯეს და რამდენი საწინააღმდეგო მოგისაჯეს და 2 წელი ვიჯექი. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით, საბოლოოდ დაესვა წერტილი „ნაცმოდრობას“. ახალმა პარლამენტმა 190 ადამიანი პოლიტპატიმრად სცნო, აქედან ერთ-ერთი მე ვიყავი. 2013 წლის 13 იანვარს ციხე პოლიტპატიმრის სტატუსით დავტოვე.
- ესე იგი, საბოლოო ჯამში, 7 წელი მოიხადე. შურისძიებაზე არ გიფიქრია?
- ჩემი მოქალაქეობრივი ვალია, ყველა დამნაშავესა და მოძალადეს კანონის ენით ველაპარაკო. მიუღებელია, რომ მათ დავემსგავსო და ისევე მოვექცე, როგორც მე მექცევოდნენ. მათ დონემდე არ დავეცემი!
- არასამთავრობო ორგანიზაცია ამიტომ დააფუძნეთ?
- ჩემმა მეგობარმა, ლევან გოგინიაშვილმა მითხრა, რომ არასამთავრობოს დაფუძნებას აპირებდა და შემომთავაზა, მონაწილეობა შენც მიიღო. ვცდილობ, რომ სამოქალაქო აქტივობას ჩემი წვლილი შევიტანო...
- არასამთავრობოს გარდა, კიდევ რას მოღვაწეობ?
- საქართველოს რკინიგზის შვილობილ კომპანიაში ვმუშაობ, პარალელურად ვსწავლობ, მეორე კურსზე ვარ. მყავს მეუღლე და შვილი. მშვიდი ცხოვრებით ვცხოვრობ და მაქვს გეგმა, რომელიც, მეგობრებთან ერთად, სამოქალაქო აქტივობას უკავშირდება.
- წარმატებას გისურვებ... – ესაუბრა ბიძა ლიპარიძე

– მამა რუსთავის საპატიმროში 2011



საქმე-საქმე. საქმე-საქმე.

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კვიციანი

თავისუფლების ტრიბუნა

„ღარიბაშვილმა ძალიან კარგად იცის, რა და როგორ მოხდა... ისინი მძევლები არიან!“

ენ. კაბელაძის საქმე ქართულ პოლიტიკაში დიდი დაპირისპირების საბაბად იქცა. „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს, ზურა აბაშიძეს მიაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს უდანაშაულოდ დაკავებული თანამშრომლები „კაბელაძის საქმის“ მძევლები არიან.



ზურა აბაშიძე: „კაბელაძის საქმეზე სამართლიანობა აღდგება!“

— ბატონო ზურა, ენ. კაბელაძის საქმეზე რამე სიახლე არის? — ჯერჯერობით, არა. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რამდენიმე სასამართლო პროცესი უკვე ჩატარდა. აღმკვეთი ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით შუამდგომლობა დაყენებულია. დაკავებულებს თავდებში საქართველოს პარლამენტის დეპუტატებიც ჩაუდგნენ. ამავდროულად, ექსპერტის დასკვნებიც მზადაა... მოკლედ, მინდა გითხრათ, რომ ასე თეთრი ძაღლი ნაკერ საქმეს ისტორიაში ვერავინ იპოვის. არანაირი მოტივი — სრულიად უდანაშაულო ადამიანები ციხეში სხედან, ისინი გარკვეული ძალებისა თუ პიროვნებების მძევლები არიან. ასეთი უსამართლობა არავის ეპატიება. ღმერთი უდანაშაულო ადამიანების ციხეში გამოძვრის დასრულებას!

— თავდაცვის სამინისტროს დაკავებულ ჩინოვნიკებს თავდებში კონკრეტულად რომელი დეპუტატები ჩაუდგნენ? — გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ისინი, ვინც შუამდგომლობას ხელი მოაწერეს, პარტია „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლები არიან. ახალი მთავრობის შემაჯავებლობის განხილვის დროს, საქართველოში არ გახლდით, მინდოდა, პრემიერ-მინისტრისთვის შევითხვა დამესვა.

— რა უნდა გეკითხოთ? — ირაკლი ლარიბაშვილმა ძალიან კარგად იცის, თუ რა და როგორ მოხდა. ისიც მშვენივრად იცის, რომ თავდაცვის მაღალჩინოსნების პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობა არ არსებობს. ვიბრძვი, რომ დაკავებული თანამშრომლები თავდებით გარეთ გამოშვდნენ, ძიება გაგრძელდეს და სასამართლომ, დღეს თუ ხვალ, გაარკვიოს, დანაშაული ვინ ჩაიდინა.

— მას შემდეგ, რაც თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეს და იმ შესყიდვებს, რასაც მათ ედავებიან, გრიფით „საიდუმლო“ მოეხსნა, რამე შეიცვალა? — გამოძიების მიმდინარეობა გამარტივდა თუ, პირიქით, გაძნელდა? — გრიფის ასხნის მერე, ყოფილა და მოქმედმა პრემიერ-მინისტრებმა ყველაფერზე საჯაროდ ისაუბრეს. მთავარი იყო, იმ

საიდუმლო ნაწილის გასაჯაროება, რომელიც ქვეყნის თავდაცვითი სისტემის გაძლიერების საკითხს ეხებოდა. სამწუხაროა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გარიგება ჩაიშალა, შედეგად კი ის მივიღეთ, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ციხეში მძევლებად სხედან და მათ აიძულებენ, არჩადენილი დანაშაული აღიარონ. საბედნიეროდ, დაკავებულები ვაჟაკები აღმოჩნდნენ და დაწვებებს არ აპირებენ.

— ბატონო ზურა, მინდა ჯანელიძე სრულიად მოულოდნელად, დაუგეგმავად გადადგა. ეს შემთხვევით, „კაბელაძის საქმეს“ სომ არ უკავშირდება? — ასეთი შეკითხვა მეც დავსვი, თუმცა პასუხი არ მაქვს.

ვიდრე თანამდებობიდან გაათავისუფლებდნენ, პარლამენტში მობრძანდა, სადაც მასა და „თავისუფალ დემოკრატებს“ შორის საკმაოდ ცხარე დებატები გაიმართა. ჩვენ პოზიციები ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე დავაფიქსირეთ. უმრავლესობა მინდოდა ჯანელიძის გამოსვლას ისეთი აპლოდისმენტებით შეხვდა, თითქოს საქართველოს ასეთი მინისტრი ჯერ არ ყოფილა. ყურადღება ჩვენთვის არასასიამოვნო პროცესებზე გაგამახვილეთ, მინდა ჯანელიძეს თავის გამოსვლაში ის, რაც ირაკლი ალასანიამ წლების განმავლობაში თავდაცვის სფეროში გააკეთა, ერთხელაც არ უხსენებია. მხოლოდ წინა ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საქმეების ქსეროასლი გადაიღო და თავის თავზე მოიკრია.

სამწუხაროა, რომ წინამორბედთა საქმეების შეფასების კულტურა ჯერ არ ჩამოგვიყალიბდა და ამაზე არც არავინ ზრუნავს. იმან, ვისაც ამ თემებზე მეტი უნდა ემუშავა და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისთვის ხელი შეეწყოს, მმართველობა დატოვა, ფორმალურიდან არაფორმალურში გადავიდა და ეს პროცესი ქვეყანაში კრიზისებს კიდევ უფრო აღრმავებს.

— ბიძინა ივანიშვილისგან ზენოლას გრძნობა? — უმრავლესობაში აღარ ვართ, შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილისგან ვერაფერს ვგრძნობ, თუმცა ნათელია, თუ როგორ ხდება მასთან მთავრობის მიერ გადასახვეტი საკითხების შეთანხმება.

— მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, მაია ცქიტიშვილი აცხადებდა, მთავრობამ საქართველოს თავდაცვის უწყებისთვის ხუთი მილიონი გამოყო, მაგრამ დეტალები შეთანხმებული არ ყოფილაო. ირაკლი ალასანიამ კი ამტკიცებდა, რომ ყველა თეთრი პრემიერთან იყო შეთანხმებული.

— ძნელად წარმომიდგენია, რომ ირაკლი ლარიბაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ მის გარეშე არანაირი თანხა იქ არ მოხვდებოდა, სადაც მოხვდა. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ამაზე პასუხის დრო მოვა, რა თანამდებობის პირიც უნდა იყოს, უსამართლო გადანყვებილებაზე ყველას მოეთხოვება. თუ მათ გონიერება აქვთ, ეს საკითხი მალე სამართლიანად უნდა გადაწყვიტონ და თუკი გინდა, ადამიანი თავიდან მხოლოდ იმიტომ მოიშორო, რომ ვერ იმორჩილებ, სხვა მეთოდებს უნდა მიმართო.

— ბატონო ზურა, ენ. „კაბელაძის საქმის“ პერსონაჟები „თავისუფალი დემოკრატების“ გარდა კიდევ ვინ არიან? — დავამატოთ პროკურატურა, ირაკლი ლარიბაშვილი, მაგრამ მთავარი მაინც ორი მხარეა: „თავისუფალი დემოკრატები“ და ბიძინა ივანიშვილი.

— „თავისუფალი დემოკრატები“ დარწმუნებული არიან, რომ ბიძინა ივანიშვილმა ამ საქმის ყველა დეტალი იცის?

— რა თქმა უნდა, ამაში დარწმუნებული ვართ. გადანყვებილებაზე მან მიიღო და არა — ირაკლი ლარიბაშვილმა. ერთსაც ვიტყვი: არაფორმალურ მმართველობას არც ერთ ქვეყანაში წარმატება არ ჰქონია.

— 15 მაისს სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს. რას ელოდებით? — ველოდები, რომ სამართლიანობა აღდგება, უდანაშაულო ადამიანები გაათავისუფლდებიან და თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდებიან.

— ყველა საუკუნეს თავისი ბედისწერა აქვს: ისტორიას ახსოვს „ექიმების და მეგრელების საქმეები“, რომელთაც საბჭოური სისტემის დისკრედიტაციას ხელი შეუწყვეს. რა რეზონანსი ექნება „კაბელაძის საქმეს“? — „კაბელაძის საქმეს“ რეზონანსი უკვე ჰქონდა — კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის პროცესი დაიწყო. ახალი მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებამ ტაშის გრილში ჩაიარა, მიმანჩია, რომ ეს არაადექვატური საქციელია. ეს მთავრობა ხალხის მხარდაჭერას არ იმსახურებს და ამომრჩევლის წინაშე ყველა პოლიტიკური ძალა უხერხულობას უნდა გრძობდეს. თუ გაივლით საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ნახავთ, რომ მთავრობა დღეს ნდობას არ იმსახურებს... ხალხი დაიღალა!

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

სტოპკადრი

„დავწერე, ნავშალე, დავწერე, ნავშალე. არადა, პირობა დავდე, ამ სივრცეში ისეთივე ინტენსიურობით დარჩენის შესახებ. არადა, დავწერე ამბავი ქურთუკის შესახებ, რომელიც მავანთ ჩემი ჰგონიათ, ან არც ჰგონიათ და, უბრალოდ, ამბობენ, ან ხვდებიან და არ ამბობენ, რომ 20 წლით დიდი ქურთუკი ჩემი ვერ იქნებოდა, ვერც იმით მივიდოდი და ეს ფოტო მაშინ არის გადაღებული, როდესაც ერთ-ერთმა იქ მყოფმა პირმა საკუთარი ქურთუკი გაიხადა და პრაქტიკულად, ძალით მოიხაურა, ვინაიდან საოცრად ციოდა“; — ასე ეხმაურება სოციალურ ქსელში საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი საკუთარ ფოტოს, რომელზეც ქურთუკოსხმულია ალბეჭდილი და რომელიც ინტერნეტ-სივრცეში ერთბაშად პოპულარულია.

„უფრო კი იმის დაწერა მინდოდა, რომ ზოგიერთი პოსტის ავტორი სიმართლესთან ოდნავ მაინც ჩაველიდი რომ იყოს, თქვენ ამ ფოტოებს ვერასოდეს ნახავდით. თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე დადებული ყოველი ფოტო, ყოველი სიტყვა კონტროლზე მექნებოდა აყვანილი, დღედაღამ იმაზე ვიფიქრებდი, როგორ გამოვიყვანო ამ თუ იმ ფოტოზე, ან წერტილ-მძიმე როგორ არის დასმული ამა თუ იმ განცხადებაში. თქვენი საყოველთაო აღფრთოვანების ფონზე, როგორც ჩანს, სამინისტროს პრეს-სამსახურმა დღეს ზუსტად ისევე მოხსნა ის ფოტოები, როგორც თავიდან დადო. ალბათ, ამას უნდა უყურებდნენ და აკონტროლებდნენ ისინი, ვისაც ევალებათ და საზოგადოებასთან თუ პრესასთან ურთიერთობას აგვარებენ, თუმცა სიმართლე უნდა გაგიმხილოთ, რომ ამისთვის არ მცალკია.“

სიმართლე კი ის არის, რომ დილით გადაეწყვიტე, საკუთარი თვალთ მენახა

თინა ხიდაშელი ყვავდავულ ქურთუკა კოვენტარს აკეთებს

ყველაფერი, სანამ სტუმრები მივიდოდნენ. წვიმა მოვიდა, საშინელი ქარი იყო და კეთილ ადამიანს დავენანე და საკუთარი ქურთუკი მომადარა. სულ ეს იყო.

იმედი მაქვს, ამაზე დიდი პრობლემა არასოდეს გექნებათ ჩემთან.

კიდევ ერთი სიმართლე: რატომღაც მეგონა, ამ სივრცეში მაინც დაიყრებოდა იდეები, კონცეფციები, პრობლემები, მოგვარების გზები. მაგრამ როგორც ჩანს, აქაც მხოლოდ „ამ გოგოს წონაში როგორ მოუშაბა“ (ეს, სხვათა შორის, თქვენზე მეტად, მე მანუხებს), ან „უიმი, გრძელი საყურეები როგორ შეიძლება“ (გამოგიტყდებით, ძალიან მომწონს) და „მაგას რა ედარდება, შვილები გახიზნული ჰყავს“ (მართალია, შორს ვართ, აქვე ბახტრიონზე) საუბრები ჭარბობს და კიდევ მეტი იქნება.

მე რა ხელი მაქვს ამასთან. შეგიძლიათ, მიესალმოდნენ ან არა — ქალ მინისტრს, დაიჯეროთ ან არა, რომ ხანდახან მინისტრსაც შეიძლება შესცივდეს, თუნდაც ის თავდაცვის იყოს, მაგრამ მაინც გულს კუნჭულში იმედს არ ვკარგავ, რომ პირველი ალტკინების გადავლის შემდეგ, გაგახსენდებათ, რომ ქართული ჯარისა და ჩვენი თავდაცვისუნარიანობის შესახებ ჯანსაღი დისკუსია პრაქტიკულად, არასოდეს ყოფილა ჩვენს ქვეყანაში და დასაწყება.

წარამატებებს გისურვებთ თქვენც, საკუთარ თავსაც და, პირველ რიგში, ჩვენს სამშობლოს! — წერს თინა ხიდაშელი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.



„კაბელაძის საქმის“ რეზონანსი უკვე ჰქონდა — კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის პროცესი დაიწყო. ახალი მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებამ ტაშის გრილში ჩაიარა, მიმანჩია, რომ ეს არაადექვატური საქციელია. ეს მთავრობა ხალხის მხარდაჭერას არ იმსახურებს და ამომრჩევლის წინაშე ყველა პოლიტიკური ძალა უხერხულობას უნდა გრძობდეს. თუ გაივლით საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ნახავთ, რომ მთავრობა დღეს ნდობას არ იმსახურებს... ხალხი დაიღალა!“

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ღონისძიება



საქართველოს მთავრობის განცხადებით
საქართველოს მთავრობის განცხადებით

პრობლემა

„ვიდრე ხელმეამედ ნდობა გამოცხადებული იუსტიციის მინისტრი, თვა წულუკიანი „მდიდარ მემკვიდრეობაზე“, სოფლის მეურნეობის მინისტრი დანელია კი, სოფლად დაწყებული „დიდი პროგრამების“ მნიშვნელობაზე საუბრობენ და ვიდრე ღარიბაშვილის მთავრობა თავს სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებით ინონებს, სოფელს ძალიან უჭირს. ისე, არ იფიქროთ, თითქოს რეგიონები ცუდ დღეში რომ არიან, ახლა გავიგე. უბრალოდ, რეგიონებში არსებულ პრობლემას ბოლო დროს კიდევ ერთი დაემატა და არცთუ ადვილად გადასაწყვეტი – ერთი წელია, ძალიან გაძნელდა მინის დაკანონება...“

სახელმწიფო გლეხებს მიწის კუთვნილ ნაკვეთებს არ უკანონებს!



საჯარო რეესტრმა ხალხი დატანჯა! – რა პრეტენზიები აქვს სოფლის მოსახლეობას ხელისუფლებასთან

როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვეა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, იმ გლეხებს, რომლებიც მინას, წლების განმავლობაში, ფლობდნენ და ამუშავებდნენ, ამასთან, სახელმწიფოს მიერ თავის დროზე გაცემული პრივატიზების მონობებიც აქვთ, ნაკვეთებს ვერ იკანონებენ. მიზეზი უამრავია, მათ შორის, – ბევრი გაურკვეველი. საჯარო რეესტრში წარდგენილი დოკუმენტების განხილვასა და დაკანონებას დიდი დრო მიაქვს და საქმე ხშირად შეწყვეტით მთავრდება. საჯარო რეესტრიდან მოსული პასუხების უმრავლესობა ასეთია: „საქმეში აღმოჩენილია ხარვეზი და ერთი თვის განმავლობაში ან უნდა აღმოიფხვრას, ან დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სასამართლოს“.

რა იგულისხმება ამ „აღმოჩენილ ხარვეზში“, ვერავინ აკონკრეტებს...

გ-შვილი დუშეთის რაიონში ცხოვრობს. ის წლების განმავლობაში ფლობდა მინის ნაკვეთებს ბაზალეთის საკრებულოში, რისი დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი აქვს. წესით, მინის დაკანონებას ხელს არაფერი უნდა უშლიდეს, მაგრამ უკვე მეათედ მოსდის საჯარო რეესტრიდან გაურკვეველი პასუხი ხარვეზის შესახებ.

გ-შვილი: „ნახევარი წელია, ამ საქმეს დავდექი, ვერაფერი გავარკვეე, რაც მითხრეს, ყველა დოკუმენტი მოვიპოვე და წარვადგინე დუშეთის საჯარო რეესტრში, მაგრამ ისევ მომდის პასუხი, ხარვეზიაო.“

– მინც, რა დოკუმენტები წარადგინეთ?

– პრივატიზების მონობა, რაც მაშინ მოგვცეს, როცა კოლმეურნეობები დაიშა-

ლა და მინის ნაკვეთები ჩვენს მფლობელობაში გადმოვიდა, გავაკეთებინე აზომებითი ნახაზებიც, არქივიდან ამოვიღე კომლის შემადგენლობის ორი ცნობა...

– ორი რატომ?

– პირველი არასწორი იყო – ერთმანეთს წლები არ ემთხვეოდა, არადა, ის გავაკეთეთ, რაც მითხრეს. წარვადგინე ოჯახის წევრების პირადობის მონობების ასლები, გარდაცვლილი წევრის გარდაცვალების მონობა, მაგრამ უშედეგოდ... დამალავს ეს პენსიონერი კაცი, კიდევ უარი მივიღე. ლამისაა, ყველაფერი მივატოვო, მაგრამ რა ვქნა, ჩემს სახელზე რეესტრირებული მინების გაფორმება მე მიჭირს და ჩემს შვილებს რომ დავუტოვო, ისინი რას მოახერხებენ?

– საბოლოოდ, რეესტრიდან რა პასუხი მიიღეთ?

– ხარვეზი არ არის აღმოფხვრილი.

– კიდევ რა დოკუმენტების წარადგენა მოგთხოვენ?

– აი, ეს კი ვერ გავიგე იმიტომ, რომ არ წერია, რა ხარვეზია.

– ცხელ ხაზზე არ დარეკეთ?

– ცხელ ხაზზეც დავრეკე და რეესტრის იურიდიულ სამსახურშიც, მაგრამ ვერაფერი გავიგე, ზუსტად ნახევარი საათი ველოდე, მაგრამ ოპერატორია თუ ვილაც, არ მიპასუხა..

– ახლა რას აპირებთ?

– არ ვიცი... აღარ ვიცი.

იმას, რომ რეესტრის შესაბამისი სამსახურებიდან ხშირად ასეთი გაურკვეველი პასუხები მოდის, დუშეთის რაიონის საჯარო რეესტრის თანამშრომელი არ მალავს და აცხადებს, რომ მინების დარეგისტრირება

ბოლო ერთი წელია, თითქმის შეუძლებელი გახდა. ამის მიზეზად კი, გამკაცრებულ რეგულაციებს ასახელებს.

რატომ გამკაცრდა რეგულაციები და რატომ ჩააყენეს გლეხები ასეთ სიტუაციაში მაშინ, როცა ხელისუფლება სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ამ გზით საქართველოს კრიზისიდან გამოყვანაზე საუბრობს? – ამაზე პასუხს ვერ სცემს და შეფასებების გაკეთებისგან თავს იკავებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ვიდრე „ქართული სიტყვა“ არ დაინტერესდა, პრობლემას არ იცნობდა.

„არ შეიძლება, ერთის მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე საუბრობდე, ხელისუფლებასთან დაახლოებულ ადამიანებს ერთ ღარიბ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მინებს ჩუქნიდე და, მეორეს მხრივ, გლეხებს, ვის კისერზეც სოფელი დგას, ასეთ დღეში აყენებდე და შემოსავლის ერთადერთ წყაროს უჭრიდე“, – ამბობს დუშეთის გეორგი ნადიბაიძე, რომელიც საჯარო რეესტრში უშედეგოდ სიარულით დაიღალა.

– გეორგი, როგორ ფიქრობ, ყველაფერი ამას შეგნებულად აკეთებენ?

– რახან სოფელში ვცხოვრობთ, პგონიათ, რომ არაფერი ვიცი და არაფერი გვესმის. აქ ჩემნაირი ძალიან ბევრი მინახავს, ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც სხვას ამზადებენ და სახელმწიფო შეგნებულად აფერხებს მინების რეგისტრაციას.

– სახელმწიფოს ხელგნური ბარიერები რაში სჭირდება?

– ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, მინას დროს გამარტივებული წესით დარეგისტრირებული სახლების რეგისტრაცია გააუქმა. ცოტა ხანში იტყვიან, რომ არც შევარდნაძის დროს გაცემული პრივატიზების

მონობებია კანონიერი და ამ მინებს ერთ ღარიბ ისევ თავიანთ ახლობლებს მისცემენ – აი, რა უნდათ.

– რა რეგისტრაციის გაუქმებაზე საუბრობთ?

– სააკაშვილის ხელისუფლების დროს, წინასაარჩევნოდ, „ნაციონალებმა“ კამპანია დაიწყეს და ყველას, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა, საცხოვრებელი სახლი გამარტივებული წესით გაუფორმეს. მოვიდა ახალი ხელისუფლება და გვეუბნება, ეს რეგისტრაცია კანონდარღვევით მოხდა და გაუქმდაო. მინის პრობლემა ხომ ვერ მოვაგვარე, ახლა სახლის საბუთებიც ახლიდან მაქვს მოსაგროვებელი, რომ ჩემი ქონება საკუთრებაში დავიმტკიცო. ამის მერე კიდევ იტყვიან, სოფელი უნდა განვითარდესო. რაღაც არ მგონია, ამათ სოფელზე გული შესტკიოდეთ! თუ წინდაუკან სიარულში ამდენი დრო, ფული და ენერჯია დავხარჯეთ, მინას ვინ დაამუშავებს?

ვერ შეედავები ბატონ გეორგის: როცა სახელმწიფო დეკლარირებულად აცხადებს, რომ სოფელი გადარჩენს ქვეყანას, პირველ რიგში, გლეხს, რომელიც ვერ კიდევ შემორჩა რეგიონებს, იმის შეგრძნება უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარ მინაზე შრომობს და ამით ეხმარება ქვეყნის განვითარებას. ეს გრძნობა კი, მანამდე არ ექნება, ვიდრე ქონებას არ დაიკანონებს.

კიდევ ერთი პრობლემა: როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვეა, ტურისტულ რეგიონებში გლეხებს მხოლოდ მინის ერთი ნაკვეთის გაფორმების საშუალებას აძლევენ, დანარჩენს კი, არ უკანონებენ. არაა გამორიცხული, რომ ცოტა ხანში სახელმწიფომ დანარჩენი მინების დაბრუნება მოითხოვოს და ამით გლეხი ლუკმაშურის გარეშე დატოვოს.

ნათია ვერძული

სტოკადრი

ქობულეთის პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით პაპავა, რომელმაც სასტუმროში გაჩენილი კვამლი შენიშნა, შენობიდან ბავშვების ევაკუაციის შესახებ ჰყვება.

როგორც დავით პაპავამ ჟურნალისტებს განუცხადა, სასტუმროსთან მისვლისთანავე დაიწყო ცეცხლმოკიდებული შენობიდან ხალხის გამოყვანა. მისივე განმარტებით, შენობაში მყოფები დაბნეულები იყვნენ და ეძებდნენ პირად ნივთებს, მათ გააფრთხილეს ბავშვები და მშობლები, რომ სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ შენობა. მისივე განმარტებით, ევაკუაციის პარალელურად სახანძრო, სამაშველო და სამედიცინო ბრიგადები გამოიძახა:

„ჩემს თანამშრომლებთან ერთად, ვმობრძობდი ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე, რა დროსაც ცაზე შევნიშნე შავი ფერის ღრუბელი, მივედით იმ მიმართულებით და დავინახეთ სასტუმროს ასლიოდა კვამლი – ხანძარი იყო. პირველი, რაც გავაკეთეთ, დავინყეთ ყვირილი, რომ გარეთ გამოსულიყვნენ. არ ვიცოდით დეტალურად, თუ რამდენი ადამიანი იყო შეგნით. ჩავამტკრიეთ კარი და ვიყვირო... ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ იქ იყვნენ ბავშვები, შევედით შეგნით და დავინყეთ მათი გამოყვანა. იყო დაბნეულობა, ზოგი თავის ნივთებს ეძებდა, ჩვენ მივეცით მიმართულება, რომ სასწრაფოდ გასულიყვნენ, ნივთების დრო აღარ იყო. მაქსიმალურად შევეცადეთ, იქ მყოფები გარეთ გამოგვეყვანა“, – აღნიშნა დავით

ქობულეთელი პოლიციელი სასტუმროდან ბავშვების ევაკუაციის დეტალებს ჰყვება

პაპავამ.

როგორც დავით პაპავა აცხადებს, იმ ოთახთან მიახლოება, სადაც ბავშვები დაინვნენ, შეუძლებელი იყო, რადგან შენობა ალში იყო გახვეული და საგარეუდოდ, ხანძარი იმ ტერიტორიიდან მოდიოდა.

„იმ მიმართულებით წავედით, საიდანაც, საგარეუდოდ, კვამლი ამოდიოდა, თუცა იმ ოთახთან მიახლოება შეუძლებელი იყო. გვერდით ოთახების კარის შემტვრევა მოვახერხეთ, მაგრამ უშუალოდ ის ტერიტორია კვამლი იყო გახვეული. ასევე, შევედით სხვა ოთახებთან მისვლა და ბავშვების და მშობლების გამოყვანა. გამოძიების პროცესში უფრო დეტალურად გახდება ცნობილი, თუ ვინ სად იყო და რას აკეთებდა. მიმდინარეობს საგამოძიებო პროცესი და დაკითხვები. ტარდება ექსპერტიზა და დადგინდება, რამ გამოიწვია ხანძარი“, – აღნიშნა დავით პაპავამ.

შეგახსენებთ: 10 მაისს, ქობულეთში, ერთ-ერთ სასტუმროში გაჩენილ ხანძარს სამი მოზარდი ემსხვერპლა.

„ინტერპრესნიუსი“

გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, საკუთარი აზრის გამოხატვა თავისუფლად შეუძლია

ასეთია NDI-ის კვლევის შედეგები, რომლის პრეზენტაციაც სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა.

შეკითხვაზე, რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ აზრის გამოხატვა, – 43%-მა აიკრიფა კატეგორია „სრულად ვეთანხმები“, 37% – „ნაწილობრივ ეთანხმება“, 12% – „ნაწილობრივ არ ეთანხმება“, 4% კი – „საერთოდ არ ეთანხმება“.

რაც შეეხება სხვა მოსაზრებებს, გამოკ-

ითხულთა 23% სრულად, 37% კი ნაწილობრივ ეთანხმება, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ საშუალება, თავისუფლად იმუშაონ და გააკონტროლონ მთავრობის საქმიანობა“.

მოსაზრებას – „ჩემიანი ხალხს შეუძლია, მთავრობაზე გავლენის მოხდენა“ – სრულად ეთანხმება 13%, ნაწილობრივ – 36%, ნაწილობრივ არ ეთანხმება – 21%, საერთოდ არ ეთანხმება – 20%.

მოსაზრებას – „მნიშვნელობა არ აქვს, არჩევნებში ვის მივცემ ხმას, მაინც არაფერი შეიცვლება“ – სრულად ეთანხმება 15%, ნაწილობრივ – 26%, ნაწილობრივ არ ეთანხმება – 28% და საერთოდ არ ეთანხმება – 23%.

„ინტერპრესნიუსი“

კვილევა

„დღეში სამი სკანდალის „ბახეთევაზე“ ორიენტირებული არ ვარ!“

ეკა შინდაბორიძე „ნიუპოსტის“ წარმატების საიდუმლოს ამხელს

...ვეგობრობით... მახსოვს, რამდენიმე წლის წინ, რედაქციაში მესტუმრა და ჯანსუღმა ლექსი დაუნერა... მაშინ ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ახლა კი, საქართველოში ყველაზე რეიტინგული საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია. როგორ გახდა ორი წლის წინ დაარსებული სააგენტო ინტერნეტ-მედიის ლიდერი? — ვიდრე ამ „საიდუმლოს“ ამოვსნით, ერთ დეტალს გეტყვით, რომელიც ჩემი მეგობრისა და კოლეგის პორტრეტის შესაქმნელად აუცილებელია: ძალიან ჰყავს „მარლი“, რომელსაც ოჯახის წევრად თვლის... სხვათა შორის, რაგბისტის დედაა... მოკლეად, „ქართული სიტყვა“ საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტის“ ერთ-ერთ დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს, ეკა შინდაბორიძეს წარმოგიდგინო.

— ეკა, სააგენტოსთვის „ნიუპოსტი“ რომ დაგერქმიათ, შენი იდეა იყო? — თავდაპირველად ჩანაფიქრი იყო, რომ სოციალური მედია, უფრო ბლოგის სახით გაკეთებულიყო. ამის განხორციელებისთვის მხოლოდ ერთი, ან ორი ადამიანი არ მუშაობდა, იყო ჯგუფი პიარის მიმართულებით, ტექნიკური დეტალების, ანუ ყველას კონკრეტული საქმე ჰქონდა ჩაბარებული საიტის ჩამოყალიბების პროცესში. ერთი-ორი ჟურნალისტიც იყო ჩართული. ყველაფერ ამან უკვე შემდგომ საინფორმაციო სააგენტოს სახე მიიღო. ერთი სიტყვით, ეს იყო გარკვეული პროცესი. თითოეულმა იმ ადამიანმა, რომელიც რაიმე სახით იყო დაკავშირებული, თავისი წვლილი შეიტანა და თავისი როლი აქვს „ნიუპოსტის“ შექმნაში... სახელის იდეაც მოგვეწონა და დავარქვით.

— საიტზე პირველი ახალი ამბავი როდის დადეთ? — 2012 წლის 1 ოქტომბერს, ანუ არჩევნების დღეს.

— პროფესიით ჟურნალისტი ხარ? — არა, ქართული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი ვარ. მეტიც, აქამდე ჟურნალისტიად არასოდეს მიმუშავია. ისე, პროფესიით, რამდენიმე თვე ვიმუშავე და გერმანიაში წავედი, სადაც გერმანისტიკის კურსები გავიარე... საერთოდ, თითქმის ყველა, ვინც უმაღლესი სასწავლებელი 90-იან წლებში დაამთავრა, პროფესიის მიუხედავად, ჟურნალისტი გახდა. ჟურნალისტიკაში ჩემი ბევრი მეგობარიც წავიდა... ისე, პრესა-სამსახურში გარკვეული ჟურნალისტიკა — პრესა-სამსახურის მოვალეობა მხოლოდ პრესრელიზის გავრცელება და ჟურნალისტიკის მონვევა კი არა, საზოგადოებასთან ურთიერთობაცაა.

— ეკა, მოდი, პირდაპირ გკითხავ: „ნიუპოსტი“ ვისია? — ვისია სააგენტო და ვის რა წილი აქვს, ამ შემთხვევაში, არაა მთავარი. სააგენტო ყველა იმ ჟურნალისტის, ყველა იმ კონკრეტული ადამიანისაა, რომელიც ამა თუ იმ სახით „ნიუპოსტთან“ თანამშრომლობდა და თანამშრომლობს, მათ შორის, მეც ვარ,

ამ შემთხვევაში, განსაზღვრული სტატუსით. „ნიუპოსტთან“ თანამშრომლობს ახალგაზრდების ჯგუფიც, სტუდენტები, მათ თავიანთი კონკრეტული წვლილი და კონკრეტული მიმართულება აქვთ. სააგენტო იმ ჟურნალისტებისაა, რომლებიც მთელი დღე, საკმაოდ დატვირთულ რეჟიმში აკეთებენ ყველაფერს, რომ „ნიუპოსტი“ იყოს ლიდერი მედია-საშუალება.

— ვეთილი, მაგრამ როგორ ფიქრობ, პოლიტიკური ბეგრანდი მოიცილებ? — შეკითხვა ვერ გავიგე.

— რატომ? — იცი, რატომ? — ჟურნალისტი, ვინც იტყვის, რომ პოლიტიკისგან შორსაა, არასერიოზულად მიმაჩნია. ცხადია, ე.წ. ყვითელ პრესაზე არ ვლაპარაკობ.

— ისე, ყვითელი პრესაც პოლიტიკაა... — ასე, სპორტიც პოლიტიკაა...

— ჟურნალისტი, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ „ნიუსს“ წერს და იტყვის, პოლიტიკისგან შორს ვარო, ესე იგი, პოლიტიკურ პროცესებში ვერ ერკვევა და შესაბამისად, ვერაფერს დანერს.

— ვანო, მხოლოდ მე და შენ კი არა, თითოეულ ჟურნალისტს თავისი პოლიტიკური ხედვა აქვს. ჩემი პოლიტიკური ორიენტირი ვერ კიდევ 1987-88 წლებში გავაკეთე — ჩვენ ხომ ის თაობა ვართ, რომელმაც ეროვნული მოძრაობის პირველი ტალღა გადაიტანა. ეს პოლიტიკური ორიენტირი არასოდეს შეიცვლება, თან ისეთია, როგორც საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდ უმრავლესობას აქვს და რომელიც დღეს და გუშინ არ განეჩილა...

— ანუ, დასავლური? — რა თქმა უნდა.

— „ნიუპოსტი“ დასავლურ ღირებულებებს ემსახურება? — დიახ.

— მაშასადამე, „ევრაზიული კავშირის“ მეხობებ არჩილ ჭყოიძეზე „ნიუსს“ არ „დადებ“? — არჩილ ჭყოიძეზე, როგორც იტყვიან, მშრალი „ნიუსი“ დამიდეცა — ვთქვით, რაღაც აქცია გამართა, ან რუსეთის ზემოდალი სიყვარულისთვის ვილაცამ გალახა.



— მოკლეად, ვანო, ყველა ადამიანი სუბიექტურია — ბოლოს და ბოლოს, არჩევნებზე მიდის და ხმას აძლევს.

— ეკა, შენს ჟურნალისტებს აძლევ უფლებას, რომ ანალიტიკურ წერილში საკუთარი აზრი გამოხატონ?

— ანალიტიკური წერილი დასაბუთებული და, შესაბამისად, ობიექტური უნდა იყოს.

— აბსოლუტური ობიექტურობა არ არსებობს. სხვათა შორის, როგორც იურისტები ამბობენ, გამართლება მკვლელობასაც აქვს...

— კი ბატონო, მაგრამ გამოძიება იმისთვისაა, რომ მკვლელობის ნამდვილი მიზეზი დაადგინოს...

— ბაზარზე უამრავი სააგენტოა, „ნიუპოსტი“ რომელიც ჯერ მხოლოდ ორი წლისაა, როგორ მოახერხა, რომ ინტერნეტ-მედიის ლიდერი გამხდარიყო?

— სხვათა შორის, ამას ბევრი მეკითხება... საერთოდ, იმ კატეგორიას არ განვეკუთვნები, ვინც, სამუშაო საათები დამთავრდება თუ არა, ქუდს იხურავს და მიდის.

— ჟურნალისტიკაში ნორმირებული დრო არ არსებობს!

— დიახ, მაგრამ ზოგმა შეიძლება თქვას, მთავარი რედაქტორი ვარ და როცა მინდა, წავალ. ჟურნალისტიკას ძალიან დიდი შრომა და აბსოლუტური მობილიზება სჭირდება. მართალია, ჟურნალისტიად არასოდეს მიმუშავია, მაგრამ წლების განმავლობაში მედიას ვაკვირდებოდი და მივხვდი, მედიასაშუალება საინტერესო მაშინაა, როცა „ვრეშია“ არ არის — ხომ გახსოვს, საბჭოთა კავშირის დროს, „ვრეშია“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება იყო.

— მაგას რა დამავიწყებს!

— ანუ, მხოლოდ ერთი კონკრეტული პოლიტიკური მიმართულების „ნიუსებს“ არ უნდა ავრცელებდე და არც იმაზე უნდა იყო ორიენტირებული, რომ ვილაც „აპიარო“. პოლიტიკურ წრეებში ბევრია ისეთი, ვის აზრსაც ვიზიარებ, მაგრამ ყველაზე მეტად „ნიუპოსტი“ სწორედ მათ ჩაგრავეს — მათ კომენტარებს იშვიათად ავრცელებს.

— რაც შეეხება წარმატებას, ძალიან ბევრი ღამე გავათენე, რომ ბევრი მესწავლა და მენახა. დღეს ჩემს ჟურნალისტებს მხოლოდ იმიტომ მინდა მადლობა ვუთხრა, რომ მათთვის არ არსებობს დრო და საათი.

— „ნიუპოსტი“ რამდენიმე მთავარი რედაქტორი გამოიცვალა. ეს მისია თავიდანვე საკუთარ თავზე რატომ არ აიღე?

— არ ვამბობ, ამ საქმეს ჩემზე უკეთესად ვერავინ გააკეთებს-მეთქი, თან ყველამ, ვისაც აქ უმუშავია, „ნიუპოსტი“ თავისი წვ-

ლილი შეიტანა, თუმცა ამ ეტაპზე პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ავიღე, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ანალიზის არანაკლები გამოცდილება მაქვს და ისიც შემიძლია, რომ „ნიუსი“, ასე ვთქვათ, შევქმნა. შესაბამისად, გადავწყვიტე, რომ მთავარი რედაქტორი ვყოფილიყავი და ჩემს თავზე ძალიან ბევრი პასუხისმგებლობა ავიღე.

— ვანო, შეიძლება, ვცდები, მაგრამ ვცდილობ, საზოგადოებას აბსოლუტურად ყველა მხარის პოზიცია მივანოვო, თუმცა არსებობს ე.წ. წითელი სახეები, რომელთაც არასოდეს გადავკვეთ. ვფიქრობ, წარმატებაც სწორედ ამის შედეგია, ანუ როცა ყველაფერს აწვდი, საზოგადოებისთვის საინტერესო ხდები.

— მე თუ მკითხავ, ჟურნალისტი ავანტიურისტი უნდა იყოს. ავანტიურისტი ხარ?

— ავანტიურა ცხოვრებას საინტერესოს ხდის, თუმცა ვერ გეტყვი, ავანტიურისტი ვარ თუ არა!

— დამიჯერე, ჩემზე არანაკლები ავანტიურისტი ხარ — პარტიის პრესა-სამსახურებიდან სააგენტოს მთავარ რედაქტორად წახვედი და ამაზე მეტი ავანტიურა რაღა გინდა!

— შეიძლება... — ისე, დავაკვირდი და, „ნიუპოსტი“ სკანდალებს ერიდება.

— რატომ ერიდება? — ყოველ შემთხვევაში, წელან, რაღაცაზე მითხარი, საიტზე არ „დავდეო“...

— დღეში სამი სკანდალის „გახეთევაზე“ ორიენტირებული არ ვარ. არადა, ჩემს თვალწინ იმდენ რამეს გაუვლია, რომ შეიძლება, ყველაფერი „ნიუსად“ ვაქციო... შეიძლება, რაღაც ამბავი ვიცოდე, მაგრამ ვიდრე ბოლომდე არ გადავამოწმებ, არ გამოვაქვეყნებ. შეიძლება, არასწორად ვიტყვი, მაგრამ თუ ინფორმაციაში რაღაც მომეჩვენა, რომ ისე არაა, როგორც უნდა იყოს, საიტზე არ „დავდეო“. სხვათა შორის, ასეთი შემთხვევა მქონია და კიდევ კარგი, „ნიუსი“ არ გავრცელებულა... ერთხელ კი, ერთი ამბავი გავავრცელე, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ სიმართლე იყო. მეორე მხარე გაიძახოდა, იტყუებო, მაგრამ მაშინაც ვამბობდი და დღესაც ვიმეორებ, რომ არ ვიტყუებოდი.

— ეს აჟიოტაჟი კი, ვილაცას შეიძლება, იმიტომ უნდოდა, ეთქვა, აი, „ნიუპოსტი“ ცუდიაო.

— თუკი ვინმე გეუბნება, რომ ცუდი ხარ, ესე იგი, კარგი ხარ! „ნიუპოსტი“ მხოლოდ რეიტინგულია თუ გავლენიანიც?



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დადგება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლექსი



საქართველოს პარლამენტი

კოლეგა

– გაველენიანცი.
– ანუ, „ნიუპოსტის“ ეშინიათ?
– არავის უთქვამს, ვაიმე, შენი მეშინიაო, მაგრამ საერთოდ, საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულ ადამიანებს ეშინიათ, რამე ისეთი არ გააკეთონ, რომელიც მედიაში მოხვდება.
– „ნიუპოსტს“ ეტყობა, რომ ქალი მართავს?
– ეს როგორ უნდა დაეტყოს?
– რა ვიცი, შეიძლება, ფრთხილი ხარ...
– სხვათა შორის, ფრთხილი არ ვარ და არ არსებობს, რომ შიშის გამო რამე არ გავაკეთო. დასაწყისში გითხარი – ჩვენ ხომ რუსის ტანკის არ შეგვშინებია (იციან...!)
– ეკა, მთავარ პრობლემად, რაც არსებობს-განვითარებისთვის ქართულ მედიას ხელს უშლის, რას თვლი?
– მედიის არსებობის ერთადერთი საშუალება რეკლამაა, შესაბამისად, სარეკლამო ბაზარი გამართული უნდა იყოს.
– მედია ბიზნესია?
– რა თქმა უნდა, ოღონდ ვილატებს ტყუილად ჰგონიათ, რომ მედია მომგებიანი ბიზნესია. ფული იმისთვის მიიღება, რომ ყურნ-

ალისტებს ხელფასი გადაეუხადო და სააგენტო შევიწახო, განვავითარო. შემოდია, თამამად ვთქვა, რომ „ნიუპოსტის“ შემოსავლის ერთადერთი წყარო რეკლამაა, თუმცა თუ საჭირო გახდა, გარკვეულწილად საკუთარი კაპიტალის გაღებასაც არ მოვერიდები. საერთოდ, თუ გინდა, რომ წარმატებული იყო, საქმეში მხოლოდ გონებრივი კი არა, ფინანსური რესურსიც უნდა ჩადო.
– ბიზნესის ნიჭი გაქვს?
– ასე არ ვთვლი... სააგენტო მხოლოდ ფულის შოვნისთვის არ მუშაობს. იმ სფეროში, რომელიც არ მაინტერესებს, შეიძლება, დიდი ანაზღაურებაც შემომთავაზონ, მაგრამ ვერ ვიმუშავე. „ნიუპოსტის“ კეთება კი, მომწონს. მედია სხვა რამეა...
– მედია ნარკოტიკია...
– შენ ქმნი საზოგადოებრივ აზრს, ადამიანებს ინფორმაციას აწვდი და ეს ინფორმაცია შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.
– მედია ადრენალინიცაა...
– რა თქმა უნდა და ამ შემთხვევაში, ფული, უბრალოდ, დამხმარე საშუალებაა, რომ ეს საქმე ძალიან კარგად გააკეთო.

– თვლი, რომ ეს ქვეყანა ჩვენ, ყურნალისტებმა დავლუპეთ?
– არა, ჩემო კარგო. ეს არასერიოზული მიდგომაა. ქვეყანა თითოეულმა მოქალაქემ დავლუპეთ, რადგან მხოლოდ სახელმწიფო კი არაა ხალხის წინაშე პასუხისმგებელი, არამედ, საზოგადოებაც პასუხისმგებელია, რომ კანონმორჩილი იყოს. ჯერ თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცნოს ჩაგდება ისწავლოს და მერე ვილაპარაკოთ, ქვეყანა ყურნალისტებმა დავლუპეთ თუ არა, თუმცა მოდი, ობიექტურები ვიყოთ და ისიც ვთქვათ, რომ მედია საზოგადოებას ინფორმაციას ზოგჯერ არასწორად აწვდის, რაც კარგი არაა. ეს მხოლოდ მედიას კი არა, აბსოლუტურად ყველა სფეროს ეხება – შეიძლება, ექიმმა არასწორი დიაგნოზი დასვას და ამის გამო ადამიანი დაიღუპოს. ამიტომ ვცდილობ, ისეთი „ნიუსი“ არასოდეს „გავაკეთო“, რომელიც სუბიექტური იქნება...
– ეკა, მედიაში ვინმეს მასწავლებლად თვლი?
– არა, თუმცა შეიძლება, ერთ დღეს დაგირეკო და გითხრა, ვანი, ჩემზე მეტი გამოცდილება გაქვს და ასე ხომ არ ჯობია, გავა-

კეთო-მეთქი.
– რჩევა გასაგებია, მაგრამ შენც კი იცი, რომ ყურნალისტობა არ ისწავლება! ვინმეს შენი მოსყიდვა უცდია, ან დაგმუქრებია?
– ფული არასოდეს შემოუთავაზებიათ! სხვათა შორის, არც მუქარა მასხენდება, თუმცა ერთხელ, რაღაც მსგავსი მოგვწერეს...
– პოლიტიკურზე?
– არა... მაშინვე ვუთხარი, თუ ხვდებით, რომ თავისუფალ მედიას ემუქრებით და შესაბამისად, თქვენი მუქარა პასუხგაცემული იქნება-მეთქი. ყველაფერი ამით დამთავრდა, თან მუქარის არ მეშინია...
– ეკა, ახალი ამბის გავრცელება შეიძლება, ანუ უმნიშვნელო ამბავი დღის თემად რომ ვაქციოთ, ძალგვიძს?
– რა თქმა უნდა – კარგი ყურნალისტი ყველაზე უმნიშვნელო ამბავშიც მნიშვნელოვანს ხედავს და ამას დღის თემად აქცევს.
– ეკა, შენ და „ნიუპოსტს“ წარმატებას გისურვებთ!
ესაუბრა ვანო პავლიაშვილი

სტოკჰოლმი



გიორგი მარგველაშვილი: „პროდასავლური იდეების პოპულარიზაციისთვის მეტი კონსოლიდაციაა საჭირო!“

„31% არის მნიშვნელოვანი სიგნალი ყველა იმ პოლიტიკური ჯგუფისთვის, რომლისთვისაც სტრატეგიული დასავლური არჩევანია“, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ევროკავშირის კომისიის შედეგების კომენტარისას განუცხადა, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთა 31% ევროპულ კავშირში განხილვის მომხრეა.
გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ფონზე საჭიროა პროდასავლური ძალების კონსოლიდაცია ევროატლანტიკური იდეის პოპულარიზაციის მიზნით.
„გვიქრობ, რომ შედეგები ფრიად დასაფიქრებელია. ჩემი საპარლამენტო გამოსვლის დროს მე ხაზი გავესვი იმას, რომ ნებისმიერი პროდასავლური ძალების დღის წესრიგი ამ მიმართულების – ჩვენი დასავლური არჩევანის კონსოლიდაციასთან დაკავშირებით, უნდა უფრო გააქტიურდეს. 31% არის მნიშვნელოვანი სიგნალი ყველა იმ პოლიტიკური ჯგუფისთვის, რომლისთვისაც სტრატეგიული სწორედ დასავლური არჩევანია. შესაბამისად, მე მიმაჩნია, რომ საქართველოში იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც ნათლად ხედავენ ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შეუქცევადობას, ამ იდეების პოპულარიზაციის თვალსაზრისით მეტი კონსოლიდაცია უნდა მოახდინონ“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.
„ინტერპრესნიუსი“

ე. წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკამ აფხაზეთისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობა“ აღიარა

Lifenews.ru-ს ინფორმაციით, შესაბამის „ბრძანებებს“ ხელი თვითაღიარებული რესპუბლიკის დე ფაქტო ლიდერმა ალექსანდრე ზახარჩენკომ მოაწერა. როგორც ე.წ. დადგენილებების ტექსტში წერია, ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობს დონბასის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხების მისწრაფებებიდან, სრულფასოვანი, მეგობრული ურთიერთობები დაამყარონ.
„როგორც აფხაზი, ისე ოსი ერი ძალიან ახლოსაა დონბასის ხალხთან. თავის დროზე დონბასი ესმარებოდა აფხაზეთსა და ოსეთს, როდესაც მათ ომი ჰქონდათ. ახლა ისინი გვეხმარებიან ჩვენ და ძალიან მოხარული ვარ, რომ აღიარების ნაბიჯი გადავდგით“, – განაცხადა ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე კოფმანმა.
ოკუპირებულმა სამხრეთ ოსეთმა ჯერ კიდევ გასული წლის ივნისში აღიარა დონბასის დამოუკიდებლობა, აფხაზეთში ეს გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღიათ.
„ინტერპრესნიუსი“

გიორგი ქადაგიძე: „ინვესტიციების მასშტაბურად დადებითი მოლოდინები უნდა შევქმნათ!“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის განცხადებით, EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრაზე და ბიზნესფორუმზე მთავარი ამოცანა ინვესტიციებისთვის მაქსიმალურად დადებითი მოლოდინების შექმნაა.
„ჩვენი მთავარი ამოცანა დღეს არის, მაქსიმალურად დადებით ჭრილში წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი, მაქსიმალურად დადებითი მოლოდინები შევქმნათ იმ ინვესტიციებს, რომლებიც თბილისს ეწვევიან ამ კვირაში“, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.
„ინტერპრესნიუსი“


საპატრიარქოს საბანგეო განცხადება

საქართველოს საპატრიარქო კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის სახელით ინტერნეტში გავრცელებულ კომენტართან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.
საპატრიარქოს ინფორმაციით, გავრცელებული ტექსტი შორენა თეთრუაშვილის არ ეკუთვნის. „კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის სახელით ინტერნეტ-სივრცეში გავრცელებული ტექსტი ქალბატონ შორენა თეთრუაშვილის არ ეკუთვნის. საერთოდ, იგი საჯაროდ არასოდეს აფიქსირებს თავის პირად პოზიციას და არ სარგებლობს არც ერთი სოციალური ქსელით. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც მორიგ სიცრუესთან გვაქვს საქმე“, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.
რამდენიმე დღის წინ, შორენა თეთრუაშვილის სახელით სოციალურ ქსელში ჩანანერი გავრცელდა, რომელშიც თითქოს ის საქართველოს წართმეულ მიწებზე საუბრობდა და რუსეთს ოკუპანტად მოიხსენიებდა. ტექსტი საქართველოს ახალ თავდაცვის მინისტრსაც ეხებოდა. კერძოდ, მასში თავდაცვის უწყების ახლადდანიშნული ხელმძღვანელი მოხსენიებული იყო, როგორც „გაურკვეველი მსოფლმხედველობის დიატი“, რომელიც „კიდევ უფრო ბუნდოვანს გახდის ჩვენს ისედაც სავალალო მომავალს“.
„ინტერპრესნიუსი“



თამარ ბერუაშვილი: „ჩვენ ერთად ვიწყებთ ვარშავის ნატო-ს სამიტისთვის მზადებას!“

შეხვედრა ნატო-ს გენერალურ მდივანთან, იენს სტოლტენბერგთან ნატო-ს შტაბბინაში იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, თამარ ბერუაშვილმა ყურნალისტებს საქართველოს პრეზიდენტისა და ნატო-ს გენმდივნის შეხვედრის შედეგებისას განუცხადა.
მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა ნატო-საქართველოს ურთიერთობის პრაქტიკულად ყველა ასპექტი მიმოიხილეს.
„განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უელსის სამიტის პაკეტის განხორციელების მნიშვნელობას, ამასთან ერთად ნატო-ს ძალიან მკაფიო მხარდაჭერას საქართველოსთვის, როგორც განსაკუთრებული პარტნიორისთვის. საქართველოს წვლილი განსაკუთრებულად იყო აღნიშნული, როგორც ქვეყნის, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ნატო-ს წევრი ქვეყნების გვერდით საერთაშორისო ოპერაციებში“, – განაცხადა ბერუაშვილმა.
მისივე თქმით, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა გამოსხატა ალიანსის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მიმართ.
„რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იყო პოლიტიკური გზავნილი, რომ ნატო-სთვის საქართველო არის განსაკუთრებული პარტნიორი ქვეყანა, რომ საქართველოს ინტეგრაცია ნატო-ში გრძელდება, რომ ჩვენ ერთად ვიმუშავებთ, რათა უელსის შედეგები რეალობად იქცეს და ასევე, ერთად ვინწყებთ ვარშავაში ნატო-ს სამიტისთვის მზადებას“, – განაცხადა ბერუაშვილმა.
„ინტერპრესნიუსი“



საქართველო სპორტი

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“

კონსტანტინე

პრეს-კლინიკა

როგორ დაავადნიოთ თავი გაზაფხულის ძროხის დაავადებებს

სეზონური დაავადებები ადამიანთა უმრავლესობისთვის პრობლემურია. გაზაფხულობით, ნებისმიერ ადამიანსთან ერთად, სხვადასხვა ქრონიკული დაავადება მწვავედ მჩაგრავს. „ქართული სიტყვა“ ექიმ-დერმატოლოგ მანია მარიაშვილს ესაუბრა.

- ქალბატონო მანია, გაზაფხულობით კანის რომელი დაავადება ვლინდება?
- გაზაფხულზე, ბუნების აყვავებასთან ერთად, კანის დაავადებებიც იღვიძებენ. ძირითადად, ლაპარაკია, ალერგიულ გენეზისა და სოკოვანი დაავადებებზე. ამ დროს იწყება სიცხე, წარბი ოფლიანობა და ყველაფერი ეს ხელს უწყობს დაავადების წარმოშობას.
- სოკოვანი დაავადება რა ასაკის ადამიანებში ვლინდება?
- ძირითადად, მოზრდილებში, უფრო მეტად კი, — მამაკაცებში, რადგან პორმონის გამო, მამაკაცები უფრო ოფლიანობენ, ვიდრე — ქალბატონები. სოკოვანი დაავადებები შეიძლება, ხანდაზმულ ადამიანებშიც შეგვხვდეს.
- მსგავსი დაავადებებისგან ბოლომდე განკურნება შესაძლებელია?
- სოკო პარაზიტული დაავადებაა და, საბედნიეროდ, მკურნალობას სრულად ექვემდებარება, ანუ მისი ბოლომდე მორჩენა შესაძლებელია.
- მკურნალობა რამდენ ხანს გრძელდება?
- სრულ განკურნებას, საშუალოდ, ერთი თვე სჭირდება.

ალერგიულ დაავადებებთან საქმე უფრო რთულადაა. ალერგენი გარემოში უამრავია, მაგალითად, გაზაფხულზე მცენარეები ყვავილობენ, ყვავილი უდიდესი ალერგენია, ასევე, ბალახი და მტკვრი, განსაკუთრებით საშიში კი, ყვავილის მტკვრია. ხშირად კონკრეტული ალერგენის დადგენა ვერ ხერხდება. ამიტომაც ალერგია პოლიეტიოლოგიურ დაავადებად ითვლება და ქრონიკული დაავადებებისკენაა მიდრეკილი. ამასთან, ეს გენეტიკურად დეტერმინირებული პროცესია, ანუ ადამიანს გენეტიკურად გადაეცემა დაავადების განწყობა, მიდრეკილება და არა — უშუალოდ დაავადება. კონკრეტული ალერგენი კი, პროვოკატორის როლს ასრულებს.

- რა სახის მკურნალობა უნდა ჩატარდეს ალერგიის დროს?
- არსებობს სპეციალური პრეპარატები და როცა ეს პერიოდი გაივლის, დაავადება მარცხდება, ანუ რემისიაში გადადის.
- გაზაფხულობით ბავშვებში თავს რა სახის დაავადებები იჩენს?
- პატარებში თავს, ძირითადად, ალერგიული დაავადებები იჩენენ.
- კანის დაავადებებისთვის ყველაზე რთული რომელი სეზონია?
- მაგალითად, მშრალი დერმატოზებისთვის, როგორიცაა ეგზემა, ატოპიური დერმატიტი, ზამთრის პერიოდი ძალიან რთული იმით, რომ ზამთარში, მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, ჯანმრთელი კანიც კი შრება.
- მსგავსი დაავადებები თავიდან როგორ უნდა ავიცილოთ?
- ვინაიდან ამ დაავადებების უმრავლესობა ქრონიკულია, გირჩევთ, თადარიგი დაიჭიროთ, ანუ არსებობს მალამოები, ასევე, დასაღვევი პრეპარატები, რომლებიც ამ დაავადებების გამწვავებას ხელს უშლიან.

მომზადდა ბილა ჭულუხაძემ



სპორტი



„გლადიატორები“, „ჯუნგლები“ და „ფრონტი“ — ვინ აფინანსებს საფეხბურთო გუნდების მხარდამჭერ არაოფიციალურ დაჯგუფებას

„დინამოს“ ლოგო ერთი და განუყოფელია, რომელიც ჩვენს ოჯახს აერთიანებს!

იმისთვის, რომ ხალხს ქართულ ფეხბურთზე „გული მოუბრუნდეს“, საქართველოს უმაღლეს ლიგაში მოასპარევე თითქმის ყველა გუნდმა ფანკლუბი და ე.წ. დაჯგუფება შექმნა. მართალია, ამ არაფორმალური გაერთიანებების მიზანი ფეხბურთისა და, კერძოდ, იმ გუნდის პოპულარიზაციაა, რომელსაც ქმნაგობენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ყველაფერ ამან პოპულარიზაცია „სულიგნების ჩხუბს“ გაუწვია. ჩხუბები გარდაუვალი განსაკუთრებით მაშინაა, როცა ერთმანეთს ჩემპიონატის გრანდები, ან მაღალი რანგის გუნდები უპირისპირდებიან და მატჩის არასასურველი შედეგით დამთავრების შემთხვევაში, ჯერ ტრიბუნებიდან იწყება „სკამების წვიმა“, შემდეგ კი, „საფეხბურთო სულიგნები“ ერთმანეთს მოედნის გარეთ დაუნდობლად აგინებენ, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადადის.

ბოლოს, ასეთი ინციდენტი „დინამო-ტორპედოს“ მატჩზე მოხდა, თუმცა ამჯერად, ტრიბუნებიდან, „დინამო არენაზე“ მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, „სკამების წვიმა“ არ წამოხლდა. მეორე, ჩხუბი შუაგულ წერეთელზე გაგრძელდა, რომლის ამსახველი ვიდეოც სოციალურ ქსელში გავრცელდა. რა მოხდა, სინამდვილეში, „გლადიატორებს“ და „ჯუნგლებს“ შორის და, საერთოდ, რა მიზნით ჩამოყალიბდა შემოხსენებული არაფორმალური დაჯგუფებები?

„ქართული სიტყვა“ „გლადიატორების“ ერთ-ერთ ახალგაზრდა წევრს ესაუბრა და იმის გარკვევას შეეცადა, თუ რა ხდება „სამზარეულოში“, მაგრამ, როგორც ინკოგნითო რესპონდენტმა განაცხადა, „გლადიატორები“ მხოლოდ გუნდის პოპულარიზაციას ეწევიან და სხვა არაფერი აინტერესებთ. სხვათა შორის, ტექ-ა-ტექ საუბრისას რესპონდენტმა რამდენიმე ჩხუბი გაიხსენა და ხაზი გაუსვა, რომ ყველაზე სერიოზული „ტორპედოსთან“ ჯახი იყო. ეს სწორედ ის ჯახია, რომელიც ერთ ნელზე ოდნავ მეტი ხნის წინ, ქუთაისში მოხდა — ფანკლუბ „ჯუნგლების“ ფანები მოედანზე შევარდნენ და შეურაცხყოფა ჯერ „დინამოს“ ფეხბურთელებს მიაყენეს, შემდეგ კი, — თბილისელი ფანებისკენ გაიწიეს. პოლიციამ დაძაბული სიტუაცია დიდი გაჭირვებით განმუხტა და, საბოლოოდ, თბილისელები ქუთაისიდან ესკორტის თანხლებით გამოაცილეს.

ერთი კვირის წინ მოხდარ არეულობაში კი, შედარებით ნაკლები ხალხი მონაწილეობდა, მაგრამ ყველაფერი იმან გაამძაფრა, რომ ჩხუბი წერეთლის გამზირზე მოხდა, თუმცა ვიდეოში არც პოლიცია ჩანს და არც — სტადიონზე „მჯდომი“ სპეცრაზმი. „ქართული სიტყვა“ დაჯგუფება „ფრონტის“ წევრსაც შეხვდა, რომელმაც, ასევე, ანონიმურა მოითხოვა და წინასწარ ისიც აღნიშნა, რომ პასუხს ყველა შეკითხვაზე არ გასცემდა, ანუ მხოლოდ იმას იტყოდა, თუ რატომ გულშემატიკვრობს „ფრონტი“ „დინამოს“.

„ფრონტი“ სრულიად დამოუკიდებელი დაჯგუფება ყოფილა, რომელსაც არავინ აფინანსებს — დაჯგუფების წევრები საყვა-

რელ გუნდს ყველგან და ყოველთვის საკუთარი ხარჯებით დაჰყვებიან. ჯერჯერობით, „ფრონტი“ 80-მდე ბიჭია განუერთიანებული. განუერთიანებისთვის ერთადერთი და ძირითადი მოთხოვნა გუნდის ბოლომდე მხარდაჭერა და გვერდში დგომაა. შეკითხვას, ისინი საფეხბურთო სულიგნები არიან თუ არა, ინკოგნითო რესპონდენტმა უარყოფითი პასუხი გასცა და აღნიშნა, რომ ვინც მათ, ან „დინამოს“ შეურაცხყოფას მიაყენებს, არ შეარჩენენ.

„ფრონტის“ მიზანი შემდეგი ყოფილა: „დინამოს“ მხარდაჭერა სტადიონსა და მის გარეთ, კლუბის ღირსების დაცვა და რეპუტაციის ამაღლება, გაერთიანებული და წარმატებული „დინამოს“ ნახვა ისე, როგორც ჩვენს გუნდს და ქალაქს შეეფერება.

„ჩვენი მთავარი პრინციპი კლუბისგან სრული დამოუკიდებლობაა, მათ შორის, ფინანსური. ჩვენ ვუჭერთ მხარს კლუბს და არა — პირიქით. „ფრონტი“ არ აღიარებს საკალათბურთო და საფეხბურთო გუნდების

კვირის

ჩეხურმა მედიამ მოსკოვში ვიზიტისა და უკრაინის მიმართ გამოთქმული პოზიციის გამო, თავისი ქვეყნის პრეზიდენტი, მილოშ ზემანი მკაცრად გააკრიტიკა. როგორც ცნობილია, 9 მაისს მოსკოვში გამართულ საზეიმო ღონისძიებებზე ჩასულმა ზემანმა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მოხსნის საჭიროებაზე ისაუბრა.

„მოსკოვში ვიზიტისას, ზემანის მიერ გაკეთებული განცხადებით, თითქოს რუსმა პროპაგანდისტებმა დაწერეს. ეს განცხადებით: ევროკავშირი მოვალეა შეარბილოს რუსეთის წინააღმდეგ გამოტანილი სანქციები; რუსეთის შესახებ მნიშვნელოვანი უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი; უკრაინაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს და უკრაინა ვერ გახდება ნატოს წევრი“, — წერს ჩეხური გამოცემა „Mladé fronty Dnes.“ ჩეხურმა მედიამ პრეზიდენტს აშშ-ის „შავ სიაში“ შეყვანილ ვლადიმერ იაკუნიჩთან მოსკოვური შეხვედრაც შეახსენეს და განსაკუთრებით იმის გამო გაკიცხა, რომ

თანამედროვე ლოგოს, რომლებიც „დინამოს“ ერთიანი ოჯახის დაშლის შედეგად მიიღეს, „დინამოს“ ლოგო მხოლოდ ერთი და განუყოფელია, რომელიც ჩვენს ოჯახს აერთიანებს“, — ამბობს „ფრონტის“ წევრი.

ამ ახალგაზრდების შემართება, რა თქმა უნდა, დასაფასებელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფეხბურთს ამდენი გაუგებრობა და დაპირისპირება არ უხდება, თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს, ანუ ფეხბურთი ჩხუბის გარეშე არაფერია და ამას, მაგალითად, ინგლისური ფეხბურთის ფანების მიერ შექმნილი „ფრონტი“, ან თურქეთის „მეამბოხე სულეტი“ მოწმობს.

„ფეხბურთს ასეთი ფანატიზმი უფრო მეტ „მულამს“ აძლევს და ამას მხოლოდ მსოფლიოში პირველი სპორტის ფანატები გაიგებდნენ“, — ამბობს „ფრონტის“ წევრი. საინტერესოა, დაეკისრათ თუ არა ჯარიმა „დინამო არენასთან“ უკანასკნელი შეტაკების მონაწილეებს. როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვია, ვიდრე საქმეში პოლიცია ჩაეროდა, მოჩხუბრები, გამარჯვების აღსანიშნავად, „პაბებისკენ“ გაემართნენ...

შეკრების ადგილი რესპონდენტმა „ქართულ სიტყვას“ არ გაუხსილა, ამას მხოლოდ მათ ვეუბნებით, ვინც ჩვენი წევრი ხდებოდა. „ფრონტი“ ყველაზე „ასაკიანი“ 26 წლისაა, თუმცა „ფრონტი“ შეიძლება, ნებისმიერი ასაკის ადამიანი გახდეს...

გიორგი ნემსიწვარია

ჩხეთის პრეზიდენტს მილოშ ზემანს სტუმრობისთვის მედიის რისხვა დაატყდა

მილოშ ზემანი გამარჯვების დღის აღსანიშნავად იმ აგრესორ ქვეყანაში ჩავიდა, რომლის მიერაც საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ტერიტორიებია ოკუპირებული.

გამოცემა „Lidove noviny“-ის განცხადებით, ჩხეთის მეთაური ევროკავშირის უპირისპირდება, როცა ამბობს, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები წლის ბოლომდე უნდა მოიხსნას.

ჩეხი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ზემანს უფლება არა აქვს, მთელი ევროკავშირის სახელით ილაპარაკოს. ასევე, როცა ის უკრაინაზე იწვევს საუბარს, არ უნდა დაავინყდეს, თავის დროზე ჩეხოსლოვაკიის ბედი როგორ წყდებოდა მიუნხენში.

„პი-იპი-პი“-ი

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კარგო ლინაძე

რეპორაჟი

ვაგზლის მოედანზე, გამომწვევად შედგებულ მძაფრებს გვერდს ვუქცევ და მინისქვეშა გადასასვლელში ჩავდივარ... ისე, კაცმა რომ თქვას, მინისქვეშა გადასასვლელს ვინღა იყენებს?! – მოკლე არაქართული ტერმინი აქვს – „პადზემკა“, თუმცა მინისქვეშა გადასასვლელს ვიტყვი თუ „პადზემკას“, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ისე, მინისქვეშა გადასასვლელის სხეულზე ბევრს მუსიკა, სიმღერა, გიტარა, ხურდა ახსენდება... სხვათა შორის, ვანომ რომ დამავალა, პავლიაშვილმა, მინისქვეშა გადასასვლელიდან გააკვეთ რეპორტაჟი, რაღა დაგიმალოთ და, „გამიტყდა“ და სახე დამემანჭა, იქ საინტერესო რა უნდა ვნახო-მეთქი?! არც „ვაგზლის მოედანზე“ მისასვლელი გზა საინტერესო, არც – „მარშრუტის“ დიალოგები. იმ დღეს არც ამინდი იყო განსაკუთრებული... ამიტომ, თხრობას პირდაპირ აქტიური პროცესიდან დავიწყებ.

მაშ, ასე: „ვაგზალზე“, გამომწვევად შედგებულ მძაფრებს გვერდს ვუქცევ და მინისქვეშა გადასასვლელში ჩავდივარ. მუსიკის ხმა მესმის... ქუჩის მუსიკოსების მთელი „ბანდა“: ზოგი უკრავს, ზოგი მღერის, ზოგი კი, უბრალოდ, მეგობრებს თანაუგრძნობს და ხელში ქუდი, ან რამე ისეთი უჭირავს, რაშიც ხურდა ჩაიყრება... ქუდი, ან რამე ისეთს გამგებლობის იშვიათობა აქვს. ამას „ასკერს“ ეძახიან. შეიძლება, ჩემი დაუკვირვებლობის ბრალია, მაგრამ ვერ მივხვდი, ასკერი რატომ დაარქვეს, ან რითი ჰგავს ქუდა-ანვლილი ადამიანი თურქ მეომარს, ნამდვილ ასკერს?!

მოკლედ, კიბის უკანასკნელი საფეხურიდან ორიოდე ნაბიჯი მექნებოდა გადადგმული, რომ ბიჭმა შავი, ხურდებზიარული ქუდი შემომომაჩინა. გვერდი ოსტატურად ავუქცევ, თუმცა მერე, მივტრიალდი და ქუდში ხურდა ჩავყარე...

გიტარიანი იდგა და უკრავდა... ქუდიანი ერთ ადგილას ტრიალებდა. ძველი მეგობარი იყო, ხელი მხარზე ჩამოვადე და საუბარი ვაკვებ:

– ქუდი რომ არ შემოგეჩენებინა, ხურდას თავიდანვე მოგცემდი...
– ხომ ხედავ, რამდენი ხურდაა? ვერ ვიტყვი, რომ ბევრია, მაგრამ ქუდით რომ არ ვიდგე, ამის ნახევარიც არ იქნებოდა!

ამასობაში, გიტარიანი სიმღერას მორჩა.

– დიდი ხანია, აქ უკრავ და მღერი? – ვკითხე.

– 7 თვეა, ძმა, „პადზემკაში“ ვარ. აბა, სხვაგან არ გვაკვრებივინებენ...
– დაკვრა სად „სხვაგან“ გინდა? – არ მოვეშვი.

– საქართველოში, ძმაო... აქ კარგ მუსიკას დაფასება არ აქვს. ადრე, ბარში ვუკრავდი, მაგრამ თუ იქ ის არ დაუკარი, რაც თვითონ უნდათ, ფულს არ მოგცემენ. აქ კი, იმას ვუკრავ, რაც მსიამოვნებს.

– დღეში რამდენს შოულობ? – 20-ლარამდე, აი, ნახე, ამას სხვაგან ვინ დაგაკვრებივინებს, – ქუჩის მუსიკოსი საუბრის თემას ცვლის და ჩემთვის უცნობ მელოდიას უკრავს. წყნარი, მშვიდი, მელანქოლიური მუსიკა... მერე, თვალებს ხუჭავს და აკანკალებული ხმით სიმღერას იწყებს...

ქუჩის მუსიკოსს გრძელი, ქერა თმა და ოდნავ მუქი წვერი აქვს... რატომღაც ცუდ განწყობაზე დავექვი. დამშვიდობების ნიშნად, ხელი დავეუქნიე და წარმატებები ვუსურვე...

მინისქვეშა გადასასვლელიდან ახალგაზრდების ჯგუფი ამომყვა. ჩემი თანაკურსელი ვიცანი – სუსტი, საშუალო სიმაღლის, გრძელთმიანი, სათვალისანი და ვარდისფერი მინიკაბიანი ლიკუნა... თანატოლები მოვიკითხე და სიტყვა „პადზემკის“ ბიჭებზე ჩამოვუვადე. ლიკუნამ დაიწყო:

– ის ქერთაშიანი ძან სიმპათიურია. წვერიც მაგრად უხდებოდა.

– რომელზე ამბობ? – ლიკუნას თანმხლებმა ბიჭმა თვალი ჩამიკრა.

– აი, იმაზე, გიტარაზე რო უკრავდა, შინდისფერი „მაიკა“ და დახეული ჯინსი რომ ეცვა...

– ლიკუნა, კონკრეტულად ვინმეზე კი არა, ზოგადად, ქუჩის მუსიკოსებზე გკითხე, – გავეწყვეტიანი ლიმილით და დავემშვიდობე...

ნაცნობ გიტარისტს დავურეკე, სადა ხარ-მეთქი – წინა დღით შემპირდა, მინისქვეშა გადასასვლელში შენს გამო დავუკრავ, გვერდით დამიდექი და სიტუაციას დააკვირდი... მალე შეგხვდებიო, – მითხრა ნაცნობმა გიტარისტმა და მის გამოჩენამდე მორიგ „პადზემკას“ მივაშურე... ახალგაზრდა ქალი ბავშვის ეტლის კიბეზე ჩატანას

ცდილობს. მივეხმარე. ვკითხე:
– თუ იცით, აქ ქუჩის მუსიკოსები უკრავენ?

– კი. აქ ვცხოვრობ და ხშირად მხვდებიან... ხურდასაც ვაძლევ ხოლმე.

– ბევრი ეხმარება?

– რომ არ ეხმარებოდნენ, ხომ არ დაუკრავდნენ?

მეტრითი რუსთაველზე მივდივარ... ოპერის მინისქვეშა გადასასვლელში ახალგაზრდა მუსიკოსებისგან განცალკევებით დგას. ყულაბასავით შუშის ყუთი უჭირავს, რომელზეც ბავშვის სურათი და წარწერაა: „დავეხმაროთ პატარა გიას“.

ესეც კონკურენცია!
ხომ იცით, ფილარმონიისთან მინისქვეშა გადასასვლელი რომაა? ჰოდა, აი, სწორედ მანდ, ხუჭუჭთმიან, შავწვერა გიტარისტს თეთრთმიანმა ქალბატონმა უსაყვედურა:

– აქ რას დგახარ, ხალხს მართმევ, ჩემი ადგილია!

– ოხ, ეს მათხოვრებო, – ჩაილაპარაკა გიტარისტმა, ხურდა ჯიბეში ჩაიჩხრიალა და... ნაყიდა, ალბათ, სხვა მინისქვეშა გადასასვლელში.

სხვათა შორის, „საკუთარი ადგილი“ ქუჩის მუსიკოსებსაც ჰქონიათ: იქ, სადაც ერთი „სასტავი“ უკრავს, სხვა არ უნდა მივიდეს. ეს კოლეგიალობააო, – ამისნესე. თუკი რომელიმე ახალბედასა და დამწყებს ფეხი „სხვის ტერიტორიაზე“ გადასცდებდა, მეგობრულად აფრთხილებენ და „დაუნერვლ კანონს“ აცნობენ.

მოკლედ, ბევრი „პადზემკა“ შემოვიარე და გავიგე, რომ მნიშვნელობა, თურმე, გარეგნობასაც ჰქონია, ძირითადად, – მდედრობითი სქესისთვის, რომლებიც გრძელთმიან, გრძელწვერიან და გრძელთმიან ბიჭებს დაუნახებლად აძლევენ, განაკუთრებით, – ქალაღის ფულს... ისიც გავარკვეე, რომ ქუჩის მუსიკოსობით უფრო 20-დან 30 წლამდე ახალგაზრდები არიან დაკავებულნი. იშვიათად შეხვდებით უფროსებს. მოგვიანებით, ვაჟა ფშაველას გამზირზე, ერთ-ერთ გადასასვლელში 48 წლის მამაკაცს ნავაწყადი, რომელმაც მითხრა, ასაკს მნიშვნელობა არ აქვს და ვისაც ქუჩაში დაკვრა სირცხვილად მიაჩნია, იმას არაფერი უნდა უთხრა. მე სიამოვნებისთვის უკრავ და შემოსავლის ეს ერთადერთი წყაროც მაკმაყოფილებს.

– დაუკვირდი, – არ ჩერდება გიტარიანი თანამოსაუბრე, ადრე ამ საქმეს „ქუჩის მუსიკა“ იმიტომ დაერქვა, რომ იშვიათობა იყო, თან ხალხს ჩვეულებრივი მუსიკისგან უნდა გაერჩია. ახლა კი, ისე გახშირდა, სხვა სახელი უნდა დავარქვათ, თორემ საქმე ცუდადაა!

– უკვე „დედისთან“... მინისქვეშა გადასასვლელიდან სიმღერა გვეხმის. აქაც, ალბათ, ტყეულებად მოვედით, – გამიელვა. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვისი დაკვრისას დავაკვირდები სიტუაციას? – არანაირი.

რამდენიმე წუთი ველოდებით. მერე, ჩე-

„ამ რას დგახარ, ხალხს მართმევ, ჩემი ადგილია!“

ბს. კაბინეტშიც რომ დამსვან, არ გავჩერდები, ჩემი საქმე მუსიკააო... შვილი არ ჰყავდა. ცოლზე არეულად მიპასუხა... მის მეგობარს ჰყავს, თურმე, ცოლ-შვილი და ისიც უკრავს, ოღონდ – სხვა გადასასვლელში.

„ხალხი უფროსი ასაკის ადამიანის დაკრულს უფრო აფასებს და ფულსაც მეტს ჩუქნის, მაგრამ ახალგაზრდების მიმართ არ არიან მართლები... დღეში 50 ლარიც წამიღია, მეტიც. ზოგჯერ 5 ლარიც წავსულვარ... ახლა უკვე აქ ბევრი გამვლელი მიცნობს“, – მითხრა ასაკიანმა ქუჩის მუსიკოსმა.

ბოლოს, როგორც იქნა, ნაცნობ გიტარისტს შევხვდი და ტექნიკურ უნივერსიტეტთან მდებარე მინისქვეშა გადასასვლელში ჩავუდით. ერთი უკრავდა და მღეროდა, მეორე გამვლელებს ქუდს უშვებდა, მესამე აქეთ-იქით იყურებოდა, მეოთხე კი, გოგო იყო – ჩანთაზე გაშლართულიყო, პირში სიგარეტი გაერჭო და კვამლისაგან მოჭრული თვალებით, „აიფონს“ ჩაჰკირკიტებდა.

– ვახ, აქ არიან! წამო, სადმე იქნება „პადზემკა“ ცარიელი, – მეუბნება ჩემი ნაცნობი გიტარისტი. ამასობაში, მწვანემაისურიანი ბიჭი დაკვრას წყვეტს. ჩემი ნაცნობი უახლოვდება და ეკითხება:

– როდის მორები, ბიჭებო?

– 4-ზე, მაგრამ უკვე დაკავებულია... უნდა მოვიდნენ!

– ვახ... აბა, სად გვირჩევ დაკვრას?

– რა ვიცი, ძმაო, – იცინის, – გააჩნია, როგორი გულით და რას უკრავ. „დედისთან“ „ფინქ ფლოიდები“ ევასებათ.

ჩვენც „დედისთან“ მივდივარ... ნაცნობი გიტარისტი თავის ამბავს მიყვება: ერთხელ, ბიჭებს ლუდის ფული დაკლებით და ყველა, ვინც დაკვრა იცოდა, სხვადასხვა მინისქვეშა გადასასვლელში გადანაწილებულა. ქუჩაში დაკვრა ფულის გარეშეც გვესიამოვნებს, – მეუბნება. წინა ღამით, თურმე, პროგრამას ადგენენ, რა დაუკრან, რომ უფრო მეტ ადამიანს მოეწონოს. ხალხს ქართული სიმღერა, თურმე, გამოჩრეულად სიამოვნებს...

– დაუკვირდი, – არ ჩერდება გიტარიანი თანამოსაუბრე, ადრე ამ საქმეს „ქუჩის მუსიკა“ იმიტომ დაერქვა, რომ იშვიათობა იყო, თან ხალხს ჩვეულებრივი მუსიკისგან უნდა გაერჩია. ახლა კი, ისე გახშირდა, სხვა სახელი უნდა დავარქვათ, თორემ საქმე ცუდადაა!

– უკვე „დედისთან“... მინისქვეშა გადასასვლელიდან სიმღერა გვეხმის. აქაც, ალბათ, ტყეულებად მოვედით, – გამიელვა. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვისი დაკვრისას დავაკვირდები სიტუაციას? – არანაირი.

რამდენიმე წუთი ველოდებით. მერე, ჩე-

მი თანმხლები დამხვდურებს ეკითხება:
– ბიჭებო, მალე მორჩები?

ბიჭებმა ადგილი მეგობრულად დაგვიტოვეს და... ჩემმა ნაცნობმა დაკვრა დაიწყო. ზოგი გამვლელი ცხვირს იბზუებს, ზოგი ილიმის და ყველა იმას აკვირდება, გიტარის ჩანთაზე ფული დევს თუ არა. არავის აინტერესებს, რას მღერის... ზოგი იცინის, ზოგი თვალს გვარიდებს – ალბათ, ერიდება, ფულს რომ ვერ გვაძლევს, ზოგი უკმაყოფილო სახეს იღებს, ზოგი – თბილს და ღიმილიანს, ზოგს რეაქცია საერთოდ არ აქვს.

გვეუბნებიან, თუ გინდა, რომ მაქსიმალურად ბევრი ხურდა მოვაგროვოთ, „ქართულებს“ „მიანექითო“... „განვებით“... მოდიან, ფულს ყრიან... ამასობაში, ვიღაც მეკითხება, „ასკერზე“ რატომ არ ჩალიჩობ? მხრები ავიჩეჩე...

ჩვენი დრო 20 წუთში ამოიწურება – „ფანდურები“ უნდა მოვიდნენ. „ფანდურები“, თურმე, უფრო ბევრს შოულობენ, რადგან მხოლოდ ქართულს მღერიან... ჩემი ნაცნობი თავის დანერვილ სიმღერას უკრავს... სულ 2 მსმენელი ჰყავს.

დამხვდური ბიჭები მეუბნებიან, რომ 2007 წელს, მინისქვეშა პირველად ამათ დაუკრეს. არაერთხელ უჩხუბიათ, რადგან ქართველებს მათი გრძელი თმა თვალში არ მოსვლიათ... ბიჭები-მეთქი, კი ვამბობ, მაგრამ ერთი 37-ისაა, მეორე 38 წლის.

თურმე, არანაირი „დიდი ნაბიჯი“, „ზომამდე მიყვანა“ და სერიოზული გადანყვეტილება არ სჭირდება ქუჩაში დაკვრას. უბრალოდ, უნდა აიღო გიტარა და გარეთ გამოხვიდე, ოღონდ, რა თქმა უნდა, დაკვრაც უნდა იცოდე და სიმღერაც...

ყველაზე მეტი ახალ წელს ვიშოვეთ – 61 ლარი. „31 დეკემბერს, სამჯერ დავლიეთ 9 საათამდე, ვსვამდით და ისევ დაკვრას ვაგრძელებდით“, – მეუბნებიან ბიჭები.

აი, „ფანდურებიც“ მოვიდნენ. მეუბნებიან, ჩვენ იმიტომ ვუკრავთ, რომ ყველაფერი ქართული გვიყვარს და ხალხის სიამოვნებაზე ვფიქრობთ. ფინანსურად დალხინებულ ცხოვრება არ გვაქვს, მაგრამ მხოლოდ ფულისთვის არ ვიმღერებთ.


„ფანდურებმა“ შეუბერეს. ჩემი ნაცნობი აღარ უკრავდა და ვანიშნე, ნავიდეთ-მეთქი...

მეჩქარებო, ჩემმა ნაცნობმა გიტარისტმა და გაიქცა. ფეხზე ძლივს ვდგავარ... გაჩერებამდე მივლასალსდი... ავტობუსი 2 წუთში მოვა... გამახსენდა, რომ დილით, კონტროლიორმა დამაჯარიმა. არადა, ვუმტკიცებდი, 4 ძველი ბილითი 1 ახალს უდრის-მეთქი, მაგრამ გიჟი არ იყოო?!

ავტობუსის მოსვლამდე წუთილად დარჩენილი...

პაპა ლიზარაძე





„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კობახიძე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებით, გამომდინარეობს ოთხშაბათობით

ნოტარიუსი გვაფრთხილებს!

რა უნდა ვიცოდეთ ჩვენი უფლებების შესახებ, როცა ნოტარიუსთან ვართ? „ქართული სიტყვა“ აგრძელებს რუბრიკას — „ნოტარიუსი გვაფრთხილებს“. ყველა საჭირობისთვის შევითხარებ პასუხს „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა“ გაგვცემს.

როგორ მისარგებლოთ ონლაინ სანოტარო სერვისებით

საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ნოტარიუსი დოკუმენტს ონლაინ რეჟიმში გიმონებს. ინტერნეტის მეშვეობით შეგიძლია, დაამონტოვო: განცხადება, თანხმობა, მინდობილობა, გარიგება; სამენარჩეო და არასამენარჩეო იურიდიული პირების, ამხანაგობების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების დამფუძნებელ და მმართველ ორგანოთა კრების ოქმები.

განცხადების, თანხმობის, მინდობილობის ონლაინში დამონტოვების უფლება გაქვთ, თუ ხართ საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს ბინადრობის მქონე პირი და არ იმყოფებით საქართველოში. ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი პიროვნება ნოტარიუსისთვის ცნობილია.

მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოთ, თუ გაქვს ინტერნეტი, ვიდუოდვალის და მიკროფონი, შეგიძლიათ, სკაიპის მეშვეობით დაუკავშირდეთ საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ნოტარიუსს. ნოტარიუსთა სკაიპის მისამართები განთავსებულია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე: ნოტარუსი.გე.

ნოტარიუსი თქვენს მონაცემებს გადაამონტოვებს სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში და პიროვნების იდენტიფიცირების შემდგომ, დაგიმონტებს საანოტარო აქტს.

გახსოვდეს, საანოტარო ბიუროში ინტერნეტის მეშვეობით საანოტარო აქტის დამონტოვების პროცესს უნდა ესწრებოდეს ორი პირი: ერთი მათგანი თქვენს მაგივრად მონაწირეს ხელს საანოტარო აქტს (იგი არ უნდა იყოს საანოტარო აქტის მონაწილე, შენი ოჯახის წევრი, მაგრამ შეიძლება იყოს ნათესავი); მეორე პირი მონაწილეს სტატუსით დაეწინაურება საანოტარო მოქმედების პროცესს (იგი არ უნდა იყოს შენი ოჯახის წევრი, ნათესავი, საანოტარო აქტის მონაწილე).

ონლაინ საანოტარო სერვისები და სააღსრულებო ფურცელი

გარიგების ინტერნეტის მეშვეობით დამონტოვება შეგიძლიათ, თუ საქართველოში იმყოფებით, მაგრამ თქვენ და ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთი და იგივე საანოტარო ბიუროში მისვლა არ შეგიძლიათ. ასეთ დროს გარიგებას ორი ან მეტი ნოტარიუსი ამონტოვებს. ხელშეკრულების თითოეული მხარე მიდის იმ საანოტარო ბიუროში, რომელიც ტერიტორიულად მისთვის ხელსაყრელია. ნოტარიუსები თქვენი თანდასწრებით უკავშირდებიან ერთმანეთს ონლაინ რეჟიმში (სკაიპის მეშვეობით). დგება ორი ან რამდენიმე საანოტარო აქტი (რამდენიმე მხარეც ხართ და შესაბამისად, რამდენიმე ნოტარიუსიც მონაწილეობს დამონტოვების პროცესში) და თითოეულ დოკუმენტზე ხელს აწერს ის პირი, რომელიც ნოტარიუსთან იმყოფება.

ონლაინში მონაწილეობა სამენარჩეო და არასამენარჩეო იურიდიული პირების, ამხანაგობების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების დამფუძნებელ და მმართველ ორგანოთა კრების ოქმებიც. მაგალითად, თუკი კომპანიის პარტნიორი ხართ და კრებაზე დასწრებას ვერ ახერხებთ, შეგიძლიათ, სკაიპის მეშვეობით დაუკავშირდეთ ნოტარიუსს, რომელიც კომპანიის კრებას ესწრება და ონლაინ რეჟიმში მიიღოთ მონაწილეობა. ნოტარიუსი თქვენი პიროვნების იდენტიფიცირების შემდგომ, უპრობლემოდ დაამონტებს კრების ოქმს.

ონლაინ სერვისებით სარგებლობა მნიშვნელოვნად გააუმარტივებთ საანოტარო მომსახურების მიღებას, მით უმეტეს, თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებით და ვერ ახერხებთ საქართველოში ჩამოსვლას. აღარ დაგჭირდებათ საკონსულტაციო მისამართვა, ზედმეტი ხარჯის გაწევა და დროის დახარჯვა.

ამასთან, თუ არ გასურთ საანოტარო ბიუროში რაღაც დგომა, შეგიძლიათ, ინტერნეტის მეშვეობით, წინასწარ დაჯავშნოთ ნოტარიუსთან ვიზიტი. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე: notary.ge განთავსებულია ბანერი „დაგვამე ვიზიტი ნოტარიუსთან“, რომლის მეშვეობით შევავალთ საეცნო პროგრამაში, შეარჩევთ თავისუფლად ან თქვენთვის სასურველ ნოტარიუსს და მონაწილეთ ვიზიტისთვის ხელსაყრელ დღეს და დროს. ნოტარიუსი ვიზიტს სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით დაგიდასტურებთ.

რა უპირატესობა აქვს ნოტარიუსისა და სააღსრულებო ფურცლის მიღებას? ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლება 2009 წლიდან მიენიჭა, მაგრამ 2012 წლამდე მხოლოდ გირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე გაცემდებოდა. 2012 წელს ნოტარიუსის კომპეტენცია გაიზარდა და მას სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლება უკვე ნებისმიერ ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებული ხელშეკრულების საფუძველზე აქვს.

როგორ მივიღოთ სააღსრულებო ფურცელი ნოტარიუსისგან? ნინო ხოფერიანი, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე: — მინდა, განვმარტო, რისთვისაა საჭირო სააღსრულებო ფურცელი. მაგალითად, როცა გამსესხებელს თანხას აღარ უბრუნებენ და სურს, ფულის დასაბრუნებლად სააღსრულებო ბიუროს მიმართოს, მან აუცილებლად უნდა წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული დოკუმენტის

თბილისის ისტორია

როგორ აშენდა თბილისის მეტრო

აღამიანთა უმეტესობისათვის მეტრო ჩვეულებრივი ტრანსპორტია, ზოგისთვის კი, — მისტიკური ადგილი. ისეთებიც არიან, ვისაც მეტროს სუნი, ხმა მოსწონს. თბილისის მეტროს, ანუ „მისტიკური ქალაქის“ უცნობ ნაცნობ ისტორიას „ქართულ სიტყვას“ ისტორიკოსი სვიმონ მასხარაშვილი უყვება:



— თბილისში მეტროპოლიტენის აშენება ჯერ კიდევ 1951 წელს გადაწყდა. მაშინ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელი კანდიდ ჩარკვიანი იყო, თუმცა ქვეყანას, რეალურად, ლავრენტი ბერია მართავდა.

— იმხანად, როგორც ვიცო, საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში მეტროპოლიტენი არ არსებობდა. მეტროს აშენება მაინცდამაინც თბილისში რატომ გადაწყდა?

— ალბათ, იგივე ბერიას ჰქონდა სურვილი, რომ ქართული ფაქტორი წარმოჩენილიყო... პირველად ცენტრალური ხელისუფლება დასთანხმდა, რომ თბილისში მეტრო ყოფილიყო და სამუშაოებიც დაწყებულიყო, მაგრამ 1953 წლიდან სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და თბილისის მეტროს მშენებლობაში სერიოზული პრობლემები გაჩნდა... 1952 წლიდან, თბილისის სათავეში ახალგაზრდა კაცი გიორგი გეგეშიძე ჩაუდგა, რომელიც 50-60-იან წლებში, საქართველოში განხორციელებულ, პრაქტიკულად, ყველა მშენებლობის უშუალო ორგანიზატორი გახლდათ... 50-იანი წლების შუა ხანებში, თბილისის მეტროს მშენებლობის პროექტი დაიხურა — მოსკოვმა გადაწყვიტა, რომ თბილისს მეტრო არ უნდა ჰქონოდა.

რატომ?

— თბილისი პატარა ქალაქია, მეტრო კი, იმხანად ძვირ სიამოვნებად ითვლებოდა... სამივე სამმართველო, რომელიც მეტროს აშენებდა, გაუქმდა და აქცენტი რკინიგზაზე, გვირაბებსა თუ ხიდებზე, ანუ სხვა საკომუნიკაციო საშუალებებზე გადაიტანეს, თუმცა ვასილ მუჟაანაძემ და გიორგი გეგეშიძემ ყველაფერი გააკეთეს, რომ მეტროს მშენებლობა გაგრძელებულიყო — „გვირაბ-მშენი“ ჩამოაყალიბეს, რომელსაც გვირაბები გაჰყავდა.

მეტროს მშენებლობა ოფიციალურად როდის განახლდა?

— ნიკიტა ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ. სხვათა შორის, მის გადაყენებაში ვას-

ილ მუჟაანაძემ და საქართველოს უშიშროების კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ალექსი ინაური დაიდი წვლილი შეიტანეს. ასე მოვიდა საბჭოთა კავშირის სათავეში ლეონიდ ბრეჟნევი. 1965 წელს, „მეტრომშენი“ ოფიციალურად აღდგა. 1966 წლის 11 იანვარს, თბილისში მეტრო გაიხსნა.

ისე, ყველაფერი აკეთებდნენ, რომ თბილისს მეტრო არ ჰქონოდა. ასე, მაგალითად, მემილიონედი თბილისელის დაბადებაც კი აღნიშნეს, არადა, მაშინ თბილისის მოსახლეობა, რეალურად, 600 ათასი იყო.

პირველად რომელი მეტროსადგურები გაიხსნა?

— „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“ და ლენინის, ანუ დღევანდელი თავისუფლების მოედანი.

ბატონო სვიმონ, თუ იცით, მეტროსადგურებს სახელები რის მიხედვით დაარქვეს?

— ყველა სახელი გარკვეულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს დაუკავშირეს.

საერთოდ, მეტროს და მსგავს გრანდიოზულ პროექტებს, რომლებიც მაშინ განხორციელდა, გიორგი გეგეშიძეს ვუკავშირებ. მისივე ხელმძღვანელობით განხორციელდა გრანდიოზული პროექტი — სპორტის სასახლე, რომელიც საბჭოთა პარამეტრებში არ ჯდებოდა. ასევე, ამავე პერიოდში აშენდა „დინამო“ სტადიონიც.

გიორგი გეგეშიძესთან ერთად, არც ვასილ მუჟაანაძეს და ალექსი ინაური უნდა დავვიწყოთ — საქართველოს მაშინდელ უშიშროებას რალაქრალაცებზე თვალის რომ არ დაეხუჭა და ყველაფერი მოსკოვისთვის მოეხსენებინა, ყველა სამშენებლო პროექტი ძირშივე აღიკვეთებოდა... 70-იან წლებში, გიორგი გეგეშიძე თანამდებობიდან განათავისუფლეს და ათასი რამ მოუგონეს, დღეს ერთ-ერთ სკვერს ხალხი „გეგეშიძის ბაღს“ ეძახის, თუმცა სამწუხაროდ, გიორგი გეგეშიძეზე ბევრი არაფერი იცის...

ესაუბრა სლომონ ხუნაშვილი

ინტარპიუ ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარესთან

მიღება შესაძლებელია ორი გზით: სასამართლოსთვის მიმართვით და ნოტარიუსისგან. თუკი დაზარალებული მსესხებელი პირდაპირ ნოტარიუსთან მივა, სააღსრულებო ფურცლის მიღებას რამდენიმე საათში შეძლებს, სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში კი ამას შეიძლება, რამდენიმე თვე დასჭირდეს.

ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემა ნებისმიერ ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებული ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლია. ოღონდ, უნდა გახსოვდეთ, ნოტარიუსს გარიგების დამონტოვების დროსვე უნდა მოსთხოვოთ, რომ ხელშეკრულებაში შესაბამისი პირობა ჩადოს. შემდგომ, თუკი მსესხებელი თანხას ვერ დაგბრუნებთ, სააღსრულებო ფურცელს პირდაპირ ნოტარიუსისგან მიიღებთ. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულებაში სააღსრულებო ფურცლის გაცემის პირობა მხოლოდ ორივე მხარის, როგორც გამსესხებლის, ისე მსესხებლის თანხმობით იდება.

სააღსრულებო ფურცლის მისაღებად იმავე ნოტარიუსს უნდა მივმართოთ, ვისთანაც ხელშეკრულება გაფორმდა?

თუ აღნიშნული ნოტარიუსი მოქმედია, მას უნდა მიმართოთ. თუ არადა, ნებისმიერ ნოტარიუსთან შეგიძლიათ მისვლა. ნოტარიუსთა პალატამ სააღსრულებო ფურცლის ელექტრონული ბაზა შექმნა და ასეთ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის გაცემის საშუალება სხვა ნოტარიუსსაც აქვს.

ამით იპოთეკარის პრობლემის მოგვარება, მართლაც, უმარტივედება, მაგრამ რამდგომარეობაშია ამ დროს მსესხებელი, რომელსაც ბინა აქვს ჩადებული იპოთეკაში და შეიძლება, საცხოვრებლის გარეშე დარჩეს?

— აბსოლუტურად მესმის, რომ მსესხებელი მიძიმე მდგომარეობაში ვარდება, მაგრამ ნუ დაგვაიწყდება, დაზარალებული არა მხოლოდ ის, ვინც ნასესხები თანხის გადაუხდელობის გამო ქონებას კარგავს, არამედ, ისიც, ვინც თანხა გაასესხა და ვეღარ დაიბრუნა. შეიძლება ეს ადამიანი გასესხებულ თანხის პროცენტებით ცხოვრობდეს. ამასთან დაკავშირებით, მინდა აღვნიშნო, რომ 2014 წლიდან ფიზიკურ პირებს შორის სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა კანონმდებლობით დადგენილი ნორმით განისაზღვრა და კრედიტორს უკვე აღარ შეუძლია, საკუთარი სურვილით დაადგინოს საპროცენტო განაკვეთი. ეს ცვლილება კანონმდებლობაში სწორედ მოქალაქის ინტერესების დაცვის მიზნით ჩაიდო.

სხვა დამტავი მექანიზმები თუ არსებობს, დაზარალებული რომ არ აღმოგჩნდეთ?

— იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, 2014 წლიდან ამოქმედდა საკანონმდებლო ცვლილება, რის საფუძველზეც ფიზიკურ პირებს შორის იპოთეკით თანხის დაბრუნების ხელშეკრულება მხოლოდ საანოტარო წესით ფორმდება. ეს ცვლილება აც მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გაკეთდა.

როდესაც ნოტარიუსთან არა მხოლოდ იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის, არამედ ნებისმიერ ხელშეკრულებას აფორმებთ, ნოტარიუსი ვალდებულია, მონაწილეთა მხარეებს განუმარტოს, რა შედეგი მოჰყვება აღებული ვალდებულების შეუსრულებლობას, რომ მსესხებელმა, თუკი თანხას ვერ დააბრუნებს, შეიძლება, დაკარგოს ქონება, ერთადერთი საცხოვრებელი სახლი... ნოტარიუსი მხარეებს მხოლოდ ასეთი განმარტებებისა და გაფრთხილების შემდეგ აწერიან ხელს ხელშეკრულებაზე. სამწუხაროდ, ხშირად მოქალაქეები ზარალის მიღების შემდგომ აცნობიერებენ, რომ მათ ნასესხები თანხის დაბრუნების საშუალება არ ჰქონდათ.



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლექსი

საქართველო. საქართველო. საქართველო.

საინფორმაციო მხარდაჭერა

პროექტი, რომელიც მთელ საქართველოს აერთიანებს

წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის ლიტერატურულმა პრემიამ – „ივერია“ სახმარაგალი და კარგი ღონისძიება ამჯერად გორში გამართა. ეს სწორედ ის პროექტია, რომელიც ხელს უწყობს ხელოვნება ნიჭის გამოვლენას, აერთიანებს ყველას – ფიზიკური შესაძლებლობებისა თუ სოციალური სტატუსის მიუხედავად. შეგახსენებთ, რომ პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.

2015 წლის 3 მაისს, პოეტები კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეს ესტუმრნენ, სადაც ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი მოინახულეს. პროექტის ფარგლებში, ცნობილმა გამომცემელმა და საზოგადო მოღვაწემ, თამაზ სულაძემ მომავალი თაობის განათლებისთვის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკას რამდენიმე ასეული წიგნი გადასცა. პოეტებმა სოფლის მცხოვრებლებს პოეზიის საღამო გაუმართეს, რამაც დიდი აღფრთოვანება და ცრემლიანი განხორცვა გამოიწვია... ამის შემდეგ, პოეტები გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ, სადაც, ასევე, წაიკითხეს რამდენიმე ლექსი და შთაბეჭდილებების წიგნში დაუბარცხებელი ქართველი გენერლის მიმართ თავიანთი პატივისცემა გამოხატეს... შემდეგ კი, ყველამ ერთად უფლისციხეში მოილოცა...

პრემია „ივერიის“ მეორე წლის რიგით მესამე პროზა-პოეზიის საღამოს გორის კულტურის სახლში უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობდნენ პოეტები: თამარ ჯაჭავაძე, ქეთი სიხარულიძე, დავით არახაძე, ჯემალ ინჯია, ნიკოლოზ ფარცხელაშვილი (ე.წ. შუმ პირი), გიორგი მახარაბიძე, მარიამ მიროტაძე-ჯამარაშვილი; ხელოვანები: ხატუნა ნუგზარ მეკვიციანი, მხატვარი კახა თოფჩიშვილი, ფოტოხელოვანი ნინო ქეთელაური.

„პრემია „ივერია“ თავისი დიდი ადგილი დაიკავა ქართულ მწერლობაში, პოეზიაში, ხატუნაში, მხატვრობასა და ფოტოხელოვნებაში. ჩვენ თავიდანვე შევძელით, რომ საზოგადოების ეს უმნიშვნელოვანესი და მოაზროვნე ნაწილი გაგვეერთიანებინა. მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევის შესასრულებლად, პროექტმა შეისისხლო ცვა ხეობის დარგვა და უკვე ათეულობით ბუბა დაერგეთ სამ ქალაქში და, ამ ადგილებს ილია მართლის – ჭავჭავაძის ბაღები ვუწოდეთ. ეს იქნება ადგილები, სადაც მომავალი თაობები გაიზრდებიან და ამ წმინდა ხეების ჩრდილში სულიერ სიმშვიდეს ჰპოვენ, წიგნს წაიკითხავენ და სამშობლოს მსახურებას შეისისხლონ.“

ჩვენმა პროექტმა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იმით იზეიმა, რომ, როგორც იცით, ჩართული გვყავს მსჯავრდებულები, მათი შემოქმედება გამოვავლებს საპატიმროებიდან და საზოგადოებას ვუკითხავთ, შემდეგ ჩვენი ჟურნალები – „ქართული ელიტა“, „ნათლია“ და „განსაკუთრებული ჟურნალი“ მასპინძლობს მათ შემოქმედებას, ასევე, ჩვენს მიერ გამოცემულ წიგნებშიც ვბეჭდავთ დიდი კლასიკოსებისა და დღევანდელი ქართველი პოეტების გვერდით, რაც მათთვის მეტად მნიშვნელოვანი, მომავალი ცხოვრების სტიმული და რწმენაა, რომ ისინი ისევე გვიყვარს და გვჭირდება, როგორც საკუთარი თავი.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი გამარჯვებული ნომინანტი ირაკლი ფირცხალავაა, პოეტური ფსევდონიმით „რევა“, რომელიც გასული წლის ბოლომდე მსჯავრდებული იყო. მისთვის, სამწუხაროდ, მაშინ ამ უზარმაზარ ჯილდოს გადაცემა ვერ მოვახერხეთ, რადგან ის ზუსტად იმ პერიოდში გათავისუფლდა და ვეღარ მივაგენით ამ ახალგაზრდას, თუმცა მერე, სოციალური ქსელის მეშვეობით აღმოვაჩინეთ და მოვიხვედით ამ ღონისძიებაზე, გორში. აქ უკვე მისთვის პასუხისმგებლობის გაასმავება გვსურდა, რისთვისაც თავადაც მზად იყო. ამიტომ, გორისა და ატენის მეუფეს, მიტროპოლიტ ანდრიას (გვაზავას) ვთხოვეთ, რომ ჩვენს ღონისძიებაზე მობრძანებულიყო და თავად გადაეცა ჩვენს მიერ დაწესებული ჯილდო ილია მართლის (ჭავჭავაძის) ორდენი, რომ



წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის ლიტერატურულმა პრემიამ – „ივერია“ გორში მორიგი შეხვედრა გამართა



ელსაც მისი უწმინდესობის და ილია მართლის (ჭავჭავაძის) ფაქსიმილე ამშვენებს და მილიონმაგად ძვირფასს ხდის... გადავეცით პრემია, დამადასტურებელი სიგელი. ამ ახალგაზრდა კაცის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, დადებითი ემოციისგან საუბარი უჭირდა, ცრემლებს ძლივს იკავებდა, სამადლობლო სიტყვებს თავს ვერ უყრიდა, მთელი საღამო ორდენი გულიდან არ მოიშორა. თუნდაც ამისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პროექტი გამართლებულია და მისი უწმინდესობის იმედები, ვფიქრობ გაავამართლეთ. აქვე, აღვნიშნავ, რომ ჩვენი პატრიარქის კიდევ ერთი სურვილი ავასრულეთ: დავედიარეთ ქალაქებში, სოფლებში და ქართველ პოეტებს პირადად ვაცნობთ ხალხს და იქვე, სპონტანურად იმართება

პოეზიის საღამოები, რასაც ერთიანი, დადებითი აღფრთოვანება და ოვაცია სდევს ხოლმე. ძალიან დიდ სიყვარულს ატარებს პროექტი და ეს შეხვედრებიდანაც ნათლად ჩანს. ილიას პრემია „ივერია“ პირველი ლიტერატურული პროექტია, რომელმაც ხალხისთვის ალადადგინა და ჩვენც ნელა-ნელა მივეყვებით ამ გზას, რათა ხალხი და მწერალი ერთმანეთს იცნობდეს, ერთმანეთი ეიმედებოდეთ, ნაკითხულის რწმენა ჰქონდეთ. შემოქმედები კი ხალხისგან იმავ ემოციას იღებდნენ, რასაც მკითხველი ნაწარმოების კითხვის დროს იღებს...“ – ამბობს პროექტისა და პრემიის დამფუძნებელი, ნუგზარ-პეტრე ჭიაბერაშვილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პროექტი ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას. შესაბამისად, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო განსაკუთრებული შესაძლებლობების (შშშშ) მქონე პოეტმა ნიკოლოზ ფარცხელაშვილმა: „მოგესხენებათ, ეს პროექტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მონაწილეობას, აქედან გამომდინარე, დამიკავშირდნენ და ღონისძიებაში მონაწილეობა შემომათავაზეს. დღეს აქ ვარ და მიხარია, რომ ასეთი ნიჭიერებისა და სიყვარულის მომსწრე გავხდით. ასევე, მოხარული ვიქნები, თუ საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ასეთი ღონისძიებები კვლავ გაგრძელდება“; ამბობს პოეტი ნიკოლოზ ფარცხელაშვილი.

პროექტის მნიშვნელობაზე საუბრობს ღონისძიების ერთ-ერთი მხარდამჭერი და მასპინძელი, გორისა და ატენის მიტროპოლიტი მეუფე ანდრია: „დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი საღამო ყველასთვის დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო. ის სულიერი სიამოვნება და სიხარული, რომელიც დღეს მივიღეთ, კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შემოქმედება ადამიანისთვის. ეს პროექტი თავისთავად წარმოადგენს იმ ადამიანების შემოქმედებას, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან სხვადასხვა ნიჭით: კაზმული სიტყვის, ხატუნის, ვერხვის თუ ფოტოხელოვნების. ეს კი, თავისთავად, ემსახურება მშვენიერებას და იმას, რომ ადამიანში დაბადოს კეთილი გრძობა და მოყვასისადმი სიყვარული. ვფიქრობ, ეს ღონისძიება კიდევ მრავალ ადამიანს გამოაჩენს“.

მშვენიერმა ქალბატონმა და პოეტმა, თამარ ჯაჭავაძემ აღნიშნა, რომ „ნიჭიერებთა დასჯილი ქართველი კაცი მრავალნაირია ნიჭი ამქვეყნად, მაგრამ არის ნიჭი ადამიანის გახარებისა, გულმოკლულის გულის განკურნებისა, ატირებულის ცრემლის მოწმენდისა, თანადგომისა და თანალობისა. მე მგონია, რომ სხვა მრავალ ნიჭთანგან ამ ყველაზე ადამიანურ ნიჭს ფლობს ბატონი ნუგზარ ჭიაბერაშვილი. ერთი დღით ბავშვობაში დამბარუნა ამ საოცარმა პროექტმა და მიკვირს, მიუხედავად საზოგადოების მრავალფეროვნებისა, ყველას თავისებურად ეფერება და სწორედ მისთვის სათქმელს და საფერებელ სიტყვას პოულობს ამ საოცარი პროექტის ავტორი. დიდი მადლობა, რომ ამ საოცრად ადამიანურ და ჰუმანურ იდეას ანხორციელებს ეს ადამიანი. მადლობა ღმერთს, მის უწმინდესობას, ყველა სასულიერო პირს, ეკლესიას, ვინც მას შთააგონა ეს იდეა, გვერდით დაუდგა მის განხორციელებაში“.

დავით ონიაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი, პროექტის მხარდამჭერი: „ეს პროექტი მეტად საჭიროა მთელი ქვეყნისთვის და განსაკუთრებით, ჩვენი რაიონისთვის, რადგან ეს რაიონი გარკვეული ტრადიციებით გამოირჩევა. მოგესხენებათ, სწორედ აქაა დაბადებული და აღზრდილი იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, ასევე, სხვა მრავალი საზოგადო მოღვაწე. ამიტომ, ამ ტრადიციებს განვითარება, გავრცელება და გაძლიერება სჭირდება. სწორედ ამას ემსახურება ეს პროექტი და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ავტორს, ნუგზარ ჭიაბერაშვილს. მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, რომ ეს პროექტი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება, რაც უფრო მეტ ვალდებულებას გვაკისრებს, როგორც ამ პროექტის მხარდამჭერებს, რადგან ჩვენი ვალდებულებაა, თითოეულ ოჯახამდე მივიდეს ქართული სიტყვა და ქართული ენის სინამდვილე, ამას შევძლებთ და კვალავ გავაგრძელებთ თანამშრომლობას“.

ირაკლი ფიცხელაური, „რევა“, ყოფილი მსჯავრდებული, პოეტი: „ამ პროექტმა დამანახა ცხოვრების საიდუმლო, რომელიც დღემდე ვერავინ დამანახა. ეს პროექტი ადამიანის სულის მელოდიაა და როდესაც ეს მელოდია დაკვრას იწყებს, მაშინ ყველა ყრიაბულობს და განცდებს აფრქვევს, რომელიც საქართველოს დიდ სიყვარულს ჩუქნის...“

„ეს პროექტი სრულიად საქართველოს გული გახდა პირველივე დღიდან, ვინაიდან ყველა დიდი და გამოჩენილი მწერალი და სხვადასხვა ხელოვანი ჩაერთო. ამ საქმეს მადლი და წარმატება მისმა უწმინდესობამ მიანიჭა ლოცვა-კურთხევით. ეს ერთადერთი ყველაზე ძლიერი და საჭირო პროექტია, რომელიც საქართველოში ყველას და ყველაფერს აერთიანებს, რაც კარგი და კეთილშობილურია ამ პროექტში საოცრებები ხდება და ეს საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის საქმე კეთდება“; – აღნიშნა პროექტის პატრიარქმა, „გორმედის“ ხელმძღვანელმა, ბატონმა გიორგი კაკუშაძემ.

ღონისძიებას, ასევე, სტუმრობდნენ 2014 წლის პრემია „ივერიის“ ლაურეატები, ანსამბლი „სამა“, „გორი“, მიხეილ წითელაშვილი და გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლა-კოლეჯის გოგონათა კაპელა. პროექტის მონაწილეებს სიგელები და ილია მართლის ხატები გადასცეს.



მსკლუზივი

ყოველთვის ერთნაირად აქტუალური ვერ იქნები. იყო დრო, როცა სცენიდან ჩემი „ჩატეხვა“ ხდებოდა, – ამბობს „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას პირველი ქართველი რეპერი ქალი, ახლა კი, პოპულარული ვიზაჟისტი და აქტიური დედა Big თიკო:

Big თიკო სცენას ლემს-სენთან ერთად უბრუნდება!

რაზე სწყდება გული და ვინ „მოტახა“ პირველი ქართველი რეპერი ქალი სცენიდან

– მერვე-მეცხრე კლასიდან სცენაზე ვარ: რუსთაველი, სკოლებს შორის ფესტივალი „ეარი“ ტარდებოდა ხოლმე – მოსწავლეები ერთმანეთს მხატვრულ კითხვას ათუ, სიმღერაში ეჯიბრებოდნენ. დიდ სცენაზე კი, 21-22 წლის ავედი.

– **ლექსებს წერდი?**
– კი, ვწერდი და ახლაც ვწერ...

– **როდის გადაწყვიტე, რომ უნდა გაგერეპა?**
– მე და ლექსო, ანუ ლექს-სენი „მაესტროში“ ვმუშაობდით და შემომთავაზა, რეპი მომეხსიჯა. გავრეპე და მამუკა ლლონტს ვაჩვენე. მეგონა, რომ ჩემი გარეპილი დაინუნეს, მაგრამ მამუკა შესაბამის დროს ელოდებოდა, რომ პირველი კომერციული პროექტი შეექმნა. ეს დროც მოვიდა – სიმღერა, გელა გნოლიძის მუსიკით და არანაწილებით, პირველად 2004 წელს ჩავწერე. ჩემი და ლექს-სენის პირველი სერიოზული ნამუშევარი „ნუ გაახურე“ იყო, რომელმაც ჩემი წარმატება განაპირობა.

– **Big თიკო ვინ და რატომ დაგარქვა?**
– „მაესტროში“ ორი თიკო ვიყავით – მე და თიკო სადუნიშვილი და ხშირად, როცა გვეძახდნენ, ორივე ვიხედებოდით ხოლმე. ჩემი ვიზუალურობიდან გამომდინარე, ლექსო ამბობდა, დიდი ადამიანი ხარო და Big თიკო შემარქვეს.

– **საქართველოში პირველი რეპერი ქალი ხარ...**
– ამ თემაზე საუბარი მეუხერხულება. ჩემამდეც იყვნენ გოგოები, რომლებიც რეპავდნენ და კონცერტებზეც გამოდიოდნენ, მაგრამ ცნობადობისა და პოპულარობის თვალსაზრისით, მე პირველი რეპერი ქალი ვიყავი.

– **თიკო, სცენა რატომ დატოვე?**
– სცენა არ დამიტოვებია. ჩემი სათქმელი ძალიან დიდი დოზით ვთქვი, თან მამინ საქართველოში სხვა სიტუაციაც იყო...

– **რას გულისხმობ?**
– იყო პოლიტიკა და... ჩემი ნებით გაჩერდი.

– **ანუ?**
– მირჩევნია, ხალხისთვის ვიმღერო და არა – პოლიტიკური ფიგურებისთვის. პოლიტიკური ფიგურა შეიძლება, დღეს იყოს და ხვალ – არა, მაგრამ მე კი სულ Big თიკო ვიქნები. ისე, ყოველთვის ერთნაირად აქტუალური ვერ იქნები. იყო მომენტები, როცა სცენიდან ჩემი „ჩატეხვა“ ხდებოდა... აღარც კი მახსოვს, ბოლოს სცენაზე როდის გამოვედი. მინდა, დათო დოიაშვილს, შერისა და კიდევ იმ ადამიანებს, რომლებმაც საშუალება მომცეს, 2010 წლის საახალწლო კონცერტზე მონაწილეობა მიმეღო, თუმცა ეს მონაწილეობა, ალბათ, მაინც იმან განაპირობა, რომ ცნობადი ქართველი რეპერი ქალი ჩემს გარდა არავინაა.

– **თიკო, უცხოეთში რომ გეცხოვრა, უფრო წარმატებული იქნებოდი?**
– ვერ გეტყვი, შეიძლება, კულინარი ცხოვლიყავი... ვფიქრობ, აქაც გამომართლა. Big თიკო ჩემი, „ლექს-სენისა“ და მამუკა ლლონტის ერთ-ერთი წარმატებული პროექტი იყო, რომელმაც ან გარდაცვლილმა ირაკლი ჩარკვიანამაც დიდი წვლილი შეიტანა... ზოგიერთ კონცერტზე. ე.წ. ბექებში ვმღეროდი და ჩემი სახელი არ ფიგურირებდა. ამბიცია არც მქონია, რომ ჩემი სახელი გაუფრებელიყო – ალბათ იმიტომ, რომ ჩემს დროს ველოდი. საერთოდ, რეპერობაზე არ მიფიქრია, ეს კომერციული პროექტი იყო, რომელიც კარგად მოვირგე და მომარგეს და რომელმაც გამამართლა. თავმდაბლობის გარეშე გეუბნები, დღემდე ასეთი ცნობადი ქართველი რეპერი ქალი არავინაა!

– **მეუღლე და პატარა მათე გყავს...**
– 1 ივნისს, მათე 4 წლის ხდება... დედა რომ გავხდით, ჩემი ცხოვრება სრული-



„მირჩევნია, ხალხისთვის ვიმღერო და არა – პოლიტიკური ფიგურებისთვის. პოლიტიკური ფიგურა შეიძლება, დღეს იყოს და ხვალ – არა, მაგრამ მე კი სულ Big თიკო ვიქნები. ისე, ყოველთვის ერთნაირად აქტუალური ვერ იქნები. იყო მომენტები, როცა სცენიდან ჩემი „ჩატეხვა“ ხდებოდა... აღარც კი მახსოვს, ბოლოს სცენაზე როდის გამოვედი. მინდა, დათო დოიაშვილს, შერისა და კიდევ იმ ადამიანებს, რომლებმაც საშუალება მომცეს, 2010 წლის საახალწლო კონცერტზე მონაწილეობა მიმეღო, თუმცა ეს მონაწილეობა, ალბათ, მაინც იმან განაპირობა, რომ ცნობადი ქართველი რეპერი ქალი ჩემს გარდა არავინაა.“



ად შეიცვალა. დედობა ძალიან მაგარი გრძნობაა, თუმცა გული მწყდება, რომ მათეს საკმარის დროს ვერ ვუთმობ...

– **პოპულარობა გენატრება?**
– არ ვიცი... მუდმივი არაფერია და ყოველთვის ვერც აქტუალური იქნები. ეს შენზეც არაა დამოკიდებული... სიმართლე რომ გითხრა, დღეს სხვა სფეროში ვარ პოპულარული და ცნობადი.

– **თიკო, შენთვის რეპი მაინც რა არის?**
– რეპი ჩემთვის წარმატება, გამოცდილება, ახალი კონტაქტები, პოზიტიური ენერჯია, დიდი შრომა და საკუთრივ თავში დარწმუნება იყო. ეს წლები ყოველთვის ძალიან კარგად გამახსენდება...

– **რუსთაველი წარმატებული ვიზაჟისტი ხარ. ვიზაჟი როდის შეისწავლე?**
– „მაესტროში“ ძალიან კარგი ვიზაჟისტები იყვნენ, ვაკვირდებოდი და რაღაცეებს ვსწავლობდი. პარალელურად, ე.წ. გეპის თეატრში, „მოდი ნახე“-შიც ვიყავი, სადაც ვიზაჟის გარკვეული საფუძვლები გავიარე – მაინტერესებდა, მომწონდა... ვიზაჟისტად მუშაობა რომ დავიწყე, ცხრა თვის ორსული ვიყავი...

– **ბანკეტების ორგანიზატორადაც მუშაობდი...**
– ეს საიდანღა იცი? (იცინის) სართოდ, ორგანიზატორობის ნიჭი მაქვს, მაგრამ მსგავს თემას ხელს აღარასოდეს მოგვიდებ.

– **რატომ?**
– ნერვების წყვეტაა (იცინის)...

– **შენ და შენს მეუღლეს კერძო ბარიც გაქვთ...**
– კი, წარმატებული ბიზნესი გვაქვს – „კარაოკე ბარი“ და, მიუხედავად იმისა, რომ პატარა სცენაა, ვმღერი ხოლმე. ისე, ერთ-ერთ სატელევიზიო პროექტში მიმიწვიეს, მაგრამ უარი ვთქვი.

– **რატომ?**
– ეს პროექტი დამწყებების განვითარებასა და პოპულარიზაციას გულისხმობს. ვფიქრობ, კონკურსში, დამწყებთან ერთად, ცნობადი ადამიანის დაყენება არასწორია.

– **თიკო, პროფესიით ვინ ხარ?**
– ეკონომისტი (იცინის). მინდოდა, თეატრალურში ჩამეხარებინა, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში მაშინაც და ახლაც მსახიობებს ძალიან უჭირთ. ამიტომ ეკონომიურზე ჩავაბარე. სხვათა შორის, საკმაოდ კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ლექსო ქვეთარაძე გამოჩნდა, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დამიყენა. ისე, ვნანობ, რომ თეატრალურზე არ ჩავაბარე.

– **გული კიდევ რაზე გწყდება?**
– ჩემს ქალაქზე, რომლისთვისაც, როგორც რიგით რუსთაველს, ძალიან ბევრი რამ მაქვს გაკეთებული...

მჯერა, მოვა დრო და ადამიანები მიხვდებიან, რომ მუსიკა პოლიტიკისთვის არაა და პოლიტიკა მუსიკაში არ უნდა ერეოდეს!

– **რა გეგმები გაქვს?**
– ახალ სოლო ალბომზე ვმუშაობ...

– **ხალხი ისევ გცნობს?**
– გააჩნია, როგორ მაცვია – თუ კეპი მახურავს, მცნობს (იცინის). კეპი ჩემი ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი იყო...

– **სცენას ოდესმე დაუბრუნდები?**
– მე და ლექსო ახალ პროექტს ვინწყებთ – ჩვენი პირველი „სინგლი“, სავარაუდოდ, ოქტომბერში ჩაინერება. მოკლედ, დიდი დაბრუნებისთვის ვემზადები. პარალელურად, ახალგაზრდულ ოლიმპიადაში ვმონაწილეობ – მე და ანრი ჯოხაძე მოხალისეების ჰიმნი ჩავწერეთ, რომელზეც მალე, ალბათ, ვიდუორგოლსაც გადაიღებენ. ასე რომ, სცენა არ დამიტოვებია. უბრალოდ, პაუზა მქონდა!



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“
კარგო ლენინი

საქართველო
საქართველო
საქართველო

არა-ჩვეულებრივი გვირდი

ჰიუ ჯაკმანს კიბო აქვს

„18 თვეა, სასიკვდილო სენს ვებრძვი“, — განუცხადა ჟურნალისტებს ამერიკელმა მსახიობმა ჰიუ ჯაკმანმა. მისივე თქმით, კანის დიაგნოზი 2013 წელს დაუსვეს.

„ეს კარცინომა, ანუ კანის ავთვისებიანი სიმსივნეა“, — ამბობს მსახიობი, რომელიც გამოკვლევებს სამ თვეში ერთხელ იტარებს.

„2013 წელს, ფილმ „იქს-ადამიანების“ გადაღებებისას, ცხვირზე უცნაური ლაქა გამჩინდა. ცოლმა გამოკვლევის ჩატარება მაიძულა და სწორად მოიქცა — ავთვისებიანი კარცინომა სწორედ მაშინ დამისვეს. მოგვიანებით, ლაქა ისევ გამჩინდა, თუმცა ვიფიქრე, რომ ეს ჩვეულებრივი ჭორფლი იყო, თუმცა შევეცდი“, — ამბობს ჰიუ, რომელსაც იმედი არ აქვს, რომ კანის კიბოს დაამარცხებს.

„რეალისტი ვარ და სათანადოდ ვუყურებ მოვლენებს. გამიმართლებს, თუ სიმსივნური წარმონაქმნი კიდევ ორჯერ გამჩინდება, მაგრამ ალბათ, უფრო მეტჯერ განდება. არ ვზარმაცობ და პასუხისმგებლობით ვეკიდები ჩემს ჯანმრთელობას, რადგან მკურნალობის წარმატებული შედეგი ადრეულ დიაგნოსტიკაზე დამოკიდებული“, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას ჰოლივუდელმა.



ჰოლივუდელი დევი მური გაქურდეს

როგორც დასავლური ტაბლოიდები იუწყებიან, ჰოლივუდელ დევი მურს 200 ათასი დოლარის ღირებულების ტანსაცმელი, რომელიც ჰოლივუდის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებულ საწყობში ინახებოდა, მოპარეს. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს, რომლის დამთავრების შემდეგაც, ზარალის ოდენობა, შეიძლება, გაიზარდოს.

„მძარცველების პოვნას ის ართულებს, რომ მურის თანამშრომლები საწყობში ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არ ყოფილან. ვიდეოჩანანერები დიდხანს არ ინახება. ასე რომ, ძარცვა შესაძლოა, ახლა კი არა, გასული წლის მიწურულს მოხდა“, — წერენ ჰოლივუდური ტაბლოიდები.

სხვათა შორის, დევი მური პირველი ჰოლივუდელი არაა, რომელიც მძარცველების მსხვერპლი გახდა. ასე, მაგალითად, პერის ჰილტონი შვიდჯერ გაქურდეს, თან ქურდები — არც მეტი, არც ნაკლები — ქალები იყვნენ. მათ მსახიობის საძინებლიდან სხვადასხვა ნივთი წაიღეს.

ქურდების მსხვერპლი თავის დროზე ლინდსი ლოპანი და მეგანი ფოქსიც გახდნენ. სხვათა შორის, ამ ინციდენტებზე სოფია კოპოლამ ფილმი — „ელიტური საზოგადოება“ გადაიღო, სადაც მთავარ როლს ჰილტონი ასრულებს.

პრინც ჰარის 21 წლის ავსტრალიელი სიყვარულში გამოუტყდა

რამდენიმე დღის წინ, პრინცი ჰარი ავსტრალიაში ჩავიდა და სიდნეის საოპერო თეატრი მოინახულა.

პრინცს, რომელიც ავსტრალიელების წინაშე სამხედრო ფორმით წარსდგა, თეატრში უამრავი „ფანი“ დახვდა, თუმცა ყველაზე მეტად 21 წლის გოგონა აქტიურობდა. მეტიც, მან ჰარის პირდაპირ განუცხადა, ცოლად შემირთხო. ჰარის გოგონას აქტიურობა მოეწონა და ლოყაზე არცთუ ნაზად ეამბოროდა.

99 წლის როკფელერს გული შეეშალა „გადაუნარბეს“

დევიდ როკფელერი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. დევიდი 99 წლისაა, თუმცა ასაკს ხელი არ შეუშლია, რომ გულის ოპერაცია გაეკეთებინა. საერთოდ, მილიარდერისთვის გულის ოპერაცია ერთგვარი ჰობია — გული უკვე მეექვსედ „გადაინერგა“. სხვათა შორის, ბოლო ოპერაცია დევიდს კლინიკაში კი არა, როკფელერის რეზიდენციაში მსოფლიოს საუკეთესო ქირურგებმა ჩაუტარეს.

„სიცოცხლის სურვილი კიდევ უფრო გამძლიერდა“, — ამბობს მილიარდერი.

ცნობისთვის: დევიდ როკფელერი 1915 წელს, ნიუ იორკში დაიბადა. სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის გარდა მან სახელი ქველმოქმედითაც გაითქვა.

იოკო ონოსა და ჰილარი კლინტონის საქსაიდუმლო

ჯონ ლენონის ქვრივმა, იოკო ონომ მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ როგორ წარმოუდგენია ჰილარი კლინტონის, როგორც აშშ-ის ისტორიაში პირველი ქალის გაპრეზიდენტება, სკანდალური განცხადება გააკეთა.

„1970-იან წლებში, ნიუ იორკში, ჰილარის არათუ ხშირად შევხვედრივარ, არამედ, მას მჭიდროდ ვიცნობ — ჩვენ რომანი გვქონდა. ამიტომ, თუკი ჰილარი პრეზიდენტი გახდება, ეს ლგბტ და ქალის უფლებების დაცვის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება“, — ამბობს იოკო და არც იმას მალავს, რომ მაშინ, როცა ჰილარის „ეკუპრუებოდა“, ოფიციალურად, ჯონ ლენონის ცოლი იყო.

ზოგი თვლის, რომ იოკო ონოს ზემოხსენებული განცხადება ჰილარი კლინტონის საპრეზიდენტო კამპანიის შემადგენელი ნაწილია და მიზნად ლგბტ პირების ხმების „მოზიდვას“ ისახავს.

ჯანსულის სიცილნათელები

„ნაცი“ პარლამენტარი
 უცხო სიტყვით ლექსიკონმა სიხარული მომფინა, „აბსურდული რიტორიკა“, თურმე, ბოდვა ყოფილა. ვახშე, ჩემი წლოვანება ძელზე გაკვრა მგონია, „არაკეთილმოვანება“ გახლავთ „კაკაფონია“.

ფსიქოზი
 ფუნა გგონია ნიგოზი, როცა მიირთმევე მტრის კოვზით, ხარ მინისა და მთის ბოზი, დეპრესიული ფსიქოზით.

ტაქიმასხრები
 მტრის პერანგი გვარგია, ჩვენ ვართ ტაკიმასხრები, უსახსრობა კარგია, აღარ გვტკივა სახსრები.

არიფი
 ეს არიფი არიფუნა, დამიჯერეთ, არის ფუნა, ნეტა, მართლა რა რჯულია, ეს არიფი ქაჯუნია, მორჩა, უკვე ჩაჯ...ლია.

შეჩერებული წამი

მაისი
 ხან ასეა, ხან ისეა, სიტყვას გეტყვით ხალისიანს, ყანწი ღვინით ამივსია, ჩემთვისა ვარ, ვარ ნისიად, დღეს პირველი მაისია, ჩემი არის, მა ვისია!

აღამი და ევა
 გვიდგას ჭეჭა-ქუხილი და ელვა, აღარც გვახსოვს იმ ცხოვრების ბადალი, ჩვენ დროს იყო აღამი და ევა, ახლა არის აღამი და აღამი.

სიძულვილი
 სიძულვილის რიყედან სძულდათ „პირვატ-მგოსნები“, უკითხურნი იყვნენ და მაინც ფრი-ვარდოსნები.

მიზას!
 მე ვიყავი შევარდნაძე, შენ იყავი შევარდნაზე, პარლამენტში შამი-ვარდი? „ქუნემ“ შენი შავი ვარდი!



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეიშლავი — „ეპერჯენსი“

24სთ
 თბილისის პირველი ალტერნატიული მედიცინის ეიშლავი
 EMERGENCY